180
1978/4

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა ხელოვნება

1978 12

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟან ანუი

# სარდაფი

## პიესა ორ მოქმედებად

მოქმედი პირნი:

ავტორი
პოლიციის კომისარი
გრაფი
გრაფინია
გრაფის უფროსი ვაჟიშვილი
გრაფის უმცროსი ვაჟიშვილი
ბარონი
ბარონესა
მარი — ჟანა
რომენი
ადელი
იუგელინა
მარსელი
სემინარიელი

## პირველი მოქმედება

სცენაზე ორსართულიანი დეკორაცია დგას. დაბლა სამზარეულოა. სამზარეულო მიწისქვეშაა და ბნელა. ვერაფერს შველის ვიწრო, ქუჩაში გამავალი ფანჯარა, საიდანაც მხოლოდ გამვლელთა ფეხები მოჩანს. მაღლა დიდი, სინათლით სავსე ოთახებია. შუა სასტუმრო ოთახში, კედელზე საზეიმოდ მორთული ხანშიშესული ქალის სურათი ჰკიდია. დეკორაციები მაღლაც და სარდაფშიც უჩვეულოა, ნამდვილს არა ჰგავს. სარდაფში უზარმაზარი ღუმელი დგას. ღუმელის მილი სამზარეულოდან მაღლა მიემართება, უცნაურად კვეთს ზედა სართულის ყველა ოთახს და ფარჩაში გამოწყობილი ქალის პორტრეტსაც.

ფარდა რომ აიხდება, ყველა მოქმედი პირი სცენაზეა, ისინი მიჩნეულ ადგილზე დგანან უძრავად, თითქოს რაღაც ნიშანს ელიანო. პოლიციის კომისარი სარდაფშია, მოახლეთა შორის. კომისარს შავი კოსტუმი აცვია, თეთრი გახამებული პერანგის საყელო ნიკაპზე ებჯინება, შავი მაღალი ქუდი ახურავს. მის გვერდით დგას ავტორი, რომლის თანამედროვე ყაიდაზე შეკერილი სამოსი მკვეთრად გამოირჩევა დანარჩენ მოქმედ პირთა ტანსაცმელისაგან, ფარდა რომ აიხდება, დადგება უხერხული წამი, შემდეგ ოდნავ შეცბუნებული ავტორი რამპასთან მიდის.

ავტორი. (მაყურებელს) დღეს აქ გიჩვენებენ პიესას, რომელიც ვერაფრით ვერ დავწერე; თუმცა ჩემ სხვა პიესებს თქვენ აგერ უკვე ოცდაათი წელია დიდსულოვნად ტაშს უკრავთ. (მცირე ხნით შეჩერდება, თითქოს ტაშს ელოდებაო. შემდეგ) გმადლობთ (ოდნავ განაწყენებული). მაგრამ აი, ეს პიესა ვერაფრით ვერ დავწერე მაინც შევეცდებით გიჩვენოთ, ვიცი, ბილეთს რომ ყიდულობდით, ეჭვიც არ გეპარებოდათ... ერთი სიტყვით, ვისაც სპექტაკლი არ მოეწონება, ფულს უკან მიიღებს. დიახ! დირექცია დავითანხმე. ძალიან კი გამიჭირდა. ეს გასაგებიცაა, რადგან თუ ჩვენს დროში მაყურებელი შემოიტყუე ისეთ ძნელ პიესაზე, რომელიც არც „ფიგაროში“ უქიათ და არც სასაცილოა, ფულის უკან დაბრუნება გაგიჭირდებათ.

დღევანდელი პიესა მზად არ არის, თითქმის თავიდან არის დასაწერი და იმედი გვაქვს, დაგვეხმარებით. შემომესმა, ერთ-ერთმა კრიტიკოსმა მეზობელს როგორ გადაუჩურჩულა, ასეთი რამ ხომ პირანდელოსაც აქვსო. ეს მთლად ასე არ არის, თვითონვე მიხვდებით და თუ ასეა, რაღას გავაწყობთ! იძულებული ვართ ვაღიაროთ, რომ პირანდელოსაც ჩაუვარდა ერთ-ერთი პიესა.

ეს რომ ნამდვილი პიესა ყოფილიყო, რასაც ერთ დროს ვიმედოვნებდი, „სარდაფს“ დავარქმევდი. სარდაფი ჩემს წარმოდგენაში.. თუმცა თვითონ ნახავთ. თუ ყველაფერს წინასწარ აგიხსნით, სულ აღარ დაინტერესდებით. უპირველეს ყოვლისა, დეკორაციაზე უნდა მოგახსენოთ. არ მიყვარს რთული დეკორაციები. თუ დეკორაცია რთულია — პიესა სუსტია. ლოპე დე ვეგა ამბობდა: „თეატრი ეს არის ორი ფიცარი, სამიოდე ლურსმანი და მხოლოდ და მხოლოდ ვნებანი“. ფიცრების შოვნა იოლია, სადმე შეიძენს კაცი. აი ვნება კი, თანაც ნამდვილი, ხუთას თუ ექვსას მაყურებელს ერთ არსებად რომ აქცევს და სულმოუთქმელად აყურებინებს ყველა მოქმედებას, გამოგიტყდებით, ძნელი საშოვნელია.

მოქმედება მიმდინარეობს ჩვენი საუკუნის დასაწყისში. ეს სახლი სენ-ჟერმენის გარეუბანში დგას. ქვედა სართულში სამზარეულოა უზარმაზარი ღუმელით. სწორედ ეს გახლავთ სარდაფი — მოახლეთა სამყარო. იმ დროს მდიდრებს ბევრი მოახლეები ჰყავდათ.

ის ფარჩიანი ქალი, სურათიდან რომ გვითვალთვალებს, ბებრუხანაა. როგორც ხედავთ, მაინცდამაინც მოხუცი არ არის, მაგრამ გრაფის მეორე ცოლისაგან განსხვავებით, სარდაფში მხოლოდ ასე ეძახდნენ. გრაფის მეორე ცოლი სულ ახალგაზრდაა. ბებრუხანა, გრაფის პირველი მეუღლე, ამ სახლის უწინდელი დიასახლისი, გარდაიცვალა დიდიხნით ადრე, ვიდრე ეს სპექტაკლი დაიწყებოდა. ამიტომ პიესაში როლი არა აქვს. მაგრამ მისი მბრძანებლობის მკაცრ დროს მოახლეები ახლაც სინანულით იგონებენ, თუმცა გრაფის მეორე მეუღლის, აი იმ თეთრი და კოხტა ახალგაზრდა ქალის გავლენით, ზემოთ და ცოტა მარჯვნივ რომ დგას, ბატონები კაცთმოყვარენი გახდნენ.

ბებრუხანას მბრძანებლობის დროს არსებობდა რაღაც ბედი, რომელსაც, მოახლეებს სწამდათ, ვერსად გაექცეოდი. ეს რწმენა აძლევდა მათ შვებას. ეს მათთვის ღვთიური მადლი იყო. ღარიბებს აუცილებლად უნდა სჯეროდეთ, რომ მათ უბედურებაში ბედია დამნაშავე, მხოლოდ მაშინ ჰპოვებენ ისინი სიმშვიდეს.

მაგრამ ასე ხომ შეიძლება პიესა წინასწარ მოგიყვეთ. თქვენ კი უჩემოდაც გაერკვევით ყველაფერში.

მაშ შევთანხმდეთ: ამ დაუწერელ პიესაში არიან პერსონაჟები, რომლებიც მაღლა დგანან (ეს ცხადია: ისინი ხომ დეკორაციის მეორე სართულზე იმყოფებიან!) და პერსონაჟები, რომლებიც დაბლა დგანან. ალბათ ხვდებით, ამდენი ფიცარი რატომაც დამჭირდა?

დაბლა ცხოვრობენ მოახლენი და ის ახალგაზრდა. კიურე არ გეგონოთ, სემინარიელია, ჯერ არ უკურთხებიათ. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი დეტალია. სწორედ ამის გამო არ მოგეჩვენებათ საშინლად ანაფორიანი კაცის მონაწილეობა ასეთ ამბავში.

პიესაში მონაწილეობს აგრეთვე პოლიციის კომისარი, რომელიც ჯერჯერობით სარდაფის მცხოვრებთა შორის იმყოფება. (კომისარს მეგობრულად თავს დაუკრავს) სალამი!

პ ო ლ ი ც ი ი ს  კ ო მ ი ს ა რ ი.  გაუმარჯოს!

ა ვ ტ ო რ ი. ჩემი ძველი ნაცნობია: მომგებიანი რეპლიკებით გააქვს თავი, რადგან სიუჟეტთან არავითარი კავშირი არა აქვს.

იმ დღემდე, როცა იმედი გამიცრუვდა და გადავწყვიტე წერას შევშვებოდი, ეს პიესა, როგორც ნამდვილ დრამატულ ქმნილებას შეეფერება, კომისრის შემოსვლით იწყებოდა. კომისარი გამოჩნდებოდა გრაფის, ზემო სართულზე რომ დგას, აი, იმ შეჭაღარავებული ბატონის სახლში... ისიც კარგი ხუმარაა, ამდენ ხათაბალას გადამყარა, მერე მოგიყვებით. დიახ, კომისარი გრაფთან მოვიდა მკვლელობიდან რამდენიმე დღის შემდეგ... (გაჩერდება) ეს ჯერ არ მითქვამს? საქმე იმაშია, რომ მზარეული ქალი მოკლეს... მგონი, დანა დაარტყეს, დიახ, ასე იყო, თუმცა არ მჯერა, რადგან საკმაოდ საიდუმლო, ჩემთვისაც საიდუმლო ვითარებაში მოხდა ყველაფერი.

(პოლიციის კომისარი შეუმჩნევლად გავა).

გავიდა. მაგრამ ნუ გაგეხარდებათ! გგონიათ ასე ადვილად მოგვცილდება? კომისარი კულისებშია და შიგა კიბით მეორე სართულზე ადის, თავისი სცენა რომ გაითამაშოს... კიბე საკმაოდ დაკიდულია.. ხომ იცით, თეატრში რასაც მაყურებელი ვერ ხედავს...

(პოლიციის კომისარი ზემო სართულის შუა სასტუმრო ოთახშია, სადაც გრაფი ელოდება).

აი ისიც! ყოველთვის ვშიშობ, გრაფინიას საწოლში არ შევიდეს. ასეთი სცენა საერთოდ არა მაქვს გათვალისწინებული... ახლა შეიძლება დავიწყოთ პირველი ეპიზოდი... ეს დაწერილი მაქვს... შემდევ კი ვნახოთ, როგორ გავაგრძელებთ... მიდი, დაიწყე!

(კუთხეში მიდგება)

განათება შეიცვლება. სარდაფში დროებით ბნელდება. ახლა მხოლოდ ზედა სართულია განათებული. ყველა მოქმედი პირი, გრაფისა და პოლიციის კომისრის გარდა, გადის. გრაფი და კომისარი სცენას ჯერ ზედა სართულზე, შემდეგ კი ქვევით, სამზარეულოში გაითამაშებენ. სარდაფში მათი გამოჩენისთანავე ინთება შუქი.

კ ო მ ი ს ა რ ი. თუ შეიძლება, ბატონო გრაფ, მიჩვენეთ ადგილი. სადაც ეს მოხდა. (გრაფი ანიშნებს, მომყევით. ისინი ქვევით ჩადიან. როცა გრაფი და კომისარი სარდაფში ჩავლენ, ავტორი გაქრება). აქ?

გ რ ა ფ ი (უჩვენებს) დიახ. აი, აქ იწვა.

კ ო მ ი ს ა რ ი. (ყურადღებით ათვალიერებს სამზარეულოს. იატაკიდან ძაფს აიღებს, შემდეგ იმედგაცრუებული გადააგდებს. ჯიბიდან უბის წიგნაკს ამოიღებს, გადაშლის). კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი ამ სახლის მკვიდრთ. უპირველესად ყოვლისა, თქვენ, ბატონო გრაფო, ქალბატონი გრაფინია, თქვენი ორი შვილი, ბარონი ჟიული — თქვენი ვაჟიშვილი, ბარონესა — მისი მეუღლე, ზემოხსენებული ერმელინა ჟოზეფი — მზარეული ქალი, ასე ვთქვათ მსხვერპლი, ლეონ ლაკაზი — მეეტლე, მარსელ პიუნე — კამერდინერი, იუგელინა ლაპუენტი — მოახლე, ადელ ლეპიე — ჭურჭლის მრეცხავი, ალექსისი — სამზარეულოს ბიჭუნა და თქვენთან დროებით ჩამომხტარი სემინარიელი ტომა ჟოზეფი, თქვენი შვილების აღმზრდელი რომ შეცვალა.

გ რ ა ფ ი. სწორია.

კ ო მ ი ს ა რ ი. ვიცი, ბატონო გრაფო, ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა მაინცდამაინც სასიამოვნო არ არის. მერწმუნეთ, უმაღლეს წრეებში კარგად ესმით, რომ აუცილებელია უაღრესი სიფრთხილე, თუ გამოძიების საქმე ეხება ერთ-ერთ ყველაზე ძველ არისტოკრატულ გვარს ამ გარეუბანში; მგონია, ასე ეძახიან თქვენს მამულს მაღალ საზოგადოებაში, არა? ამომარჩია რა კოლეგებში, რომლებსაც, მისივე თქმით, საკმაოდ გაბედული შეხედულებები აქვთ, ბატონმა პრეფექტმა მიბრძანა: არავითარ შემთხვევაში, იოტის ოდენადაც კი არ შევბღალო თქვენი სახელი, რომელიც ჩვენი ნაციონალური საკუთრებაც არის. ეს ბატონ პრეფექტის სიტყვებია. გამოგიტყდებით და არჩევანი ჩემზე შემთხვევით არ შეჩერდა. ჩემი გვარი ხელმძღვანელობისათვის ცნობილია, როგორც გვარი კეთილად განწყობილი ადამიანისა, ბატონო გრაფო.

გ რ ა ფ ი. (არ იღიმება) სანაქებოა, ბატონო კომისარო.

კ ო მ ი ს ა რ ი. ბებერი მზარეული რომ „გაასაღეს“, — ჩვენი პროფესიონალური გამოთქმაა, უმნიშვნელო ამბავია. ეს ალბათ იმ ქალის ერთგული თანამესარეცლის ჩადენილია, თუმცა ყველაფერს უარჰყოფს. უკიდურეს შემთხვევაში ის ტიპი ერთი ათ წელს მაინც გახეხავს ქვისსატეხ კარიერზე. მაგრამ ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ თქვენთან წინდაუხედაობით გამოგზავნეს ორი დამწყები ახალგაზრდა ინსპექტორი, რომლებიც გარკვეული პრესის, სათაურს არ დავასახელებ, გავლენის ქვეშ არიან მოქცეულნი! ეს ახალგაზრდები იმდენ ზედმეტ შეკითხვებს დასვამენ, რომ საბოლოოდ თავზე მოგვახვევენ სქელტანიან საქმეს არალეგალურ იატაკქვეშა აბორტებზე, ადამიანით მოვაჭრეებსა და საიდუმლო ახალგაზრდა კიურეზე—რომელიც ყველაფერს ურევს და კაციშვილმა არ იცის, საიდან მოხვდა ამ ამბავში. ეს ბელვინში, ანდა, ჯანდაბას, ბატინიოლში რომ მომხდარიყო, გაზეთები ათიოდ სტრიქონს მიუძღვნიდნენ და მორჩა! სენ-ჟერმენის გარეუბანი კი სულ სხვა საქმეა, ისიც პარიზში ყველაზე ცნობილი არისტოკრატთა ოჯახი. ზოგიერთებისათვის, გვარს არ დავასახელებ, ეს აურზაური, ნება მომეცით, მოგახსენოთ, მისწრება იქნებოდა. გამიგეთ?

გ რ ა ფ ი. (გაღიზიანებულია) ნებას გაძლევთ, ბატონო. მხოლოდ მოკლედ, მოკლედ... ამ დილით მე და ერთმა ქალბატონმა ცხენებით უნდა ვისეირნოთ პრე კატელანში. დაგვიანება არაფრით არ შემიძლია.

კ ო მ ი ს ა რ ი. (ანიშნებს, დამშვიდდითო) მე, ჩემო ბატონო, უბრალო კაცი ვარ. ჩემი ამოცანაა, როგორ გითხრათ, სიჩუმით შევმოსო ყველაფერი. აი, რატომ ვლაპარაკობ ამდენს. ახლა კი... შეცბუნებული ვარ. მაპატიეთ, თუ თქვენს, ასე ვთქვათ, ინტიმურ ცხოვრებას შევეხები, მაგრამ მაინც უნდა მიპასუხოთ, ბატონო გრაფო?.. იყავით თუ არა თქვენი მზარეული ქალის საყვარელი?

გ რ ა ფ ი. (ღიმილით) კი მაგრამ, ის ხომ მოხუცი ქალია.

კ ო მ ი ს ა რ ი. (წიგნაკში ჩახედავს) ორმოცდაშვიდი წლისაა.

გ რ ა ფ ი. ოდესღაც ის იყო ყველაზე ეშმაკი, ყველაზე მომხიბლავი ქალი ჩვენს მოახლეებს შორის.

კ ო მ ი ს ა რ ი. ეს პასუხი დადებითად უნდა ჩავთვალოთ, ბატონო გრაფო?

გ რ ა ფ ი. ხომ გითხარით, ოცდახუთი წლის წინათ საუცხოო ქალი იყო-მეთქი.

კ ო მ ი ს ა რ ი. (შემპარავად) როგორც გითხარით, მაღალ წრეს არ ვეკუთვნი, მაგრამ უკვე შევიძინე საკმაო გამოცდილება და შემიძლია უსიტყვოდ გაგიგოთ. რამდენ ხანს იყავით მისი საყვარელი?

გ რ ა ფ ი. ეს დაზუსტებანი საქმეს გამოადგება?

კ ო მ ი ს ა რ ი. მართალია, რომ ქალს მაშინ შეეძინა ბიჭი, ასე ვთქვათ, სიყვარულის ნაყოფი? ვიმედოვნებ, ამ გამოთქმით არ შეურაცხგყოფთ.

გ რ ა ფ ი. შვილები, ჩემო ბატონო, ყველა სიყვარულისაა და არც არაფერია ამ სიტყვაში შეურაცხმყოფელი. მაგრამ აქვე უნდა დავსძინო, რომ ეს ამბავი მხოლოდ იმ საშინელ დღეს შევიტყვე.

კ ო მ ი ს ა რ ი. აჰა, ახლა კი იმ საშინელ დღეზე ბრძანეთ. პირველი დაკითხვიდან, რომელიც ჩემმა ხელქვეითებმა ჩაატარეს, ჩანს, რომ გასული თვის ოცდაშვიდში, თვრამეტ საათსა და ოცდაათ წუთზე, თქვენმა მოსამსახურეებმა სამზარეულოში იპოვნეს თავისი კოლეგა ორმოცდაშვიდი წლის ერმელინა ჟოზეფი. მზარეული აღნიშნულ სამზარეულოში ეგდო და სისხლის გუბეში ცურავდა. უბნის ექიმმა ამან და ამან, გვარი გაურკვევლად წერია, დაადგინა ელენთის

ღრმა ჭრილობა და განკარგულება გასცა ერმელინა ჟოზეფი წაეყვანათ საავადმყოფოში, სადაც მალე გარდაიცვალა. მოწმეთა ჩვენება მხოლოდ ერთ რამეში თანხვდება. დაზარალებულის აღმოჩენამდე ერთი საათით ადრე ზემოხსენებულ ერმელინა ჟოზეფთან სამზარეულოში ორი ადამიანი იყო. კერძოდ, ბატონი გრაფი ქსავიე სტანისლავ პიერ-ჟან ტიბო დე... (გრაფი ხელით ანიშნებს) ერთი სიტყვით თქვენ... და სემინარიელი ტომა ჟოზეფი, გარდაცვლილის უკანონო შვილი. ამას გარდა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ზემოხსენებულ ერმელინა ჟოზეფს ჰყავდა საყვარელი — ლეონ ლაკაზი — მეეტლე. იცოდით?

გ რ ა ფ ი. ასეთი წვრილმანი არ მაინტერესებდა.

კ ო მ ი ს ა რ ი. (კითხულობს) რომელიც თავზეხელაღებული და ლოთი კაცია. მეეტლესთან ერმელინა ჟოზეფს ხშირად მოსდიოდა უსიამოვნება, რაც, უმეტეს შემთხვევაში, ორმხრივი (ძლივს არჩევს ნაწერს) ხელშეხებით მთავრდებოდა. (კმაყოფილი იმეორებს) ორმხრივი! ამ კაცმა მოახერხა, სამწუხაროდ მეთქი, დავსძენდი, რადგან ამაზე ნაღდ დამნაშავეს ვერც მოვიფიქრებთ, წარმოედგინა ალიბი. ის იმყოფებოდა კაფე „სამ ჩიბუხში“ და ხუთი საათიდან კაფეს პატრონთან, ვინმე... (ვერ გაარჩევს) მნიშვნელობა არა აქვს, სვამდა. ერმელინა ჟოზეფი, რომელსაც პოლიციელი სიმარი ესაუბრა, საავადმყოფოსაკენ გზაში გარდაიცვალა ისე, რომ დამნაშავე არ დაასახელა და ვერც დაწვრილებით დავკითხეთ. (ჩანაწერს თვალს გადაავლებს) აქ შემდეგ მოდის დაკითხვები: ლეონ ლაკაზისა, იმ პირუტყვისა, რომელიც ყველაფერს უარობს, თუმცა ჯეროვნად არ მოგვიკიდია ხელი; სემინარიელი ტომ ჟოზეფის, რომელმაც აღიარა, დედასთან ცხარე ჩხუბი მომივიდაო. მათი ყვირილი ესმოდა სამზარეულოს ბიჭუნას ალექსისს — გვარი გაურკვეველია, თუმცა ტომი ჟოზეფი ამბობს, ჩხუბის დროს დედას თითითაც კი არ შევხებივარო. ბატონო გრაფო, მითხარით, თუ შეიძლება, რას აკეთებდა ეს ახალგაზრდა თქვენს სახლში?

გ რ ა ფ ი. აბატი, ჩემს შვილებს ლათინურს რომ ასწავლიდა, ორი თვით სადღაც გაემგზავრა და მის მაგივრად, ერმელინას რჩევით, ეს ყმაწვილი მოვიწვიეთ.

კ ო მ ი ს ა რ ი. მისი შვილი რომ იყო, იცოდით?

გ რ ა ფ ი. არა.

კ ო მ ი ს ა რ ი. არც ის, თქვენი რომ იყო?

გ რ ა ფ ი. რასაკვირველია, არა. აკი გითხარით, იმ საშინელ დღეს გავიგე მეთქი.

კ ო მ ი ს ა რ ი. როცა ერმელინა ჟოზეფი მიატოვეთ, ჯანსაღად იყო?

გ რ ა ფ ი. (ყოყმანის შემდეგ) არა. უკვე დაჭრილი გახლდათ...

(კომისარი შეცბუნებულია. პაუზა)

კ ო მ ი ს ა რ ი. (გრაფს გაოგნებული შესცქერის) ეს ფრიად საყურადღებო ფაქტია, ბატონო გრაფო. კი მაგრამ... საშველად არავის უხმეთ? არც პოლიციას გამოუძახეთ?! არც ექიმს?

გ რ ა ფ ი. (უეცარი სიმკვეთრით) არა.

კ ო მ ი ს ა რ ი. (ხანმოკლე პაუზა) საბედნიეროდ, ეს თქვენი პირველი დაკითხვის ოქმში შეტანილი არ არის (ოქმს თვალს გადაავლებს და შვებით ამოისუნთქავს).

გ რ ა ფ ი. (მიუდგომელი სახით) ყველაფერი კარგად მესმის. ეს სწორედ ისეთი ფაქტია, რომელსაც პოლიციას ვერ აუხსნი. პატიოსანი კაცის ცხოვრება კი სავსეა ასეთი ფაქტებით.

კ ო მ ი ს ა რ ი. (უხერხული სიჩუმის შემდეგ) უკვე გითხარით, ბატონო გრაფო, ჩვენთვის ჭეშმარიტება სიმართლის მსგავს ოქმშია მეთქი. ესეც არ იყოს, არც ჩვენ ვართ ხელცარიელი. უპირველეს ყოვლისა, ეს ლოთი მეეტლე, რომელიც ერმელინას საყვარელი ყოფილა. მართალია, ალიბი აქვს, მაგრამ ჩვენთვის კარგად არის ცნობილი მედუქნის ალიბის ფასი. მეტსაც გეტყვით: ასეთი ალიბებით სავსეა ჩვენი საქმეები. ეგეც არ იყოს, ის მედუქნე ცნობებს გვაწვდის ხოლმე. შემდეგ ვინმე მარსელ პიუნე, თქვენი კამერდინერი. მთლად დაზუსტებული არ არის, სად ბრძანდებოდა ხუთიდან შვიდ საათამდე. ეს ფრიად საეჭვო პიროვნებაა და შემჩნეულიცაა ჩრდილოეთ აფრიკის საროსკიპოებისა და სიძვის სახლებისათვის გოგონების მიყიდვის საქმესთან დაკავშირებით. უფრო მეტიც: ეს პიუნე არაერთხელ ეცადა თქვენი ჭურჭლის მრეცხავი ადელ ლეპიე ქალაქ ორანის ერთ-ერთ დაწესებულებაში მოეწყო. როგორც [illegible] პოლიცია გვაუწყებს, ეს დაწესებულებაც ზემოხსენებული სახლების მაგვარია. უკანასკნელი ცნობებით ლეპიე უკვე მუშაობს ამ დაწესებულებაში.

გ რ ა ფ ი. (ხელებს გაშლის) მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩვენგან წავიდა.

კ ო მ ი ს ა რ ი. ესე იგი, პიუნემ საწადელს მიაღწია. ეს კი მაინცდამაინც არ არის კარგი მისთვის (ქაღალდებს საქაღალდეში ჩადებს) მაგრამ მოსამსახურეთა შერჩევაში მაინცდამაინც არ უნდა გწყალობდეთ ბედი, ბატონო გრაფო.

გ რ ა ფ ი. (ღიმილით) როგორც ხედავთ.

(დაადგებიან მეორე სართულზე ამავალ კიბეს)

კ ო მ ი ს ა რ ი. ახლა კი შეიძლება, ბატონო გრაფო, გაკვრით მთავარზეც ვისაუბროთ. ცხადია, სისულელეა, ოავი შეაწყინო პატივცემულ ადამიანს, როცა ხელში გყავს ორი არამზადა, რომლებმაც უამისოდაც დაიმსახურეს ათ-ათი წელი. ორივე მატყუარა დაკითხული იქნება, ასე ვთქვათ... თანამედროვე მეთოდებით. დარწმუნებული ვარ, რამდენიმე დღეში გამოვტეხავთ ერთ-ერთს ან ორივეს.

გ რ ა ფ ი. (უეცრად, რამდენადმე მშრალად) მაინც უნდა გითხრათ რაღაც.

კ ო მ ი ს ა რ ი. (თავს არიდებს) ბატონო გრაფო, ჩვენ ორივენი პატიოსანი ადამიანები ვართ და მირჩევნია ამ საქმეზე ზედმეტი არაფერი ვიცოდე. ოქმი ნამდვილს რომ ჰგავდეს, ამისათვის საჭიროა ცოტა მეც მჯეროდეს.

გ რ ა ფ ი. ცხადია, მე არ „გამისაღებია“ როგორც თქვენა თქვით, მზარეული. რადგანაც ამ ოცდაათი წლის წინ ჩემი საყვარელი იყო თავად განსაჯეთ, რატომ უნდა მოვქცეულიყავი ასე? უკვე დაჭრილი იყო, როცა ჩავედი. მან არ მომცა ნება ექიმი გამომეძახა. არ მეგონა ასეთი ბოლო თუ ექნებოდა. თანაც მითხრა: საკუთარ მალამოს წავისვამო. ის სხვებსაც მკურნალობდა თავისი წამლებით და საკმაოდ წარმატებითაც. ამასთანავე ვიცოდი, რომ არ უნდოდა დამნაშავის დასახელება. მას პატიოსნებაზე განსაკუთრებული შეხედულება ჰქონდა. ეს შეიძლება თქვენ (იღიმება) უცნაურადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ ასეთი შეხედულებანი გააჩნიათ ზოგიერთებს. თქვენ, ალბათ ყურს მოკრავდით, რომ პოლიცია ბევრს არ უყვარს.

კ ო მ ი ს ა რ ი. (უეცარი პირფერობით) ბატონო გრაფო, თქვენმა გვარმა საფრანგეთს არაერთი სახელმწიფო მოღვაწე შესძინა. სწორედ ამიტომ გამომგზავნეს განსაკუთრებული ინსტრუქციით. ყველა — ყველა, მაგრამ თქვენ მაინც უნდა იცოდეთ, რომ პოლიციის სიძულვილი, ეს, ასე ვთქვათ... ახლანდელი მოდაა, რომელიც თანაბრად არის გავრცელებული როგორც მაღალ საზოგადოებაში, ისე ბოროტმოქმედთა და დამნაშავეთა სამყაროში. მაგრამ წესიერი ხალხი, როგორც არ უნდა აზროვნებდეს, ბოლოსდაბოლოს რწმუნდება, რომ პოლიციის გარეშე ცხოვრება შეუძლებელია.

გ რ ა ფ ი. (გულიანად იცინის, კომისარს მხარზე ხელს ურტყამს) ძალიან მომწონხართ, ბატონო პოლიციის კომისარო. ისე მოიქეცით, როგორც საჭიროდ ჩასთვალოთ. გთხოვთ, გადასცეთ პრეფექტს ჩემი გულითადი პატივისცემა. მაგრამ ისიც უთხარით, ამდენი სიფრთხილე საჭირო არ არის-თქო. ძალიან გთხოვთ ეს გადასცეთ და დაუმატოთ, რომ ასეთი ზრუნვა, როგორ გითხრათ... შეურაცხმყოფელიცაა. ვიმედოვნებ ჩემშიც ისევე დაეჭვდებიან, როგორც დანარჩენებში. თუ არა და გავბრაზდები!!

კ ო მ ი ს ა რ ი. გადავცემ, ბატონო გრაფო. ნებას მომცემთ ამ სახლის მცხოვრებნი აქვე დავკითხო? პოლიციაში გამოძახებულთა დაკითხვა არასოდეს ასეთსავე შედეგს არ იძლევა...

გ რ ა ფ ი. დაკითხეთ ყველა, მათ შორის მეც, თუკი რაიმე გამოგვრჩა (ადგება). ახლა კი გთხოვთ, მაპატიოთ...

კ ო მ ი ს ა რ ი. (განსაკუთრებით ამაღლებული ტონით) ვიცი, ქალს არ უნდა აცდევინო, ბატონო გრაფო.

გ რ ა ფ ი. (ღიმილით) როგორც იქნა, საქმეზე გავისაუბრეთ! არ გაგაცილებთ. შინაურულად მოიქეცით. (თავს დაუკრავს, გავა).

კ ო მ ი ს ა რ ი. (მარტო, ჩაფიქრებული) ეგ საქმე, რბილად რომ

ვთქვათ, საკმაოდ უხერხულია. საჭიროა სიცხადე, მხოლოდ მცირეოდენი, მეტი რომ არ მოგვივიდეს (იუგელინა ლანგრით ხელში. კომისარი მოულოდნელად დაუძახებს) მადემუაზელ!

იუგელინა. (შემობრუნდება) ოჰ, როგორ შემაშინეთ, ჩემო ბატონო!

კომისარი. (მიუახლოვდება, თან ულვაშს იგრეხს). რას აკეთებთ ხუთიდან შვიდამდე, ჩემო პატარავ?

იუგელინა. (ვითომ შეშინებულია) აჰ, ჩემო ბატონო... (მოჩვენებითი გაუბედაობით) თქვენ ბარონ ჟიულის სტუმარი ბრძანდებით?

კომისარი. ასე ვთქვათ, ჩემო პატარავ.

იუგელინა. (თითქოს დაკმაყოფილდა პასუხით, თვალს თვალში გაუყრის) მაშინ, თუ თქვენი ოთახის დალაგება მომიხდება ან თუ ისურვებთ და დარეკავთ... (გადის, თეძოებს ლამაზად მიარხევს).

კომისარი. (უაღრესად დაინტერესებულია და თვალს გააყოლებს) ამ დაკითხვიდან კი შესაძლოა რაიმე გამოვიდეს. ეშმაკმა დალახვროს! ეს იგი.. ერთი სიტყვით, სჯობს მეტი აღარაფერი ვთქვა (იუგელინას კვალს გაყვება. ჯოხს გამარჯვებული კაცის იერით მიათამაშებს).

(კომისარი სარდაფის მცხოვრებთა შორის გამოჩნდება. აქ ის იუგელინას შემოჰყვა. მაგრამ არცერთი არ იმჩნევს, რომ იცნობენ ერთმანეთს. ავტორი მიდის მაყურებლისკენ, განათება იცვლება. პროჟექტორი ახლა მხოლოდ ავტორს ანათებს)

ავტორი. აი, აქამდე ყველაფერი კარგად მიდიოდა. თქვენ ნახეთ ექსპოზიცია, ბევრ რამეში გაერკვიეთ და თითქოს კვანძიც შეიკრა... მაგრამ ასეთ დასაწყისს გაგრძელება არ უნდა! მზარეული ქალი, ჩემი პიესის მთავარი გმირი, ხომ უკვე მკვდარია! ასეა, ხომ? (სცენის სიღრმეში გამოჩნდება მარი - ჟანა, უხმოდ, თითქოს მოჩვენებააო, ხის საფქვავში საიდუმლო წამალსა ნაყავს) მხოლოდ დაკითხვები რას გვიყოფა? შეგვეძლო ასეც მოქცეულიყავით, ჭკვიანურიც იქნებოდა. მაგრამ სწორედ ეს მიხეთქავს გულს. მე ხომ მიყვარდა ის ქალი. ჩანაწერებში დედამიწას ვეძახდი, შემდეგ შეიტყობთ, რატომაც. ასე მეგონა რემბომ მას მიუძღვნა „ჟანა-მარის ხელები“ ხომ გახსოვთ ეს ლექსი... მარი-ჟანა, როგორც წარმომედგინა... (უცებ წამოიძახებს) მშვენიერი აზრია, მოდით, ასე დავუძახოთ მარი-ჟანა. ეს ერმელინას გაცილებით სჯობს. ხომ მართალია? (შესცქერის მარი-ჟანას და გულაჩუყებული ჩურჩულებს) მარი-ჟანა... იმიტომაც მინდოდა ამ პიესის დაწერა, რომ აღმდგარიყო, გამომეტაცნა ოცნებათა მოჩვენებითი სამყაროდან და როგორც შემეძლო, დავხმარებოდი შეესხა სული და ხორცი. ესე იგი ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, რომ მარი-ჟანა ფარდის ახდამდე მოკვდა...

ავტორის მონოლოგის დროს ყველა მოქმედი პირი სცენაზე ჩუმად გამოდის. ისინი ავტორს შემოეხვევიან, დეკორაციებში გაიფანტებიან, თითქოს შიშით ელიანო რაღაც გადაწყვეტილებას. და დგება წამი, როცა მღელვარება უნდა გადმოიღვაროს. მაშინ პერსონაჟები ავტორს ალყაში მოიმწყვდევენ.

ავტორი. (წამოიყვირებს) მაგრამ სცენაზე უკვე აყუდებულიყო პოლიციის კომისარი თავისი აუტანელი ხუმრობით. იმ ბრიყვმა ყველაფერი ჩაშალა. (პოლიციის კომისარს, რომელიც გვერდში უდგას და შეწუხებული უსმენს) ხომ ასეა, შე ძველო!

კომისარი. (ნაწყენი) ასეა! მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ხომ არ გემუდარებოდით გამიგონეთ-მეთქი.

ავტორი. (წყენას ვერ მალავს) ვიცი, ვიცი... როგორც ყოველთვის, დამნაშავე ვარ. მაგრამ ისე მინდოდა დამეწერა ძალზე მარტივი და უწმინდესი პიესა, რომ ისევ არაფერი გამომივიდა. იცით, პირველი ვარიანტი პირდაპირ მარი-ჟანადან იწყებოდა. დილაადრიან თავის ვაჟს ხვდებოდა სამზარეულოში. ასეთი დასაწყისი ცოტა ცხოვრებისეული, მაგრამ უფრო პოეტურია, ცოტა მკრთალია, მაგრამ ტვინიდან გამოჭყლეტილსაც არ ჰგავს, პოლიციის კომისრის სცენებივით... (უცებ გადაწყვეტს). აბა, ჩქარა! სასწრაფოდ გავითამაშოთ მეორე დასაწყისი. გაგრძელებას მოვნახავთ. გაათავისუფლეთ სცენა! მეორე ვარიანტის დასაწყისს ვთამაშობთ!

(ყველანი, ვინც ავტორის მონოლოგის დროს ჩუმად შემოვიდნენ, ზანტად გადიან. ავტორი მიაყვირებს) დაბრუნდებით, დაბრუნდებით, ნუ გეშინიათ! ყოველ თქვენგანს აქვს როლი, ხომ კარგად იცით?! (მაყურებლებს) ო, რა ხალხია ეს მსახიობები! თუ სცენაზე არ არიან, ასე ფიქრობენ — სპექტაკლი დამთავრდაო. მოდით, დავიწყოთ. დილაა... სისხამ დილა. თქვენ ფართო, ცივ და ბნელ სარდაფში ხართ. გაციებულ სამზარეულოში თქვენთვის მოუწვდომელი და გაუთავებელი სუნი დგას. ბნელი სარდაფის ღუმელში ნაცარსა ქექავს ბებერი მზარეული ქალი, რომელსაც ყველაზე ადრე გაღვიძებია. ის მხოლოდ მზარეული არ გეგონოთ: იმდენი იცხოვრა, ისე შეიცნო ადამიანები, ცხოველები და საგნები, რომ ახლა ცოტა ჯადოქარიც არის. აი, ისიც, დედაბუნება, ჩვენი დედამიწა. ყურადღებით, აუჩქარებლად ჩეჩქავს რაღაცას თუჯის ქოთანში. მან წამლების შეზავების ძველისძველი ხერხი იცის. ჯერ კიდევ პატარა ბავშვი იყო, ერთი ბებერი და მკაცრი დედაკაცის ხელში რომ ჩავარდა. სიკვდილის წინ ბებერმა დედაკაცმა მარი-ჟანას ასწავლა სასწაულმოქმედი ბანგისა და სასიკვდილო შხამის დამზადების საიდუმლო. საიდუმლო საწამლავისა და საიდუმლო სიყვარულის ნექტარისა, თუმცა, ორივე ერთია: წამალი, რომ კაცმა შეგიყვაროს და წამალი, რომ ამ კაცის სიყვარულის ნაყოფი მოიშორო. მარი-ჟანა სარდაფის დედოფალია, უბრალო მზარეული არ გეგონოთ. ის ჭეშმარიტად არის დედოფალი: დიდი მოოქროვილი გვირგვინიც აქვს სადღაც შენახული. გიჩვენებთ, ის ყველას უჩვენებს გვირგვინს, როცა შეთვრება. ოცი წლისა მართლაც დედოფალი იყო — სილამაზის დედოფალი. „ყველაზე მომხიბვლელი თეძოები მთელს ნიცაში!“— აი, ზუსტად ასე უთხრეს, გვირგვინს რომ ადგამდნენ. წარსულს ჩაბარდა ყოველივე, განსაკუთრებით, თეძოები, მაგრამ მასში წარმატებებით მოპოვებული ძველებური სიამაყე ცოცხლობს. (პაუზა) მაშ ასე, დასაწყისის მეორე ვარიანტში სემინარიელს დედა გამოიძახებს და ისიც ჩამოდის პარიზში. (უყვირის სემინარიელის როლის შემსრულებელს) დავიწყოთ, მეგობარო! (მაყურებელს) დედამ ის უეცრად გამოიძახა. ახლავე გაიგებთ, რატომაც. ჯერ ანაფორის კალთები გამოჩნდება ამ სარკმელში, მერე კი თვითონ სემინარიელი შემოაბიჯებს და დირეზე გაჩერდება. ანაფორის სახელოები ძლიერ მოკლე აქვს და დიდი, გლეხკაცური ხელები უცნაურად მოუჩანს აი, სწორედ ეს გახლავთ მზარეულის უკანონო შვილი. ბიჭმა ჯერ არაფერი იცის, მაგრამ ბუნდოვნად გრძნობს, რომ მისი ადგილი არც ზემოთ არის და არც ქვევით. სწორედ ამაშია მისი ტრაგედია. სწორედ ამან აიძულა თავშესაფარი ღმერთთან ეძია და ანაფორა ჩაეცვა.

მარი-ჟანა. (იგრძნობს, რომ შვილი კიბის თავში, დირეზე გახინდრულა. შემობრუნდება. უბრალოდ ეტყვის). შემოდი, ნუ გეშინია, არ შეგჭამენ. კიურეს აქ პატივისცემით ექცევიან. (ვაჟი ზემოდან დასცქერის დედას) ბებრუხანასთვის მღვდლისგან ცნობა უნდა მოგეტანა კვირის წირვაზე რომ იყავი, თორემ არც დაფიქრდებოდა, ქუჩაში გისვრიდა. იმისი ღამის ქოთნებიც კეთილ მორწმუნე კათოლიკებს უნდა ეხეხათ (ბურტყუნით, თან ისევ საქმიანობს). შემოდი, რაღას უდგეხარ, ხომ ხედავ, ორპირი ქარია.

სემინარიელი. (კიბეზე ჩამოდის, ფეხებთან პატარა ჩემოდანს დაიდგამს) გამარჯობათ, დედა.

მარი-ჟანა. გაგიმარჯოს, კიურე. ექვსსათიანი მატარებლით ჩამოხვედი? ვერ გამოიძინე?

სემინარიელი. ვერა. ბევრი ხალხი იყო. გასასვლელში ვიდექი. თანაც ოთხ საათზე ვიერზონში მატარებელი უნდა გამომეცვალა. იქაც ერთი საათი ვიცადე დარბაზში. შემეძლო დამეძინა, მაგრამ შევშინდი, მატარებელი არ გამეპაროს მეთქი.

მარი-ჟანა. (ბუზღუნით) ყველაფრისა გეშინია. დაჯექი, ჩემებურ ყავას დაგისხამ. (მაგიდის ერთ კუთხეს ჩვრით მოწმენდს. სხარტად, თუმცა ისევ ბუზღუნით, ყავას დაუდგამს) ხედავ, სამართალი ამ ქვეყანაზეც ყოფილა? აუცილებელი არ არის სიკვდილს უცადო, როგორც სემინარიაში გასწავლიან. ეს მილიონერები ვერასოდეს გაიგებენ კარგად მოდუღებული ყავის გემოს, ვერც ამ სახლში და ვერც სხვაგან, სადაც ჩემნაირი მზარეულები ჰყავთ.

სემინარიელი. (დარცხვენით) ალბათ, არ უნდა ჩამოვსულიყავი.

მარი-ჟანა. ამით მხოლოდ შენ სიბრიყვეს დაამტკიცებდი ჯარში ხომ არ მოგინდა წასვლა? კიდევ კარგი, სემინარიიდან გამოგიშვეს. ცოტა ფულსაც იშოვნი და მეც ამომასუნთქებ.

სემინარიელი. თქვენთვის ფული არასოდეს მითხოვია.

მარი-ჟანა. ვინ გგონივარ? ისღა მაკლია ჩემმა შვილმა, როცა

მოესურვება, საპირფარეშოში სიგარეტი ვერ მოსწიოს ან ცოტა არ გადაჰკრას. მართლა, საჭმელს ვინ გიმზადებთ? ისიც კიურეა?

ს ე მ ი ნ ა რ ი ე ლ ი. არა, მოლაზონია!

მ ა რ ი-ჟ ა ნ ა. (ბუზღუნებს, თან ემსახურება) წარმომიდგენია, რა საჭმელიც გექნებათ!

ს ე მ ი ნ ა რ ი ე ლ ი. იმათ რა უთხარით?

მ ა რ ი-ჟ ა ნ ა (სულ საქმიანობს) ჩემი შვილი რომ ხარ, რასაკვირველია, არ მითქვამს... სულელი კი არა ვარ?! იფიქრებდნენ, მზარეულის შვილმა რა ლათინური უნდა იცოდესო! ერთხელ, დილით, ხარჯთა ანგარიშზე დამიძახეს. ავიღე და გრაფინიას ვუთხარი: „თუ ქალბატონი ისევ ეძებს მასწავლებელს, შემიძლია ერთი მდიდარი ბატონის შვილი მოვუყვანო მეთქი. იმ ახალგაზრდას ბავშვობიდან ვიცნობ და ახლა სემინარიის მესამე კურსზე სწავლობს მეთქი“ იმათაც ეს უნდოდათ (ღუმელს მიუბრუნდება). მაგრამ ყავისა არ იყოს, ამაშიაც მოვატყუე. ისინი ვერასოდეს გაიგებენ, რომ ჩემი ნახელავი შევუცურე.

ს ე მ ი ნ ა რ ი ე ლ ი. (წამოხტება) რა სიმდაბლეა! ვერ დავრჩები. ეს ხომ სიცრუეა!

მ ა რ ი-ჟ ა ნ ა. (მკაცრად უყურებს) მაშ, როგორ გვიბრძანებთ, კიურე? ამ ცხოვრებას ჩვენი ლუკმა როგორ წავგლიჯოთ? თქვენ რა, სემინარიელო უცოდველო ყმაწვილებო, ყოველთვის სიმართლეს ღაღადებთ? აი, შენ, პირადად შენ; ყოველთვის სიმართლეს ამბობ? მდიდარ და ლამაზ მეზობელს შენ გვერდით რომ ცხოვრობა უთხარი ჩემზე? (სემინარიელი ჩუმად არის) მიპასუხე. ან ეს თქვენი შავი ანაფორები, როგორ გგონია, ერთნაირია?

ს ე მ ი ნ ა რ ი ე ლ ი. (ყრუდ) დიახ.

მ ა რ ი-ჟ ა ნ ა. ლოგინიც? ან ის ჩამჩა, დილაობით წყალს რომ ისხამთ, ისიც ერთია?

ს ე მ ი ნ ა რ ი ე ლ ი. დიახ.

მ ა რ ი-ჟ ა ნ ა. ესე იგი, ორივემ გადაწყვიტეთ ობოლ-ოხრებს ემსახუროთ და მაინც არ გითქვამს, რომ მზარეულის შვილი ხარ? არა?

ს ე მ ი ნ ა რ ი ე ლ ი. (ყრუდ) არა.

მ ა რ ი-ჟ ა ნ ა. ჰო და თუ ასეა, ნუღარ იპრანჭები. ეცადე, აქ ბევრი ფული იშოვო, სანამ ჯარში არ წაუყვანიხართ... და ნურაფრისაც ნუ გეშინია. თუ შემთხვევით შეგხვდები, როცა ანგარიშის ჩასაბარებლად ზევით დამიძახებენ, „ბატონ აბატს“ დაგიძახებ. (შემოდის ადელი, ჭურჭლისმრეცხავი. მარი-ჟანა უყვირის) ეს რაღასა ჰგავს? ბებრუხანას დროს დილის ექვსზე სპილენძის ჭურჭელიც კი უკვე დარეცხილი გვქონდა!

ა დ ე ლ ი. (ჩურჩულით) ავად გავხდი და...

მ ა რ ი-ჟ ა ნ ა. ბებრუხანას დროს მოსამსახურეები არ ავადმყოფობდნენ. იცოდნენ, რომ ამის უფლება არ ჰქონდათ და ჯანმრთელობაზედაც არ წუწუნებდნენ. ახლა კი, გაიხედავ და, მობრძანდება ფარეში — შაკიკი მაქვსო, თითქოს ბატონი მყავდეს. გაიხადე ფეხსაცმელი და იატაკი მოხეხე! მომჯობინდები, ჩვენისთანებისათვის სხვა წამალი არ არსებობს.

ა დ ე ლ ი. ხომ არაფერი მითხოვია.

მ ა რ ი-ჟ ა ნ ა. (მაგიდაზე ყავიან ჭიქას დაახეთქებს) ჯერ ყავა მიირთვი. დანარჩენი შენი საქმეა.

ა დ ე ლ ი. (ზიზღით) არ შემიძლია!

მ ა რ ი-ჟ ა ნ ა. ოხ, გული გერევა, ქალბატონო?! ხომ არ ინებებთ, ექიმს გამოვუძახოთ. ახალი ქალბატონის ხელში ესეც შეიძლება. მართალია, ბატონების ექიმს ვერ გაახლებთ, ძვირი ჯდება, მაგრამ ჩვენც გვყავს იაფფასიანი ექიმი. მგონი, ვეტერინარია. გინდა, ბიჭს გავაგზავნი?

ა დ ე ლ ი. (შეშინებული წამოიყვირებს; მუცელზე ხელებს დაიფარებს) არა! ექიმი არ მინდა!

მ ა რ ი-ჟ ა ნ ა. (დაკვირვებით ჩააცქერდება) ერთი მოდი აქ, ჩემო გვრიტო! (მიიზიდავს და მკაცრად ათვალიერებს) კარგი, მერე ვისაუბროთ, მარტო რომ დავრჩებით. ახლა იატაკი ხეხე. თუ ამოარწყევ — არ შეგეშინდეს. ქალები მაგ ავადმყოფობისაგან არა კვდებიან. (ზარი რეკავს. ელექტროდაფასთან მივა) რა ჯანდაბა დაემართათ ამ დილაადრიან? საწოლიდან ხომ არ გადმოვარდნენ? დაშაქრულია! ვერ ითმენს. უნდა შეიტყოს, ჩამოხვედი თუ არა. საწყალი ბავშვები! მეოთხე დღეა ულათინუროდ არიან. უნდა გაუგოთ. ხედავთ, მათი დედა როგორ იტანჯება?! წავიდეთ. ასე უთხარი, საუზმე პირველ სართულზე მომართვეს თქო. ამიერიდან, ბატონო აბატო, ყავას ზევით დალევ. უკაცრავად ვიქნები, მაგრამ გუშინდელს მოგართმევენ. დაიმახსოვრე: დედილო ჟოზეფის მაგარი ყავა მეორე სართულზე არ ადის. (თავსაბურს იხურავს) ამას ყოველთვის მაშინ ვიხურავ, როცა ზემოთ მეძახიან. გაუშვი ეგონოთ, რომ მათ სახეთქში თმას არ ჩავაყოლებ.

ს ე მ ი ნ ა რ ი ე ლ ი. (უკან მისდევს) ბავშვები როგორიღა ჰყავთ?

მ ა რ ი-ჟ ა ნ ა. (მიდის) სულელები არიან, როგორც ყველა ბავშვი (გადიან. სემინარიელსა და ადელს ერთმანეთისათვის ხეირიანად არც კი შეუხედავთ. როცა ჭაბუკი გავა, ადელი კარს მივარდება, ოდნავ გამოაღებს და თვალს გააყოლებს. შემდეგ ფეხზე გაიხდის და იატაკს ხეხავს. ვედრიდან წყალს ბლომად მოასხამს, შემოდის მარსელი. შედგება და უყურებს ორად მოკეცილ გოგონას).

მ ა რ ს ე ლ ი. (ჩუმად) რაც კარგია, კარგია! თქვენი არ მესმის, ადელ... ასეთ მძიმე და ჭუჭყიან საქმეს აკეთებთ და ორანის მყუდრო ბარში მიმტანად მუშაობა არა გსურთ. თავაზიანად რომ ვთქვათ, ეს სისულელეა!

ა დ ე ლ ი. (ისევ ისე აგრძელებს იატაკის ხეხვას) მართლაც სულელი ვარ.

მ ა რ ს ე ლ ი. მერე ეგ სატრაბახოა?! თქვენი გულისთვის ტყავიდან ვძვრები და ვერ გამიგია, ასე უმადურად რატომ მექცევით? მომწონხართ, რამდენჯერ მითქვამს, მაგრამ თქვენ არ... რას იზამ, ძალით თავს ვერავის შეაყვარებ. მეგობრებად ხომ ვრჩებით? ჰოდა, როგორც მეგობარმა, ვიზრუნე, ახლობელს ვთხოვე რამდენიმე სიტყვა შეეწია თქვენთვის ორანის ერთ-ერთი ბარის მეპატრონესთან, თურმე ბარის პატრონიც გოგონას ეძებდა. მერე, საქმის დასაბოლოვებლად, ერთ მშვენიერ დღეს, კაფეში ჩემი ახლობელი კაცი გაგაცანით; მას მოეწონეთ და მისწერა კიდეც თავის მეგობარს ორანში. თქვენ კი, ყოველივე ამის შემდეგ, უარობთ. ჩემს ადგილზე რომ იყო, კარგ დღეში ჩავარდებოდით?

ა დ ე ლ ი. მარკის ფულს დაგიბრუნებთ. ვერ წავალ, იმ მხარეში არავის ვიცნობ.

მ ა რ ს ე ლ ი. ხალხის გაცნობას რა უნდა! ესეც არ იყოს, იმ ბარში სხვა გოგონებიც მუშაობენ. მარტო ხომ არ იქნებით?!

ა დ ე ლ ი. ახალი ნაცნობები არ მიყვარს.

მ ა რ ს ე ლ ი. ძველი არ მოგბეზრდათ? ყოველდღე მამილო რომენი, დედილო ჟოზეფი, ლეონი, იუგელინა და მე; სხვა მაიმუნებზე რომ არაფერი ვთქვათ. მიმიფურთხებია! ნეტავ ჩემ თავსაც არ ვხედავდე. (ჯიბის სარკეში იცქირება და იმანჭება) აი, სიფათი! წუხელ ისევ დავთვერი... მოხუცი კლუბში იყო. დაშაქრულმა ორჯერ გამომიძახა სხვადასხვა მიზეზის გამო, როგორც გაზეთებში წერენ.

ა დ ე ლ ი. (ყვირის) სტყუით. ეს რომ მართალი იყოს, ჩუმად იქნებოდით.

მ ა რ ს ე ლ ი. რატომ? შესაძლოა ქალბატონისათვის მართლაც სირცხვილია კამერდინერთან წოლა, მაგრამ კამერდინერისათვის... (ოქროს მონეტას უჩვენებს) თუ ვტყუი, საიდან გაჩნდა ეს ფული, ა? ასეთი ფულისათვის მთელ თვეს წელში მოხრილი მუშაობთ. ორანის ბარში კი ამდენს ყოველ კვირა აიღებთ (თითს აიშვერს) შეიძლება უფრო მეტიც გერგოთ, ჭკვიანად თუ მოიქცევით, (პაუზა. უდარდელად) ბარის მეპატრონე, ვიდრე სხვა მიმტანს აიყვანდეს, თქვენს პასუხს დაუცდის. ბარის მეპატრონეს ისე უქეს თქვენი თავი, რომ კიდევ დიდხანს დაიცდის. შრომისმოყვარეაო, პატიოსანი, სასიამოვნო გარეგნობისაო და ასე შემდეგ. სიმართლე რომ ვთქვათ, ასეთები ქუჩაში არ ყრია! (ჩუმად, შეთქმულივით) მაგრამ, ეშმაკმა დალახვროს, აქედან უნდა წახვიდეთ! რა გაკავებთ? უარესი არსად გელით. დაივიწყეთ წარსული. არც ეს იქნება ურიგო. (სცენის სიღრმეში კიბეებზე გაუჩინარდება. დაჩოქილი ადელი ისევ ხეხავს იატაკს. შემოდის ბიჭუნა ალექსისი, კალათით კარტოფილი მოაქვს, იქვე დაჯდება და თლის).

ა დ ე ლ ი (უყვირის) შენ რა, იატაკი გინდა დამისვარო?

ბ ი ჭ ი. კარტოფილი ხომ უნდა გავფცქვნა!

ა დ ე ლ ი. გაფცქვენი, ოღონდ იატაკი არ მომინაგვიანო, თორემ ამ სილას ხომ ხედავ?

ბ ი ჭ ი. თქვენ ყველას ერთი რამ გაწუხებთ — რაიმე მიზეზის გამო წამომითაქოთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადელი. შენ აქ ყველაზე პატარა ხარ. მეც ასე დავიწყე, თორმეტი წლისა ვიყავი. უფრო მეტი სილაქი მიჭამია, ვიდრე ხორცი.

ბიჭი. ტყუილია. თქვენ კეთილი ხართ. ავად რომ გავხდი, ხომ მივლიდით?

ადელი. (მკაცრად) ახლა ხომ კარგად ხართ. მე ძალიან ცოტას ვღებულობ იმისათვის, კეთილი რომ ვიყო. საქმეს მიხედე! იატაკი არ მომინაგვიანო, თორემ ტყავს გაგაძრობ. გაიზრდები და შენც წამოარტყამ შენზე უმცროსს. სამართალი მოითხოვს ამას. ჩვენ ვერაფერს შევცვლით. (იატაკზე ფეხმორთხმული ბიჭი კარტოფილს ფცქვნის. ადელი იქაურობას ალაგებს).

ავტორი. (წინ გამოდის) ეს დასაწყისიც კარგია... თქვენ უკვე გაეცანით მზარეულს, ახალგაზრდა კიურესა და ადელს და, რასაკვირველია, მარსელსაც. თუმცა მარსელის ცნობა ძნელი არ არის. ჩვენი მწყემსნი ახლა მრუშები ან სუტენერები არიან. მივყვეთ მშვენიერ თეატრალურ პირობითობას... აი, ადელი და ახალგაზრდა კიურე კი.. ვშიშობ, უსიამოვნებას გადაგვყრიან. შეამჩნიეთ, რა მორცხვად და მალვით უცქერდნენ ერთმანეთს იმ სცენებში, სადაც უხმოდ იდგნენ... მაშინვე იგრძნეს, რომ მათ შორის რაღაც მოხდება (გულაჩუყებული უცქერის, როგორ მუშაობს ადელი, თან ჩურჩულებს). ოჰ, ადელ! ჩემო სევდავ და სინანულო. შეხედეთ ფეხშიშველს, მის განიერ გლეხურ ტერფებს. გაცხარებული ხეხავს სამზარეულოს იატაკს, სხეულში კი უზის ღმერთმა უწყის ვისგან ჩასახული ბავშვი, რომლისაც რცხვენია. აი, ასე შრომობს თორმეტი წლიდან. ეს პიესაც იმიტომ ჩავიფიქრე, რომ ადელისთვის მეთქვა ქებათა-ქება, რომელსაც უბადრუკობის გამო, ალბათ, ვერ გაიგებს. მხოლოდ ამიტომ მინდოდა პიესა კარგი გამოსულიყო. თუმცა ამ პიესაში ის ხომ მარტო არ არის. აქ ყველა მოქმედი პირი მთავარია. ამიტომაც არ გამომდიოდა ეს პიესა. წესით ყოველი მოქმედი პირისათვის საგანგებოდ უნდა დაიწეროს პიესა, თავისი გართულებებითა და... (შემოდის პოლიციის კომისარი და უკვე ერთი წუთია მოწაფესავით ხელაწეული დგას, თითქოს რაღაცის შეკითხვა სურს. ავტორი, როგორც იქნა, შეამჩნევს). ეს კომისარი კი აღარ მეშვება, გინდა თუ არა მალაპარაკე, გამოძიება ჯერ არ დამიმთავრებიაო...

კომისარი. რა გნებავთ, ბოლოსდაბოლოს? ჯერ ერთი, ყველანი ადამიანები ვართ და ცხოვრება გვინდა. მეორეც: თუ ნებას მომცემთ, ერთ მოსაზრებას გაგიზიარებთ...

ავტორი. (საქმის შემობრუნებით განაწყენებული) გაგვიზიარეთ, გაგვიზიარეთ, რახან არ იშლით...

კომისარი. პიესის დეტექტიურობაზე მოგახსენებთ. ამ საქმეს ოქრომჭედელივით ვჭედავ. ტყუილად ხომ არ ვმუშაობ ოქრომჭედლების სანაპიროზე! არა უშავს, რომ სიტყვის თამაში გამოვიდა, ხომ ასეა? მოგეწონათ?

ავტორი. (ცივად) არა. სწორედ ასეთი ხუმრობით გავიტეხე სახელი.

კომისარი. დავუშვათ, მართალს ბრძანებთ? მაგრამ ისიც ფაქტია, რომ დეტექტივი ხალხს მოსწონს! ვერ გამიგია, რატომ უგულებელყოფთ. თუ გნებავთ, რომ მაყურებელმა არ მოიწყინოს... გაითვალისწინეთ, გთხოვთ! ყოველგვარი მსჯელობა იმაზე, რაც განიცადეთ ან ჯერ არ განგიცდიათ და რომელსაც საზოგადოებას გაუთავებლად თავს ახვევთ, რასაკვირველია.. საინტერესოა და, ასე ვთქვათ... ღრმააზროვანი და პოეტურიც... მაგრამ მაყურებელს, იცით, რა სურს: რაიმე ისეთი, თავი რომ იმტვრიოს და ტვინი იჭყლიტოს, თორემ მოსწყინდება. მაყურებელი იმ ჭორიკანა ქალსა ჰგავს, რომელსაც მხოლოდ სხვისი ამბები აინტერესებს. სანამ მაყურებელი არ გაიგებს ვინ არის მკვლელი, გაშეშებული და პირდაღებული უსმენს, მკვლელის ვინაობას კი ის სულ ბოლოს გაიგებს. აბა, გიჟი ვინ არის, საიდუმლო დასაწყისშივე გაამჟღავნოს! აი, ასე უნდა გამოიჭირო მაყურებელი (ენერგიულად უკრავს ტაშს), აი, ასე! ეშმაკმა დალახვროს, ხომ არის თქვენ პიესაში მკვლელობა! ამით უნდა ვისარგებლოთ! მაყურებელს კარგად ვიცნობ. მაგალითად, ახლა მაყურებელი თავისთვის ფიქრობს: „კი ბატონო, იმსჯელეთ, ილაპარაკეთ, მაგრამ მაინც, ნეტა, ვინ მოკლა ის მზარეული ქალი?"

ავტორი. (მოწყენილი კუთხეში მიჯდება) დიდი ამბავი! ჩვენი ძმა, ასეთი წვრილმანი არ მაინტერესებს.

კომისარი. რა ხუმარა ბრძანდებით! მკვლელობაა წვრილმანი?! აბა, დაზარალებულს ჰკითხეთ? იმათზეც ხომ უნდა იფიქროთ. ვისაც ეს საღამო თეატრში იძულებით გაატარებინეთ და ბილეთში ფული გადაახდევინეთ. ეგებ მაყურებელს მხოლოდ და მხოლოდ ეს აინტერესებს. მართლა, ჩვენში დარჩეს და მაინც ვინ მოკლა ის ქალი?

ავტორი. (გადაწყვიტა ყველაფერზე ხელი ჩაიქნიოს და ზიზღით მოუკიდებს სიგარეტს) რას იზამ? მიდი, ძველო, მიდი! იმოქმედე, რახან ამტყდარხარ! გაითამაშე ყველა სცენა. გამოიძიე. დაჰკითხე. თუ მართლა იპოვი მკვლელს, შემატყობინე.

კომისარი. მაშ ნება მომეცით, ის ბიჭი დავკითხო.

ავტორი. (პილატე პონტოელის გამომეტყველებით) დაჰკითხე, თუ წყლის ნაყვა გინდა. მხოლოდ გაფრთხილებთ. ეს ჩემი პიესა არ არის. (ადელს, რომელიც ისევ იატაკს რეცხავს) გოგონი, თუ შეიძლება, ცოტა ხნით დაგვითმეთ სცენა! კომისარმა ეპიზოდი უნდა გაითამაშოს სამზარეულოს ბიჭუნასთან. თქვენ ამ დროს უკვე ორანში იყავით. (თუმცა, კიდევ დამჭირდებით (ადელი ნელა გაწურავს იატაკის ტილოს, ვედროს ადგილზე დადგამს, ცოცხსაც იქვე მიაყუდებს, ფეხსაცმელს აიღებს და მორჩილად გადის. ავტორი თვალს გააყოლებს, გულაჩუყებული) ხედავთ, უარს ვერავის ეუბნება. საწყალს საერთოდ არ შეუძლია უარის თქმა. დაგმორჩილდება და მორჩა, დაგმორჩილდება ბოლომდე (კომისარს) დაიწყე რაღაც, მხოლოდ ცოცხლად, როგორმე ხომ უნდა მივაღწიოთ მთავარს. (პოლიციის კომისარი ვითომ ახლა შემოვიდა სამზარეულოში, სადაც განათება შეიცვლება, სინათლის სხივი ახლა ანათებს მხოლოდ ბიჭუნას, რომელიც ისევ კუთხეში მიმჯდარა და ისევ ფცქვნის კარტოფილს).

კომისარი. (მხიარულად) ერთი შეხედეთ?! ამისათვის სულ ერთია ორშაბათია თუ სამშაბათი, დილა თუ საღამო! ზის და კარტოფილს არჩევს. ამ სახლში ყველას რომ ყელი გამოსჭრან, შენ მაინც ასე იჯდები და იმუშავებ?

ბიჭი. (უდარდელად) აბა, რა! მე მხოლოდ ამ საქმისათვის ამიყვანეს. კარტოფილს კანი თხლად რომააფცქვნა, ბევრი დრო საჭირო, მე კი სამუშაოს სხვათაშორის ვერ შევასრულებ.

კომისარი. ამ კარტოფილს ხომ მერე მაინც აზილავენ.

ბიჭი. (ჩუმად) ჩემთვის სულ ერთია, მერე რა იქნება. მე კარტოფილს ვფცქვნი, ჩემი საქმე აქ თავდება. ვერ ვიტან, როცა გაფცქვნილ კარტოფილს შავი წერტილი ან ხალი შერჩება, ნერვებს მიშლის.

კომისარი. გასაგებია. შენი საქმის დიდოსტატი ყოფილხარ. ჯარში რომ ვიყავი, მეც კარგად ვფცქვნიდი კარტოფილს. წუთში, აი, ამხელა გორას ვამუშავებდი (დანას ამოიღებს და იქვე ჩაცუცქდება). აბა, მომეცი კარტოფილი, მოგეხმარები, ცოტა თავისუფალი დრო მაქვს.

ბიჭი. (ორივე ფცქვნის კარტოფილს) აქ, ამ სახლში რას აკეთებთ?

კომისარი. როგორც ხედავ, დავსეირნობ, ვლაყბობ, ხანდახან ვინმეს რაღაცას ვკითხავ ხოლმე.

ბიჭი. კარგია. ჭუჭყიანი საქმე არ გქონიათ.

კომისარი. ცდები. მე თავით ვმუშაობ. ეს კი ძნელი საქმეა.

ბიჭი. მაშ, რატომ არ ოფლიანდებით? (წამოიყვირებს). ასე ხომ მთელ სამუშაოს წყალში გადამიყრით! ხედავთ, რაღა დარჩა თქვენი კარტოფილიდან?!

კომისარი. ჩვენ პოლკში ერთი ყალიბი გვქონდა და ყველა კარტოფილი, დიდი თუ პატარა, იმ ზომაზე უნდა გაგვეფცქვნა.

ბიჭი. (მკაცრად) აქ ხომ პოლკი არ არის. თუ მუშაობა გეზარებათ, უთქვენოდაც მოვუვლი საქმეს.

კომისარი. მესმის, ბატონო უფროსო. აი, უცქირე, ამ კარტოფილს პაპიროსის ქაღალდზე თხელ კანს ავაცლი. (კარტოფილს მონდომებით ფცქვნის) ბიჭი, კარგად იცნობდი ადელს, აქ რომ მუშაობდა?

ბიჭი. რასაკვირველია.

კომისარი. როგორი ქალი იყო?

ბიჭი. ქერა, არა, უფრო წაბლისფერი იყო.

კომისარი. მე ხასიათზე გეკითხები. კარგი გოგო იყო?

ბიჭი. დიახ.

კომისარი. ხომ არ დადიოდა ხან ერთთან, ხან მეორესთან (ბიჭი შეხედავს) ისე გეკითხები... არ ვიცნობდი და..

ბიჭი. ჰოდა, თუ არ იცნობდით, გაჩუმდით. აქ საჭოროდ თუ

მობრძანდით, მაშინ, გთხოვთ, მოეშვით ჩემს კარტოფილს...

კომისარი. კარგი, ჰო, ნუ ცხარობ. შენ რა, არასოდეს გიჭორავია?

ბიჭი. (ჯიუტად) არა.

კომისარი. რა ვიცი, ყველა კი გირტყამს, ვისაც არ ეზარება. ეგებ ის უბედური მზარეული გეალერსებოდა?

ბიჭი. (გულჩათხრობილი) დიახ.

კომისარი. საოცარია. მითხრეს, ზურგსუკან ბებერ სულელს ეძახდაო. მართალია?

ბიჭი. ის საფლავშია. მიცვალებულზე კი ცუდს ვერასოდეს მათქმევინებთ.

კომისარი. იცი რას გეტყვი, ბიჭიკო, ყველა მიცვალებული ცოცხალი იყო. მკვდარ არამზადას წმინდანად ვერ აქცევ. ლეონი, აქაური მეეტლე, ეგებ ისიც კარგად გექცევა? (კარტოფილს უჩვენებს) ამაზე რას იტყვი, უფროსო?

ბიჭი. (კარტოფილს ყურადღებით ათვალიერებს) უკეთესია. მხოლოდ ჭუჭყიანი ხელები გაქვთ. ხელი წინასწარ თუ არ დაიბანე, კარტოფილი გაშავდება, თქვენი გაფცქვნილივით.

კომისარი. (დარცხვენილი) კი მაგრამ, შემდეგ ხომ რეცხავთ?

ბიჭი. ხელები სუფთა უნდა გქონდეთ! ბავშვივით მსჯელობთ.

კომისარი. კარგი, უფროსო, ახლავე დავიბან (პირსაბანთან მივა, ხელს იბანს, უდარდელად) შენ, ალბათ, ხედავდი მზარეული და მეეტლე ერთმანეთს როგორ უბათქუნებდნენ.

ბიჭი. (გულჩათხრობილი) ხანდახან.

კომისარი. ალბათ, არ უყვარდათ ერთმანეთი.

ბიჭი. ადამიანები მხოლოდ იმიტომ არ ჩხუბობენ, რომ ერთმანეთი სძულთ.

კომისარი. (დაბრუნდება. ხელს ცხვირსახოცით იწმენდს) მართალია. შენ არც ისეთი უჭკუო ხარ, როგორც ამბობენ. მეეტლე, ალბათ, დანასაც წამოავლებდა ხოლმე ხელს, ხომ მართალია? მითხრეს, ასეთი ხუმრობა უყვარდაო. ის გაბლენძილი დანას ხმარობდა? ხედავ იმ მსხვილ კარტოფილს მარჯვნივ? (დანას ესვრის) აი, ასე!

ბიჭი. (აღტაცებული) უყურე, ერთი! სად ისწავლეთ?

კომისარი. (ყალბი თავმდაბლობით) პოლიციაში ყველაფერი იციან.

ბიჭი. სხვებს რომ აპატიმრებთ, ამის ტარება ხომ აკრძალულია?! (დანას იღებს) რამხელა დანაა! რომ დაგაბეზღოთ, რას იტყვით? (დანს დააბრუნებს) კარგი, ამჯერად გავჩუმდები. ათიოდე კარტოფილი მაინც გაფცქვენით, სანამ ჭარხალსა და სტაფილოს მოვიტან. მხოლოდ კანი თხლად ააცალეთ, ერთი ვნახოთ, საკუთარ დანას როგორ ხმარობთ. (გადის, კომისარი ოდნავ გაოცებულია, კარტოფილს ფცქვნის. შემოდის იუგელინა ლანგრით ხელში).

იუგელინა. ო, უკაცრავად, ბატონო. არ მეგონა, აქ თუ შეგხვდებოდით... ესე იგი, სამზარეულოში...

კომისარი. (ადგება, უხერხულად) არც მე მეგონა. შემთხვევით ჩამოვიარე. ეს კარტოფილი დავინახე. ვგიჟდები, ისე მიყვარს კარტოფილის ფცქვნა. ასე ვიცი ხოლმე ახირება და გეფიცებით, თავი ვერ შევიკავე. სასაცილოა, არა?

(სულელურად იცინის)

იუგელინა. (იპრანჭება) თქვენ წეღანაც ვერ შეიკავეთ თავი. თუ გრძნობთ, გაუთლელი კაცივით რომ იქცევით.

კომისარი. რას ბრძანებთ! სამსახურებრივმა მოვალეობამ მაიძულა, რამდენიმე შეკითხვა შემომეპარებინა.

იუგელინა. (გამომწვევად) ვიცი... ვიცი... ჯერ შეკითხვებს შემომაპარებთ, მერე კი ხელს კაბის ქვეშ. ვერ ვიტან ასეთ რამეებს.

კომისარი. (მიუახლოვდება) ვერ დაგიჯერებ, ჩემო პატარა. პოლიციელები ქალებს კარგად ვიცნობთ. როგორც გავერკვიე, თქვენი ბარონი ჟიული მაინცდამაინც არ გერიდებათ.

იუგელინა. (გამოჭერილია) ის ხომ ჩემი პატრონია. ეს სულ სხვა საქმეა.

კომისარი. ეს საბუთი, ასე ვთქვათ... ფეოდალური ხანისაა. არ მეგონა თუ ცნობილ ოჯახებში ახლაც სარგებლობდნენ პირველი ღამის უფლებით.

იუგელინა. (შემპარავად) ესეც არ იყოს, ბარონი საკმაოდ გულუხვია....

კომისარი. (ოდნავ იმედგაცრუებული), ეს უკვე [illegible]როვე საბუთია. იცით რას გეტყვით, ჩემო მშვენიერო, ახლა მე სამსახურებრივ მოვალეობას ვასრულებ, გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის კი პრეფექტურა არ გვაფინანსებს. ჩემგან ამისი იმედი ნუ გექნებათ. ისიც ნუ დაგავიწყდებათ, რომ თუ ზედმეტი გულმოდგინება გამოვიჩინე, შემიძლია ამ სახლში ვინმეს საერთოდ გავუფუჭო მდგომარეობა. ძნელია გაუძლო დაკითხვას ოქრომჭედელთა სანაპიროზე. თანაც გამოცდილი კოლეგაც თუ დაგვეხმარება... მეგობრული საუბარი ნუ გეგონებათ...

იუგელინა. (შეშფოთებული) კი მაგრამ, მე ხომ არაფერ შუაში ვარ.

კომისარი. ვინ იცის? ასეც რომ იყოს, შვილიკო, ყველაფერს დამტკიცება უნდა! იმის მტკიცება, რომ უდანაშაულო ხარ, როცა ნამდვილად უდანაშაულო ხარ, უფრო ძნელია, ვიდრე მაშინ, როცა დამნაშავე ხარ.

იუგელინა. (მთლად დაჩაგრული) მართლა?

კომისარი. მაშ რა გეგონათ! თუ დამნაშავე ხარ, უკვე გეცოდინება, საიდან და როგორ უნდა დაიძვრინო თავი. ჭეშმარიტება კი ბნელი საქმეა. (უახლოვდება) გამიგეთ, ლამაზო?

იუგელინა. (დაიბნევა) თქვენი ახსნა-განმარტების შემდეგ... (პაუზის შემდეგ) მე კი მეგონა თქვენ სასიამოვნო...

კომისარი. (საიდუმლოდ გადაკრულად) ჩვენთან, პოლიციაში, ცნება „სასიამოვნო“ არ არსებობს (მოეხვევა). მითხარი, მშვენიერო, ბატონი გრაფი მართლა ძლიერ სწყალობდა დაზარალებულს? (იუგელინა ხარხარებს. კომისარი განაწყენდება) რას იცინი?

იუგელინა. დაზარალებული! როგორ შეიძლება ასე ადამიანს უწოდო? რა ვიცი ძველად რა იყო, მაშინ დაბადებულიც არ ვიყავი.

კომისარი. მართლა არავინ იცნობდა ახალგაზრდა კიურეს?

იუგელინა. ზემოთ — არ ვიცი, ქვემოთ კი ყველა მიხვდა. მართალია, მზარეული არ ებოდიშებოდა, მაგრამ გულში ამაყობდა: განათლებული ბიჭი მყავსო.

კომისარი. კიურეს დედა ძალიან უყვარდა?

იუგელინა. რა ვიცი, ვინ უყვარდა! უცნაური იყო. არც მაინტერესებდა. უმწიკვლო ანგელოზი არა ვარ, იცით, მაგრამ თუ კაცს ანაფორა აცვია, არ მსიამოვნებს.

კომისარი. (ქალს ისევ სრესს, ინერციით). ჭურჭლის მრეცხავსაც არ სიამოვნებდა?

იუგელინა. იმ სულელს? რას გაიგებ, იმას რა სიამოვნებს და რა არა? (პაუზის შემდეგ) ის ხომ ჯერ კიდევ ნამდვილი კიურე არ იყო. ერთხელ აგვიხსნა: ჯერ არ უკურთხებიათ.

კომისარი. რაზე საუბრობდნენ, ყური ხომ არ მოგიკრავს.

იუგელინა. ერთხელ შემთხვევით კარს უკან ვიდექი და... არაფერს ისეთს არ ეუბნებოდნენ ერთმანეთს. რაღაც ერთ-ორ სიტყვას წაილუღლუღებდნენ, თუკი დერეფანში შეხვდებოდნენ.

ავტორი. (მათ საუბარს კულისებში ყურს უგდებდა. უცებ გამოვარდება სცენაზე) გეყოფა, გესმის, გეყოფა! ტყუილად ვკარგავთ დროს. თქვენი მეთოდი წყლის ნაყვაა. ერთხელ და საბოლოოდ დაიმახსოვრეთ, რომ ადელი უკვე ორანშია, სემინარიელი კი ამ უბედურების შემდეგ გაიქცა და არავინ იცის, სად იმყოფება. ჰოდა, ასეთი დაკითხვებით ჩემს პიესას ადგილიდან ვერ დავძრავთ....

კომისარი. (ნაწყენი) კი მაგრამ, მე ხომ ნაცადი ხერხით ვმოქმედებ. ჯერ დაკითხვების ქსელში უნდა გაება მოწმეები, შემდეგ კი ჩვენებათა დაპირისპირებით, ლოგიკური დედუქციის მეთოდით ალმოაჩინო...

ავტორი. რა უნდა ალმოაჩინო?

კომისარი. დამნაშავე, ამას თავს ვერ დავანებებ. ვინ მოკლა მზარეული?

ავტორი. (გადაწყვიტა) ახლა კი იძულებული ვარ ჩემი უფლებით ვისარგებლო. ვინ არის პიესის ავტორი, მე თუ შენ?

კომისარი. (დაცინვით) რომელი პიესის? ასეთი რამ ჯერ არ არსებობს.

ავტორი. ნუ ეშმაკობ, ჩემო ძმაო, მეგობრულად გირჩევ, თორემ პრეფექტურას ვთხოვ, უკან გამოგიძახოს. ტელეფონის ერთი წკარუნი და უფრო დამყოლ კომისარს გამოგვიგზავნიან.

კ ო მ ი ს ა რ ი. ეს ხომ დრამატურგიის ყველა კანონს ეწინააღმდეგება!

ა ვ ტ ო რ ი. იმ დღეში, ამ პიესასთან დაკავშირებით რომ აღმოჩნდი, ალბათ, დამეთანხმებით, დრამატურგიის კანონები სულ არ მაინტერესებს. აქედან რაიმე სხვა ხერხით უნდა დავიძვრინოთ თავი. ჰოდა, მე მსურს... გამიგეთ, ძალიან გთხოვთ! ხომ მაქვს უფლება ხანდახან რაიმე მოვიფიქრო? ჰოდა, მსურს ვაჩვენო სცენა. რომელშიც სემინარიელი და ახალგაზრდა ჭურჭლისმრეცხავი პირველად გამოუტყდნენ ერთმანეთს. აი, ასეთი სცენები მართლაც კარგია!

(კულისებში გავა, რომ ადელი და სემინარიელი შემოიყვანოს)

ეი, თქვენ, ორივენი აქეთ მოდით! სად შეხვდით ერთმანეთს?

(შემოდიან ადელი და სემინარიელი)

ა დ ე ლ ი. რა შეხვედრას ბრძანებთ?

ა ვ ტ ო რ ი. თქვენ სასიყვარულო სცენა გაიხსენეთ.

ა დ ე ლ ი. (ყვირის) არ გვქონია ჩვენ სასიყვარულო სცენა! ნუ ამბობთ ამ ხალხში!

ა ვ ტ ო რ ი. ეს უკვე ჩემი საქმეა. გიმეორებთ: პირველად სად გაისაუბრეთ, თუ ასე უფრო მოგწონთ. სამზარეულოში?

ა დ ე ლ ი. დიახ!

ა ვ ტ ო რ ი. (სემინარიელს) აქ იმიტომ ჩამოხვედით, რომ ამას შეხვედროდით?

ს ე მ ი ნ ა რ ი ე ლ ი. (დარცხვენით) დიახ. ესე იგი... მინდოდა რაიმე სამკურნალო ნაყენი დამელია. სადღაც გავცივდი და... პირადი საჭიროებისათვის... ზარს ვერ დავრეკავ, უხერხულია. მაინც უნდა გითხრათ, რომ ადელთან შეხვედრის იმედი მქონდა.

ა ვ ტ ო რ ი. (ადელს, რომელიც ფეხსაცმელს იხდის), რას აკეთებთ? ახლა ხომ თქვენი სცენაა?

ა დ ე ლ ი. (ჩუმად) ფეხზე ვიხდი. მე ხომ მაშინაც იატაკს ვხეხდი... სამზარეულოში იატაკს ყოველ წუთს უნდა რეცხვა. ალბათ, სწორედ ამიტომ, ფეხშიშველა რომ ვიყავი, საუბრის დროს ვიგრძენი... (უცებ აფეთქდება). ეს საზიზღრობაა! საზიზღრობა! არა გაქვთ უფლება ამაზე გაუთავებლად ილაპარაკოთ. ეს ხომ ჩემი საიდუმლოა. სირცხვილისაგან ისედაც არ ვიცი, თავი სად წავიღო. ეს ხომ თითქმის მღვდელია, ანაფორა აცვია... ის კი — მეორე, წუხელაც იყო ჩემთან. კარი ჩავკეტე, მაგრამ დანით გააღო ურდული, ვერც ვიყვირე, სხვები გაიგებდნენ. უმჯობესია, ორანში გავემგზავრო! იქ არავის შევაწუხებ.

ა ვ ტ ო რ ი. (სასოწარკვეთით). რას არ გაიფიქრებს! რა უნდა მოუხერხო ასეთ პერსონაჟს? ნუთუ არ გესმით, რომ საშინელ სისულელეს ამბობთ. სად არის აქ ფსიქოლოგია?! მთელი ჩემი შრომა წყალშია გადასაყრელი. (გაბრაზდება) პარიზს არ მოეწონება ასეთი პერსონაჟი.

ა დ ე ლ ი. (გაოგნებული) არ მესმის, რას ამბობთ. ეს კი ვიცი, რომ გამგზავრება ყველაზე მარტივი გამოსავალია ჩემი მდგომარეობიდან.

ა ვ ტ ო რ ი. (მოთმინებადაკარგული ღრიალებს) რა არის ყველაზე მარტივი გამოსავალი?

ა დ ე ლ ი. დანაპირების შესრულება და გამგზავრება.

ა ვ ტ ო რ ი. ეშმაკმა დალახვროს! თქვენ რა, მართლა წმინდანი ხართ? ბოლოსდაბოლოს, თქვენც ხომ მიხვდით, და ამას სხვებიც გეუბნებოდნენ, სად გაგზავნით მარსელი?

ა დ ე ლ ი. (ჩუმად) დიახ...

ა ვ ტ ო რ ი. თუ ასეა, თქვენი დასკვნა სიბრიყვეა და მეტი არაფერი. რატომ ამბობთ, რომ ეს ყველაზე მარტივი გამოსავალია.

ა დ ე ლ ი. წავალ და ყველა დაშოშმინდება. არც არავინ დამიღრიალებს.

ა ვ ტ ო რ ი. (ალერსიანად) კი მაგრამ, ვინ ღრიალებს? (ამოიოხრებს) რა გამოთქმა მესმის.

ა დ ე ლ ი. ყველა, ვისაც არ ეზარება. მარი-ჟანა მიყვირის; მიხვდა, რომ მისი ვაჟიშვილი კუდში დამდევს. (სემინარიელზე უთითებს) ეს მეუბნება, თავს გაუფრთხილდიო. ის კი, მეორე, მიბრძანებს დავუწვე და მირტყამს. მარსელი თავს მაბეზრებს, შენთვის ვიხლაფორთე, ბილეთი გიყიდე და ახლა უარის თქმა უნამუსობააო. (ამაყად) როგორიც უნდა ვიყო, თავს უფლებას არ მივცემ, ვინმე მოვატყუო და არც არასოდეს მიცრუია. ხომ იცით, რა ძვირია ბილეთი? საიდან მივცე ეს ფული? მთელ წელს უნდა ვიმუშაო. ისინი კი ამბობენ, ამდენს ვერ მოგიცდითო. ესეც არ იყოს, ამ წლის განმავლობაში სესხს პროცენტები დაემატება და უფრო მეტის გადახდა მომიწევს.

ა ვ ტ ო რ ი. (მოთმინებით) ბავშვივით მსჯელობთ. მაგრამ ხომ უნდა გესმოდეთ. თვითონ თუ არ გსურთ, ორანში გამგზავრებას ვერავინ გაიძულებთ, ბილეთიც რომ ნაყიდი იყოს.

კ ო მ ი ს ა რ ი. და საერთო წესის თანახმად, ბილეთი შეგიძლიათ დააბრუნოთ და ფული მიიღოთ.

ა ვ ტ ო რ ი. (გაბრაზებული გააჩერებს კომისარს). გაჩუმდით! თქვენ ხომ არ მონაწილეობთ ამ სცენაში. ყური დამიგდეთ, ადელ: გრაფინიას ოქროს გული აქვს. სთხოვეთ, მიგიღოთ და ყველაფერში გამოუტყდით, მოუყევით, რაც თავს გადაგხდათ. მოგეხმარებათ, აუცილებლად შეგიფარებთ.

ა დ ე ლ ი. (შეშინებული) არავითარ შემთხვევაში.

ა ვ ტ ო რ ი. კი მაგრამ, რატომ?

ა დ ე ლ ი. სირცხვილისაგან მოვკვდები. რომ გაიგოს, ორსულად ვარ... არა, არაფრის გულისათვის. უმჯობესია, ახლავე გავემგზავრო ორანში, ეს მართლაც იოლი გამოსავალია.

კ ო მ ი ს ა რ ი. (მათთან მივა). რაღაც მოვიფიქრე! ხომ უკვე შევადგინე საქმე მარსელზე. ადელი მოვა და უჩივლებს. ამას ალერსიანად და თანაგრძნობით შევხვდები. გავითამაშებთ პატარა სცენას. მარჯვე დაკითხვა და საიდუმლო გამომჟღავნებულია! გოგონას პოლიცია იცავს!!

ა ვ ტ ო რ ი. (სასოწარკვეთილი ხელს მოკიდებს და კულისებში გაიყვანს) იცი, რას გეტყვი, ძველო? დიდად დამავალებ თუ აი, აქ დაჯდები სხვებთან ერთად და შენს რიგს მოუცდი (სცენაზე დაბრუნდება, ჯაჯღანებს) ეს რა ვქენი, ნეტავ რად გამოვიგონე! (ადელსა და სემინარიელს, რომლებიც ერთმანეთის პირისპირ ჩუმად და უხერხულად დგანან) აბა, ჩემო კარგებო, თავიდან დავიწყოთ, თორემ ასე ვერასოდეს მოვრჩები. გაიმეორეთ ყველაფერი ზუსტად ისე, როგორც იმ საღამოს მოხდა (გამნათებლებს უყვირის). ისე გაანათეთ, როგორც მათი შეხვედრის დროს იყო.

სცენის სიღრმეში კიბეზე, ზევით, გამოჩნდება სემინარიელი.

ა დ ე ლ ი. (მიშველი ხელით თვალებზე დაფენილ კულულებს შეისწორებს, ჩურჩულით) იატაკს ვრეცხავდი და... (შეამჩნევს, სემინარიელი შიშველ ფეხებზე რომ მისჩერებია. თითქოს შერცხვაო, ერთ ტერფს მეორეზე დაიდგამს. უცებ გაწითლდება) ფეხზე გავიხადე, ასე უფრო მოხერხებულიც არის და ფეხსაცმელიც არ ჭუჭყიანდება. ალბათ, პარიზელებს სასაცილოდ გეჩვენებათ. ასე მხოლოდ სოფლებში იციან. მე სოფლელი ვარ.

ს ე მ ი ნ ა რ ი ე ლ ი. (ჩუმად) მეც. (უხერხული სიჩუმე) მგონი გავცივდი. ცაცხვის ნაყენი ხომ არ გექნებათ?

ა დ ე ლ ი. უნდა დაგერეკათ, რატომ შეწუხდით?!

ს ე მ ი ნ ა რ ი ე ლ ი. რას ბრძანებთ! პირადი საჭიროებისათვის ვის შევაწუხებ! ესეც არ იყოს, უკვე გვიანია. წიგნებს ჩავუჯექი და... ოქტომბერში გამოცდა მაქვს. ღუმელი, ალბათ, უკვე ცივია. თქვენი შეწუხება არ მინდოდა.

ა დ ე ლ ი. ახლავე გავაცხელებ წყალს სპირტ-ქურაზე.

ს ე მ ი ნ ა რ ი ე ლ ი. ვხედავ, თქვენც გვიანობამდე გიხდებათ მუშაობა.

ა დ ე ლ ი. მე ყოველ საღამოს ვრეცხავ სამზარეულოში იატაკს. ამიტომ უნდა ვიცადო, ვიდრე ყველა შინ არ წავა, თორემ იატაკს დასვრიან. ხანდახან აქ გვიანობამდე რჩებიან. გასაგებიცაა. ამდენი მუშაობის შემდეგ ხომ უნდა წაიჭორავონ ცოტა.

ს ე მ ი ნ ა რ ი ე ლ ი. დილაობით კი ყველაზე ადრე უნდა მოხვიდეთ, არა?

ა დ ე ლ ი. (ჩუმად, ღიმილით) ღუმელი უნდა დავანთო.

ს ე მ ი ნ ა რ ი ე ლ ი. ზამთარში, ალბათ, ძნელია ყველაზე ადრე ადგომა.

ა დ ე ლ ი. რასაკვირველია. სანამ ასანთს იპოვნი და გაყინულ ნავთის ლამპას აანთებ... მერე ღუმელი რომ აგიზგიზდება, სასიამოვნოც არის. შიშობ კიდევაც, რომ მალე მთელი სახლი გაიღვიძებს, აქ ჩამოეხვეტებიან და ისევ დაიწყება ჩვეულებრივი დღე. (ალერსიანად) სემინარიაში, ალბათ, თქვენც სისხამ დილით გაყენებენ, არა?

ს ე მ ი ნ ა რ ი ე ლ ი. ჯერ ხეირიანად არც კი არის ხოლმე გათენებული.

ადელი. ლუმელს თქვენ ანთებთ?

სემინარიელი. არაფერსაც არ ვანთებ. ჩვენ ლოცვები გვაქვს, ცეცხლი არ გვჭირდება.

ადელი. (ალერსიანად) ასე გამოდის, უარეს პირობებში ცხოვრობთ. (ლუმელთან, უცებ შეშინებული ღიმილით შემობრუნდება) ცუდად გამომივიდა, არა?

სემინარიელი. რატომ?

ადელი. იმიტომ, რომ ყველაფერს ღვთის გულისთვის ითმენთ და ეს გიმსუბუქებთ...

სემინარიელი (ღიმილით) არა, არა, გმირი არ გეგონოთ. რაც არ უნდა იყოს, დილით ადრე ადგომა ძნელია. განსაკუთრებით თუ ჯერ შენი წილი პური არ გიჭამია და შენი ჭიქა ყავა არ შეგისვამს.

ადელი. კარგ ყავას გასმევენ?

სემინარიელი. (საპასუხოდ ულიმის) ისე რა, შავი წყალია და მეტი არაფერი.

ადელი. (უცებ, თითქოს თავისი ნების საწინააღმდეგოდ, საოცრად ნორჩი და მომღიმარი) სამწუხაროა, რომ თქვენთან მოსამსახურეებს არ იყვანენ. გემრიელ ყავას მაინც აგიდუღებდით. (ცაცხვის ნაყენს ჭიქაში ჩაუსხამს და მიაწოდებს. შეწუხებული) ეგებ რაიმე ისე ვერ გითხარით?

სემინარიელი. (გაწითლდება) არა, ნუ სწუხართ.

ადელი. (უცქერის, ოდნავ გათამამებული) ყოველთვის ხომ არ იცი, თავი როგორ გეჭიროს... (სიტყვას გასწყვეტს, პაუზის შემდეგ) თქვენ ძალიან ახალგაზრდა ხართ. მღვდლად მხოლოდ ახალგაზრდებს იღებენ?

სემინარიელი. (ღიმილით) ჯერ მღვდელი არა ვარ. ვსწავლობ. აღთქმა ჯერ არ მიმიცია. ანაფორა უნდა დაიმსახურო. ეს არც ისე იოლი საქმეა.

ადელი. როდის გახდებით?

სემინარიელი. გაისად, წლის ბოლოს, გამოცდაზე თუ არ ჩავფლავდი.

ადელი. ასეც ხდება?

სემინარიელი. დიახ. ეს იმათ მოსდით, ვინც თავის მოწოდებაში დაეჭვდება.

ადელი. მერე რაღას აკეთებენ?

სემინარიელი. სოფლებში ბრუნდებიან. მხოლოდ ისევ გლეხად ქცევა ძალიან ძნელია. ამიტომ მეზობლები ეჭვით უცქერენ. სოფლის კიურე კი ყველასეუბნება, ეკლესიის ფული ექნება მოპარულიო. (ყრუდ) გოგონებიც დასცინიან.

ადელი. გოგოები სულელები არიან. შესაძლოა, სულაც არ უნდათ ვინმეს დასცინონ. შეიძლება მათ შორის ისეთიც აღმოჩნდეს ის ახალგაზრდა რომ შეიყვაროს და აბა ხომ აღარ დასცინებს.

სემინარიელი. (ჩუმად) კი, მაგრამ... ალბათ, ის გოგო შეშინდება, სხვების დასაცინი არ გავხდეო და იმ ბიჭს არ გაყვება მოგეხსენებათ ჩვენი სოფლის ამბავი... ის ქალი გამბედავი უნდა იყოს... ან საერთოდ უნდა წავიდნენ სოფლიდან... ერთად... მაგრამ არც ეს არის ადვილი, თუ გოგოს მშობლებს არ უნდათ. (ჭიქას დაუბრუნებს) აი ჭიქა, გმადლობთ.

ადელი. (ალერსიანად) ცოტათი მაინც გათბით?

სემინარიელი. დიახ.

პაუზა.

ადელი. (უეცრად დაირცხვენს) ესეც ასე. ახლა სინათლეს ჩავაქრობ და დავემშვიდობოთ. აჯობებს, თუ ჯერ თქვენ ახვალთ.

სემინარიელი. დიახ, რასაკვირველია. მაპატიეთ... შესაძლოა ჩვენ ველარ შევხვდეთ ასე პირისპირ... მე მინდოდა მეთქვა, რომ... აქ მაინცდამაინც ალერსიანად არ გექცევიან... (ყოყმანობს, მაგრამ მაინც დაამთავრებს) მარი-ჟანაც კი...

ადელი. (ხელს ჩაიქნევს) მოახლეებს ყველგან ასე ექცევიან..

სემინარიელი. გუშინ უხეშად მოგექცათ... მრცხვენოდა მის მაგივრად იმიტომ, რომ... ალბათ, იცით... დედაა ჩემი. გთხოვთ, მაპატიოთ.

ადელი. (თითქოს შეშინდაო) ნუ ამბობთ ასე. (სინათლეს ჩააქრობს. სიჩუმეა) აი ასე. სინათლეც ჩავაქრე. ახლა წავიდეთ.

სემინარიელი. (სიბნელეში) წავიდეთ. (პაუზა) ვიცი, უბედური ხართ... მე ვილოცებ თქვენთვის... (კვლავ პაუზა) თუმცა დარწმუნებული აღარა ვარ, რომ ისე ვლოცულობ, როგორც საჭიროა, მაგრამ ვცდილობ, ძალიან ვცდილობ.

ბიბლიოთეკა

ადელი. (რბილად, თითქმის ნაზად) მაშ, რატომ შეხვედით სემინარიაში?

სემინარიელი. (ყრუდ) გლეხის ცხოვრებისა შემეშინდა. (ისევ პაუზა)

ადელი. ადით ზევით. შესაძლოა აქ ვინმე მოვიდეს.

სემინარიელი. კარგი (მაინცდამაინც არ უნდა წასვლა. ადელი ყურს უგდებს ფეხის ხმას. მერე ჭიქა გაახსენდება. გარეცხავს, გაწმენდს და კარადაში ინახავს. შავ თავშალს მხრებზე წამოისხამს, ფეხსაცმელს ჩაიცვამს და კიბისკენ მიდის, ნავთის ლამპით ხელში. როცა ადელი უნდა გავიდეს, შემოდის ავტორი).

ავტორი. (ალერსიანად) ეს იყო ყველაფერი?

ადელი. დიახ, ბატონო.

ავტორი. კარგი, წადი, ჩემო პატარა. ღამე მშვიდობისა. (ადელი გავა. გულდაწყვეტილი ავტორი სცენაზე ბრუნდება) რა მოგვცა ამ ეპიზოდმა? არაფერი. ცხადია, ერთმანეთი უყვართ. ეს არ შეიძლება არ შეამჩნიო. მაგრამ რამეს ათქმევინებ? მორცხვები არიან. თითქოს პირი აუკრეს. რამდენი სცენაც არ უნდა დაუწერო, მეტს მაინც არაფერს იტყვიან. გოგონას ბავშვობიდანვე ყველაფრისა ეშინია. ბიჭი კი, ხომ ნახეთ, შიშისაგან რაც დაემართა: წამდაუწუმ იწმენდდა თავის უზარმაზარ ოფლიან ხელებს. სიტყვას დააცდენინებ! აუტანელი პერსონაჟები არიან. აუტანელი! მაგრამ ეშმაკმა დალახვროს! პიესაში ხომ უნდა იყოს სიყვარულის სცენა! (მოქმედი პირნი ზემო სართულიდან უცქერიან ავტორს და სურთ მიხვდნენ, რა ელით. ავტორი შეამჩნევს და წამოიძახებს) ესენი კი ზემო სართულიდან, ჯერ კრინტიც რომ არ დაუძრავთ, ხომ შემჭამენ! თქვენ არც კი იცნობთ მათ. ბარონი ჟიული და ბარონესა, გრაფინია და მისი შვილები! ო, ღმერთო! (ხელებს ცისკენ იშვერს) ბავშვებიღა მაკლდა! თეატრისათვის ეს კატასტროფაა! ბავშვებს აიძულებთ თამაშს? (სარდაფის პერსონაჟებიც სცენაზე გამოდიან თანდათან) მამილო რომენი, მოურავი, რომელმაც კომიკური სცენა უნდა გაითამაშოს! თვით მარი-ჟანა! ჯერ თითქმის არაფერი უთქვამს, მაგრამ ისეა ჩაფიქრებული, რომ... პირდაპირ კაბიანი ფალსტაფია! შექსპირის პერსონაჟი (შეშლილივით ყვირის).

არა, არა! ნიჭის ნასახიც კი არ გამაჩნია. (ყველანი დაღვრემილები შესცქერიან იმედგაწყვეტილ სასოწარკვეთილ ავტორს).

კომისარი. (რომელიც სხვა პერსონაჟებთან ერთად შემოვიდა სცენაზე, კმაყოფილია მოვლენათა ასეთი შემობრუნებით. ცეცხლზე ნავთს ასხამს. ავტორს, ეშმაკურად) ყველას აინტერესებს, ვინ მოკლა ნზარეული. ბოლოსდაბოლოს, მაყურებელს სულ დაეკარგება ინტერესი ამ ამბისადმი. (ამ წინადადებით წამხდარი ავტორი სცენის შუაგულში სავარძელში ჩაესვენება. პერსონაჟები გარშემოეხვევიან).

ავტორი. (მთლად განადგურებული) რა უნდა ვქნა ახლა?

კომისარი. (ღიმილით) თეატრში ამისთვის ყოველთვის არის ერთი გამოსავალი: შესვენება გამოაცხადეთ.

ავტორი. (თითქოს ათი წლით გაახალგაზრდავდაო, ისე წამოხტება) რასაკვირველია! ბრწყინვალე აზრია! შესვენება. ყველა ყველა და შესვენების უფლება ავტორისათვის არვის წაურთმევია. მოფიქრების დროც გვექნება. (მაყურებლისაკენ გამოვა, აცხადებს) შესვენება. ალბათ, არც თქვენ იქნებით წინააღმდეგი (შემობრუნდება, ყვირის, კალასნიკებისაკენ) ფარდა! (როცა ფარდა ეშვება, მაყურებელს მიმართავს) თუ პატივსა გვცემთ, ამით არ ისარგებლოთ და არ აითესოთ!

ფარდა

## მეორე მოქმედება

იგივე დეკორაცია. ფარდა რომ აიხდება, ყველა პერსონაჟი სცენაზეა, სამზარეულოში ან კიბეზე: ერთ მხარეს ბატონები, მეორე მხარეს კი — მოსამსახურენი. ეტყობა, ფარდა მათთვის მოულოდნელად გახსნეს. მსახიობები ჯერ ჩუმად არიან, ერთმანეთს შეშფოთებით გადახედავენ ხოლმე, თან კულისებისაკენ იცქირებიან. თითქოს ვიღაცას ელიანო. ბოლოს მოურავი ხელს უიმედოდ ჩაიქნევს, ჩაახველებს და დაიწყებს.

რომენი. პატრონს არ ვუჩიოდი. ჯამაგირიც კარგი გვქონდა. სახლშიც წესრიგი იყო და უცებ, ერთ მშვენიერ დღეს...

ლეონი. (კუთხეში დგას მოღუშული. მაგიდაზე დარჩენილი ბოთლიდან წითელ ღვინოს დაისხამს ჭიქაში) კარგი პატრონი ჯერ არ გამიგია. მახსოვს ბებრუხანას დროს...

რომენი. ყოველთვის შესამჩნევი იყო, რომ თქვენ და უბედური მარი-ჟანაც არასწორად და თავისებურად აზროვნებდით. არ დაგიმალავთ და ჩემზე რომ იყო დამოკიდებული...

ლეონი. (იკრიჭება) კიდევ კარგი, ყველაფერი თქვენზე კი არა, მარი-ჟანაზე იყო დამოკიდებული. უფრო სწორედ, მარი-ჟანას ძუძუებზე — რადგან გრაფი ხუთ წელს ზედიზედ სწყალობდა. მარი-ჟანა მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ ჩამოვიდა სამზარეულოში (თითს ასწევს) ასეთ ქალს კი ვერ დაითხოვდით...

რომენი. (აღელვებული) ბატონების ცხოვრება მხოლოდ მათი საქმეა. არც მინდა ამაზე რაიმე ვიცოდე. ჩემს მდგომარეობაში ბევრ რამეზე უნდა დახუჭო თვალი.

ლეონი (მოღუშული) კარგია, როცა შეგიძლია დახუჭო... კი, მაგრამ, იმათ რაღა ქნან, ვისაც თვალები დაჭყეტილი უნდა ჰქონდეს (მცირე პაუზის შემდეგ, ყრუდ) ყოველთვის ფიცხი ვიყავი. თუ რაიმეს მაწყენინებდნენ, ვიღაცაზე მაინც აუცილებლად ვიყრიდი ჯავრს... ოც წელს მოვითმენ, მაგრამ ბოლოს მაინც ავიწყვეტ. როცა ბებრუხანა ან ეს უბადრუკი ბარონი ჟიული გამიბრაზდებოდნენ, ჩავკეტავდი ცხენებს საჯინიბოში და ვურტყამდი. ბატონებამდე ჯერ ხელი არ მიმიწვდება. არა უშავს, მოვიცდი... მაგრამ ცხენები...

რომენი. (სასოწარკვეთილი ხელებს ცისკენ აღაპყრობს) ამ სახლში კი წესრიგი იყო. თავისებური, მაგრამ მაინც წესრიგი ერქვა... ახლა? (უცებ იკივლებს) უწესრიგობას ვერ ავიტან! ჩვენ ყველამ უნდა გავაორმაგოთ გულმოდგინება, რომ მეორე ქალბატონს, ჭეშმარიტად ღვთისნიერ ქალს, ხელი შევუწყოთ, ეს უბედურება დაივიწყოს.

ლეონი. (იკრიჭება) ვინ არის ღვთისნიერი? დაშაქრული? აბა, მარსელ, მოუყევი ერთი...

მარსელი. (ოდნავ დარცხვენილი, გაურკვევლად შლის ხელებს) იცი, რასაც ვამბობდი, ტყუილია. უკვე შეიძლება გამოგიტყდეთ. ეს პოლიციელები ისედაც გაგვახვევენ ბადეში, საქმეს ნუღარ გავირთულებთ. არ დაუძახია ჩემთვის დაშაქრულს არასოდეს, როცა მოხუცი თავის კლუბში ათენებდა. არცერთხელ არ დაუძახია. ამას იმიტომ გიყვებოდით, რომ თქვენ თვალში მეტი წონა მქონოდა.

ლეონი. (გაოგნებული უყურებს. მერე იმედგაცრუებული ღვინოს დაისხამს) სამწუხაროა... მისგან მხოლოდ ქმრის ღალატს ვიტანდი და... წმინდანებს რომ ვუყურებ, გული მერევა.

იუგელინა. გრაფინია ცუდი ქალიაო, ვერ იტყვი. მაგრამ ისე კეთილია, რომ ამ სიკეთით ყველას აწუხებს. სიმართლე უნდა ითქვას. ჩემი აზრით, სულელია. თვად განსაჯეთ: გაჰყვე ოცი წლით უფროს მოხუცს და რქებიც არ დაადგა!

რომენი (კივის) საზოგადოებისთვის სიქველე გრაფინიას ტრადიციაა!

იუგელინა. ბარონესა ჟიული მირჩევნია. ადვილად ვუგებთ ერთმანეთს. როცა ცუდ ხასიათზეა, შესაძლოა, ერთი-ორჯერ ფეხსაცმელი გთხლიშოს, მაგრამ მალე გაუვლის. სამაგიეროდ, ერთიდაიმავე კაბას მხოლოდ სამჯერ იცვამს. საყვარლებსაც რამდენჯერმე იცვლის ყოველწლიურად. აი, ნამდვილი ქალბატონი!

რომენი. (თავს იქნევს შეურაცხყოფილი) ქალბატონ ბარონესასაც აქვს ტრადიციები, ოღონდ სხვანაირი! ეს არის და ეს. არისტოკრატებს უამრავი ტრადიცია აქვთ. ჩვენ პატივი უნდა ვცეთ მათ ტრადიციებს და არ განვსაჯოთ.

მარსელი. (უნებური აღტაცებით) ბატონი ჟიულიც მაგარია! რასაკვირველია, სხვადასხვა ქალები ჰყავს, მაგრამ ეს ისე, სხვათა შორის! მისთვის მთავარი დოღია! მთელი ორი საათი უზის დოღის პროგრამას იპოდრომზე. მაგრამ სადაც ის ათ ლუიდორს დებს, მე ხუთი ფრანკი შემაქვს. მხოლოდ ამიტომა ვარ ჯერჯერობით ლაქია... საკმაო კაპიტალის გარეშე, ახლა ვერაფერს გააკეთებ.

ბარონი. (ხელშეხვეულია, უცებ შეინძრევა კიბეზე, სადაც ბარონესას გვერდით გულგრილად იჯდა) ეტყობა, ეს გამოძიება არასასიამოვნოდ შემობრუნდება. კლუბშიაც ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდი. „ჟიულ, ძვირფასო, ყველამ იცის, რომ შენ სახლში გემრიელ კერძებს ამზადებენ. მაგრამ, მგონი, ამჯერად გადაამლაშეთ! ამბობენ, გიბრძანებია, პაშტეტის მოსამზადებლად მზარეულმა ქალი დაჰკალითო!“ ყველას დასაცინი გავხდი... მოკლედ, იძულებული შევიქენ დეზეპენგლეტისათვის სილა გამერტყა. იმ ბრიყვს კი, ხელში არასდროს დაშნა რომ არ სჭერია, დუელის დროს სველ მიწაზე ფეხი დაუცდა და ხელში დამჭრა!

ბარონესა. რა გგონიათ, მე კი მსიამოვნებს ეს ამბავი? ჭორი გავრცელდა, ნზარეული ქალისთვის დუელი ჰქონდაო (უცებ წამოიყვირებს). დაგავიწყდათ, რომ პირველ საათზე ავსტრიის ელჩთან უნდა ვისაუზმოთ? ჩემო კარგო, ჩაცმას ვერ მოასწრებთ. თქვენთვის ხომ ორჯერ მეტი დროა საჭირო, ვიდრე ჩემთვის!

ბარონი. არ წამოვალ. კოკო უკვე გავაფრთხილე, ბარონესა მარტო იქნება-მეთქი. „მაქსიმთან“ ვისადილებ.

ბარონესა. კარგი! მაშინ ჩვენს მეეტლეს ზიზისთან გავგზავნი. ზიზიც მიწვეულია საუზმეზე. შევუთვლი გამომიაროს. ზიზი სიხარულით შეგცვლით.

ბარონი. (საკმაოდ მხიარულად) ჩემს შეცვლას ის გარკვეულად შეჩვეულია.

ბარონესა. ნუ ხუმრობთ, ჯერჯერობით ეს ნაადრევია.

გრაფინია. (ახლა მისი ჯერი დადგა, შეინძრა და დაიჩურჩულა) რა კარგი მოსამსახურეები გვყავდა... ადელი კი უბრალოდ ძალიან მიყვარდა. მისი უსიტყვო მორჩილება გულს მიჩუყებდა. როცა შევთავაზე, ჩვენი პატარა ტიბო მოენათლა, მეგონა დიდად ეამებოდა, მაგრამ ეს რაები გვითხრა? განზრახ არჩევდა უხეშ გამოთქმებს, განზრახ ყვიროდა, თითქოს ჯადო-სიტყვებს წარმოთქვამდა.

გრაფი. (რბილად) ხომ გეუბნებოდით ნუ ჩახვალთ-მეთქი. თავისი როლი ყველამ უნდა შეასრულოს იქ, სადაც ბედმა არგუნა. სავანედ თქვენ მეორე სართული გერგოთ. როცა რაიმე დაგჭირდებათ, ჩემო კარგო, უნდა დაურეკოთ. თქვენი ხნის რომ ვიყავი, მეც გულჩვილი გახლდით და საკუთარი გამოცდილებით ვიცი: თუკი იქ ერთხელ მაინც ჩაიხედეთ, ცუდად დამთავრდება ყველაფერი. სამართალს ღმერთი იცავს. დაუთმეთ ეს საქმე ღმერთს.

გრაფინია. აღფრთოვანებული ვარ თქვენი უდარდელობით. მე კი ამ ტრაგედიის გარდა სხვა რამეზე ვერც ვფიქრობ (მიბრუნდება სემინარიელისკენ, რომელიც სცენის სიღრმეში გაშეშებულა და მიაშტერდება) პირველად რომ შევხვდი, ეს ახალგაზრდა კიურე ისე სანდომიანი მეჩვენა...

გრაფი. (ისიც სემინარიელისკენ შებრუნდება) დიახ, საკმაოდ სანდომიანი ჭაბუკია. სულ მე მგავს, როცა ოცი წლისა ვიყავი. მხოლოდ ხელები აქვს უფრო დიდი...

გრაფინია. (სევდიანი საყვედურით) ჩემო კარგო...

გრაფი. ჰო, ძვირფასო, ვისღა ვუმალავთ? ერთი კვირაში ამას ყველა გაზეთი გამოაცხადებს.

გრაფინია. ნუ ხუმრობთ. ყველაფერზე ხუმრობა არ შეიძლება! მითხარით, გიყვარდათ ის... (ვერ გადაწყვიტა რა თქვას და გაჩუმდება)

გრაფი. (მიუბრუნდება) ვინ ის?

გრაფინია. არც კი ვიცი, რა ვუწოდო...

გრაფი. (მოულოდნელად, გაყინული ხმით) აღიარებულ ლექსიკონებში ასეთი სიტყვა ბევრია: ქალი, როსკიპი, ჩოახლე...

გრაფინია. (რბილად) ისეთი რამ არ მინდა ვთქვა, რომ გეწყინოთ, ტიბო...

გრაფი. (თითქმის გამომწვევად) გაგიძნელდებათ. ყოველი სიტყვა საწყენია. დამიჯერეთ, ძვირფასო, სჯობს ამაზე აღარ ვილაპარაკოთ. ჩვენი საუბარი ისედაც სასაცილოსა და ამაზრზენის საზღვარზეა, გააჩნია ამ საქმეს როგორ შეხედავ. ერთი კია, ასეთი საუბარი ნამდვილად არ შეგვეფერება. რაც მთავარია, ეს პირადად ჩემი საქმეა და... დიდად დამავალებთ თუ ამ თემას არასოდეს დავუბრუნდებით...

გრაფინია. (რბილად) ხომ არ ჩაგიხედავთ....

გრაფი. (არ სურს მიხვდეს, რასაც ეკითხებიან) სად?

გრაფინია. სარდაფში.

გრაფი. (ხელს ჩაიქნევს) მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ამ საქმესთან არავის ხელი არა აქვს, იმ ხანშიშესული ქალის გარდა, პორტრეტიდან რომ გვიცქერის. კიდევ კარგი, ზრდილობიანი იყო და დროზე გარდაიცვალა.

გ რ ა ფ ი ნ ი ა. (მცირე პაუზის შემდეგ) ხანდახან საშინლად მკაცრი ხართ, ტიბო... საკვირველია, ისეთი კეთილი ადამიანი ბრძანდებით და..

გ რ ა ფ ი. ადამიანი შეიძლება ყოველნაირი იყოს. რაც შემეხება მე, კენჭი უკვე ვიყარე და ამოვირჩიე როლი, უპირველესად ყოვლისა, კარგად აღზრდილი, მომთმენი, მოსიყვარულე და შეძლებისდაგვარად ოხუნჯი ადამიანისა. ეს უფრო იმიტომ გავაკეთე, რომ ბედმა წილად მარგუნა არც თუ ისე უხიფათო ხვედრი: ოცი წლით ახალგაზრდა ცოლი. ცხოვრება ისედაც ძნელია, გართულებები რაღა საჭიროა? საკვირველია, მაგრამ ფაქტია: ათასგვარი თავგადასავლით სავსე ჩემს ცხოვრებაში ძალიან ცოტა რამ მაქვს გულთან ახლოს მიტანილი და განცდილი.

გ რ ა ფ ი ნ ი ა. ოჰ, როგორ მინდა ერთხელ მაინც მოვისმინო თქვენი ღმუილი.

გ რ ა ფ ი. (მკვეთრად) მაგისი იმედი ნუ გექნებათ! რაც არ უნდა შემემთხვეს, არ დავიღმუვლებ.

უ ფ რ ო ს ი ბ ი ჭ ი. (უცებ შეინძრევა) დედიკო, ლათინურს ვინ გაგვამეორებინებს?!

გ რ ა ფ ი ნ ი ა. მე, ჩემო კარგო, წიგნი თანა გაქვთ?

უ ფ რ ო ს ი. დიახ, კი მაგრამ, თქვენ შეძლებთ?

გ რ ა ფ ი ნ ი ა. რასაკვირველია.

უ მ ც რ ო ს ი. ახლა სხვა აბატი გვეყოლება?

გ რ ა ფ ი ნ ი ა. დიახ.

უ ფ რ ო ს ი. ამასაც უფროსი ძმა გაუხდა ავად?

გ რ ა ფ ი ნ ი ა. არა, ეს სულ სხვა მიზეზით წავიდა.

უ ფ რ ო ს ი. რა მიზეზით?

გ რ ა ფ ი ნ ი ა. რა ცნობისმოყვარე ხარ! დეპეშით გამოიძახეს.

უ მ ც რ ო ს ი. მართალია, მზარეული ქალი მოკვდაო?

უ ფ რ ო ს ი. მარსელმა გვითხრა: მოკლესო! მართალია?

გ რ ა ფ ი ნ ი ა. მარსელი ტუტუცია. ხომ აგიკრძალეთ მოსამსახურეებთან ლაპარაკი. (შემობრუნდება და შეხედავს მარი-ჟანას, რომელიც მსახურთა შორის უძრავად დგას გარინდებული. ყველა მას უყურებს. მარი-ჟანა მძიმედ შეიქნა ავად და საავადმყოფოში წაიყვანეს. რასაკვირველია მომჯობინდება. მაგრამ თუ ღმერთი მის გამოჯანმრთელებას არ ინებებს, მაშინ მარი-ჟანა ცაში გაფრინდება.

უ მ ც რ ო ს ი. ცაშიც მზარეულად იმუშავებს?

უ ფ რ ო ს ი. დედიკო, მართალია, რომ ადელი ზანგებთან გაქცეულა? ამბობენ, იქ ისე ცხელა, პერანგის ამარა იმუშავებსო.

გ რ ა ფ ი ნ ი ა. (უცებ ვერ გაერკვა) რატომ პერანგის ამარა?

უ მ ც რ ო ს ი. (იმეორებს) მართლაცდა, რატომ პერანგის ამარა?

გ რ ა ფ ი ნ ი ა. (უცებ მიხვდება, რაშიაც არის საქმე და წამოიძახებს) ღმერთო ჩემო, ასეთი მოციცქნულები და უკვე ამდენი შეკითხვა! დაიმახსოვრეთ: არასოდეს იკითხოთ, რაც თქვენი საქმე არ არის. სამოახლოშიც არ დაგინახოთ, საზიზღარ ლაყბობას ყურს რომ უგდებდეთ. ასე უზრდელი ბავშვები იქცევიან.

(ავტორი, რომელიც ეს-ეს არის პოლიციის კომისართან ერთად შემოვიდა სცენაზე სამზარეულოში, გრაფინიას უკანასკნელ სიტყვებზე შეხტება)

ა ვ ტ ო რ ი. რა საზიზღარი ლაყბობაო? როგორ იქცევიან უზრდელი ბავშვებიო? რას ამბობს? (უძახის) რას ამბობთ, ქალბატონო? ვინ მოგცათ ლაპარაკის უფლება? რა უბედურებაა?! შესვენებაზე ყავის დასალევად გავედი და ესენი კი...

რ ო მ ე ნ ი. (ისიც სამზარეულოში შემოდის). თუ შეიძლება, გვაპატიეთ, ნუ გაგვიჯავრდებით. განსაკუთრებით, გრაფინიას ნუ აწყენინებთ. მას უნდოდა ყველაფერი უკეთ ყოფილიყო. ჩვენც ყველას ასე გვინდა. მე დავილაპარაკე პირველმა, ჩემო ბატონო, საკუთარი ინიციატივით. ფარდა გაიხსნა და... ალბათ, შეეშალათ. რაღაცა ხომ უნდა გაგვეკეთებინა. გამბედაობა გვეყო და თქვენი პიესა გავაგრძელეთ, ჩემო ბატონო.

ა ვ ტ ო რ ი. (შეშინებული) თქვენ? თვითონ?

რ ო მ ე ნ ი. (თავმდაბლურად) დიახ, ბატონო, საკუთარი ძალებით.

ა ვ ტ ო რ ი. (ჩუმად, შეშინებული) ესენი... გისმენდნენ?

რ ო მ ე ნ ი. დიახ, ბატონო, და ინტერესითაც.

ა ვ ტ ო რ ი. არ აჭველებდნენ?

რ ო მ ე ნ ი. მგონი, არა (პაუზის შემდეგ). ესე იგი, ხანდახან.

ა ვ ტ ო რ ი. ასე. ალბათ, ტექსტი არ მოეწონათ (რამპასთან მივა). მაპატიეთ, ქალბატონებო და ბატონებო. ვიმედოვნებ, ძალიან არ გამიჯავრდებით. ეს მონაკვეთი, ამათ რომ განახეს, ჩემი მოგონილი არ გეგონოთ. ახლა კი ნამდვილ პიესას განვაგრძობთ (მამილო რომენს უძახის) მისმინეთ, მეგობარო... კარგი პატრონები გყავთ?

რ ო მ ე ნ ი. ჩინებული, ჩემო ბატონო.

ა ვ ტ ო რ ი. მსახურნი?

რ ო მ ე ნ ი. (ხელებს გაშლის) ნაკლი, ბატონო, ყველასა აქვს. ვინც აქ მსახურობს, სავსებით აკმაყოფილებს იმ მორალურ თუ პროფესიულ მოთხოვნებს, რასაც უყენებენ, თუ ჩემი აზრი პატრონებზეც გაინტერესებთ, ვიტყვი, რომ გრაფინია ძალიან კეთილია.

ა ვ ტ ო რ ი. ამბობენ, შინაყმაზე ზრუნავსო. იმ უბედური ჭურჭლისმრეცხავისათვის, შემდეგ რომ გაიქცა, შვილი უნდა მოენათლინებინაო?

რ ო მ ე ნ ი. (უეცრად ცივად) ეგ ყველაზე საბედისწერო შემთხვევა იყო ჩემს ცხოვრებაში და კინაღამ კარიერა ზედ არ მივაყოლე. უნდა გამიგოთ, თქვენს პიესებში ყოველთვის ძველებური წესრიგის დამცველი ვიყავი. ეს წვრილმანი წჭთამამება და განებივრება მოსამსახურეებს მხოლოდ რყვნის.

ა ვ ტ ო რ ი. კი, მაგრამ მსახურებმაც ხომ უნდა გამოიძინონ!

რ ო მ ე ნ ი. საქმე მხოლოდ ძილში და ყოველგვარი სიკეთის მოხმარებაში ხომ არ არის? თუმცა ზოგიერთი ჩვენი თანამოძმე, თავი ახალი იდეებით რომ გაუხურებია, გარკვეულ მოთხოვნილებებსაც აყენებს. ეს, ცხადია, ახალმოდური პროფკავშირების გავლენით მოსდით.

ა ვ ტ ო რ ი. როგორც ვხედავ, პოლიტიკაში კარგად ერკვევით. გმადლობთ, ჩემო მეგობარო.

კ ო მ ი ს ა რ ი. საშინელი კაცია ეს ბებერი იქტიოზავრი! შესაძლოა, მზარეული სწორედ მან მოკლა! და იცით რატომ? ალბათ, შემწვარი ხორცი სწორად და ლამაზად ვერ დაჭრა!

ა ვ ტ ო რ ი. ჩემო კარგო მეგობარო, გირჩევთ, ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვროთ, რომ თქვენი ყაზარმული ხუმრობანი აღარ გამოგვადგება. სპექტაკლის დასაწყისში მხოლოდ იმიტომ ვითმენდი, რომ მაყურებლის გული მომეგო. ბოლოსდაბოლოს, ხომ უნდა გაიგონ, რისთვის მოვიწვიეთ.

კ ო მ ი ს ა რ ი. (ჩაიხითხითებს, ავტორისადმი პატივისცემა მთლად დაკარგა) ეს, ალბათ, თქვენც არ გაწყენთ. ხომ მართალია?

ა ვ ტ ო რ ი. ნუ თავხედობთ. მე ძალიან კარგად ვიცი, ამ პიესით რაც უნდა მეთქვა. სხვა საქმეა, ვერაფერი რომ ვერ დავწერე.

კ ო მ ი ს ა რ ი. თქვენ მართლა არ გინდათ, დაგეხმაროთ?

ა ვ ტ ო რ ი. (ქედმაღლურად) ყური დამიგდე, ძველო: იქნებ მართლაც კარგი იყავით პიესის დასაწყისში, როცა მაყურებელს ვართობდით. მაგრამ ისეთი პერსონაჟით, თქვენ რომ ხართ, ჭეშმარიტად დიდ ხელოვნებამდე ვერ ავმაღლდები.

კ ო მ ი ს ა რ ი. (შეურაცხყოფილია) ვერ გამიგია, ასე რატომ მელაპარაკებით? სულ არ მინდოდა რაიმე მეწყენინებინა...

სამზარეულოს სიღრმეში ხმები გაისმის. შემოდის მარი-ჟანა. ადელს შემოათრევს. ავტორი და კომისარი ცდილობენ ჭურჭლის მრეცხავი ხელიდან გამოგლიჯონ, მაგრამ ვერ ახერხებენ და დანებდებიან.

მ ა რ ი-ჟ ა ნ ა. მიპასუხე! მიპასუხე, კახპავ, დღეს უკვე მეორედ შეგისწარით, ერთმანეთს რომ ეკურკურებოდით! რას გეუბნებოდა?

ა დ ე ლ ი. არაფერს! ფეხსაცმლისათვის ვაქსი მთხოვა.

მ ა რ ი-ჟ ა ნ ა. გამოაწყოს ფეხსაცმელი კართან და ბატონებთან ერთად გაუწმენდენ.

ა დ ე ლ ი. (ცოცხლად) მეც დიდი სიამოვნებით გავუწმენდდი, მაგრამ არ მანებებს.

მ ა რ ი-ჟ ა ნ ა. (ცივად ათვალიერებს) თვითონ გინდოდა გაგეწმინდა?

ა დ ე ლ ი. დიახ, იმას კი არ უნდა.

მ ა რ ი-ჟ ა ნ ა. რა შენი საქმეა ფეხსაცმელების წმენდა? გრაფის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარონისა და ბავშვების ფეხსაცმელს მარსელი უვლის, დაშაქრულისას და ბარონესას კი იუგელინა.

ადელი. ვიფიქრე, მე თუ გავუწმენდ, ნაკლებ დაირცხვენს მეთქი. ყოველთვის ისე ჭუჭყიანი და მოუვლელია, ყურადღებას არავინ აქცევს. ანაფორაზეც კი აკლია ღილები.

მარი-ჟანა. შენ რა, ღილების დაკერებაც შესთავაზე?

ადელი. შევთავაზე. (უცებ ყვირილით) თქვენც დედა ხართ! თვითონ მოუარეთ, უყურადღებოდ რატომ სტოვებთ. შვილი რომ მყავდეს, მოსავლელი ვინმე რომ მყავდეს...

მარი-ჟანა. (თბილად) შენგან კეთილი მეუღლე დადგებოდა, ხომ მართალს ვამბობ? დაელოდებოდი ქმარს შენთვის წყნარად სამზარეულოში, გემრიელ კერძებს მოუმზადებდი...

ადელი. (ჩუმად, დახუჭული თვალებით) დიახ.

მარი-ჟანა. (რამდენიმე წამს ზიზღით შესცქერის ბედნიერებისაგან ავარდისფერებულ, სიამაყით თვალდახუჭულ ადელს, შემდეგ კი სილას უბაში გაუქანებს) კახპა! ხედავთ, ანაფორას უთვალიერებს! ქვეშ საგებელი ხარ, და მეტი არაფერი! შენ ხომ უარს არავის ეუბნები! ჩემი ბიჭი მღვდელმსახურია, გესმის? შენი ჭუჭყიანი ხელებით სულში ნუ უძვრები, ტურტლიანო! აბა, ცოცხლად, ფეხზე გაიხადე და იატაკი მოხეხე!

ადელი. (არ დანებდა, უყვირის) ჯერ არ არის მღვდელი! თვითონ მითხრა! ჯერ კიდევ შეუძლია თავი დაანებოს...

მარი-ჟანა. გაისად აკურთხებენ. ღმერთთან არა მესაქმება რა, მაგრამ აბა ერთი უარი გაბედოს! შენი გულისათვის უნდა დაანებოს თავი? (უხეშად შემოაბრუნებს) გაბერილი დადიხარ და მე თუ არ გიშველე, მუცელს ვერ მოიშორებ. ვისგან დაფეხმძიმდი ჯერ ვერ გაგირკვევია და უკვე ახალს ებლაუჭები! ნაგავო! ხვეწნაც კი არ გინდა... საკმარისია შენთან ოთახში კაცი შემოვიდეს. თავს წახვედი... საკუთარ სახლზე ოცნებობ! გგონია, რადგან კარაქის ამოყვანა და ტანსაცმლის კერვა ისწავლე, ცოცხსა და ტილოს უნდა შეეშვა! ხეხე იატაკი, ბინძურო! ქმარი მოუნდა! ვინ მოგიბრძანოთ, ქალბატონო! ჩემი ბიჭი! ვისაც მთელი სიცოცხლე შევწირე, ნამდვილი კიურე რომ გამხდარიყო! ის უკვე კეთილშობილი გვარის კაცსა ჰგავს, ბატონს, აი მხოლოდ ხელები... ეს კი ოცნებობს ასეთი რამ ჯერ არ მსმენია! სულელი! (ადელი მაგიდაზე დამხობილა, თავი ხელებში დაუმალავს და ქვითინებს. მარი-ჟანა ღუმელთან მიდის) კარგი, გეყოფა, ახლავე დაგიმზადებ წამალს. მეცოდები, შე უბედურო!

ადელი. (ტირილით) არ დავლევ! ნაღველივით მწარეა!

მარი-ჟანა. დღეს უფრო მწარე იქნება ვიდრე გუშინ, ხვალ კიდევ უფრო მწარე... ყოველ ჯერზე ბალახს ვუმატებ. ისედაც ბევრია ქვეყანაზე ნაბიჭვრები. ერთიც თუ დავაკელით, ისიც კარგია.

ადელი. (ცრემლები აღრჩობს) იმას უკვე უთხარი?

მარი-ჟანა. არავისთვის არ მითქვამს. მეტი საქმე არა მაქვს, შენი გულისათვის ნახევარი წლით ციხეში ჩავჯდე. ვის უნდა ვუთხრა?

ადელი. იმას.

მარი-ჟანა. (დამცინავად) მღვდელმსახურს? ესღა მაკლდა! ვინა გგონივარ? (გულწრფელად გაოცებულია) შენ რა, ზრდილობაზე არაფერი გაგიგია? ან საერთოდ, ყური არ მოგიკრავს, რომ არსებობს, რა ჰქვია იმას... ტაქტი? რად უნდა მეთქვა? იმ წამსვე ქადაგებას მოჰყვებოდა და იტყოდა, ბავშვს თვითონვე მოვნათლავო. ვითომ არ იცნობ მაგ წმინდანებს?! ცხოვრებისა არა გაეგებათ რა...

ადელი. (კვნესით) რომ გაიგოს, თავს მოვიკლავ!

მარი-ჟანა. (ღუმელს მიხედავს, თან წამალს ურევს) ნუ ჩქარობ! სიკვდილი თვითონ მოგნახავს, როცა დაბერდები და ჩემსავით გაცვდები... ოღონდ მანამდე ცრემლის ტომარა უნდა დაცალო, ყველა დარტყმა უნდა იგემო; ყოველდღე, ცხოვრების ბოლომდე, სხვისი იატაკი უნდა ხეხო. ღამით კი ყოველგვარი სიხარულის გარეშე დაუწვე იმ კაცს, რომელიც მოგინდომებს. (მიუახლოვდება, თითქმის ნაზად) აჰა, დალიე, სულელო, მერე ჩემს ყავას დაგისხამ, რომ პირი ჩაიწმინდო.

ადელი. (სვამს, თან ბავშვივით ღრიალებს) რა მწარეა! შიგნეული დამეფუფქა.

მარი-ჟანა. (თბილად) ღმერთს პატარა ანგელოზი რომ აჩუქო, ყოველგვარი ტანჯვა უნდა აიტანო (ადელის პირისპირ დაჯდება, მაგიდას იდაყვებით ეყრდნობა) აბა, არც ახლა მეტყვი, ვინ გაგბერა?

ადელი. (მკვეთრად) არა.

მარი-ჟანა. (ალერსიანად) კარგი, თავს ნუ იკლავ, დალიე, გოგონი! მწარეა ჩემი წამალი, მაგრამ მუცელს ნამდვილად მოგიშლის! კიდევ ორჯერ დალევ ამისთანა ჭიქას და საქმესაც მოვრჩებით. თითქოს კაცის სიახლოვესაც არ გაგევლოს, ისე იქნები. ძნელი საქმე არ არის, ეს ოხერი მუცელი რომ არ იბერებოდეს (მოულოდნელად) ბარონი ჟიული ხომ არ იყო?

ადელი. არა.

მარი-ჟანა. აბა, ვინ იყო?

ლეონი. (საჯინიბოდან შემოვიდა, ყვირის) გაუმარჯოს.

მარი-ჟანა. სალამი! წადი, ხელი დაიბანე და აქეთაც ნუ მოძვრები... (ისევ ადელთან მივიდა) ის გაიძვერა ბარონი მართლა არ იყო? ვისთანაც გინდა, იმასთან დაწექი, გესმის? ამ ქვეყნად იმიტომ ვარსებობთ, რომ ხალხს ვაამოთ, როგორც ღმერთმა დააწესა... მხოლოდ ბატონი არ მიიკარო... თორემ გული ჩაგწყდება და სამუდამოდ ასე დარჩები...

ლეონი. (მაგიდის მეორე ბოლოს მიუჯდება, მოუთმენლად ღრიალებს) ეი, ჩემი ყავა სად არის?

მარი-ჟანა. ხმა არ ჩაიხლიჩო, ყავა ჯერ არ ადუღებულა! (ცხვირწინ წამლით სავსე ქვაბს დაუდგამს) აჰა, ჩახეთქე ჩემი ნახელავი! ლიპს დაიგდებ! ეგებ მოგიხდეს, შე გაბღენძილო!

ლეონი. (დაიჭყანება, ქვაბს იქით მისწევს) ნეხვის სუნი აქვს პირდაპირ!

მარი-ჟანა. შენ, გგონია, უკეთესი სუნი აგდის? ეს გაბერილი, ალბათ, ისევ ნივრით აყროლდა, ვიდრე საჯინიბოში წავიდოდა. ალბათ, ერთი ბოთლი წითელიც დააყოლა! ახლა კი ყავა მომთხოვა და ისე იპრანჭება, როგორც ბატონი რესტორანში. ყავა მიართვით! კბილის სიჩიჩქნიც ხომ არ გნებავთ? რა არ ხდება ამ ქვეყანაზე: აი უკვე თითქმის ოცი წელია, რაც ამ მაიმახთან, ამ ჯოჯოხეთის მაშხალასთან ვწევარ. (იცინის და უკანა ოთახში გავა).

ლეონი. (ისიც იცინის, მიაყვირებს) ჭაში ნუ აფურთხებ! აი უკვე თითქმის ოცი წელია, რაც ლოგინში მიტყუებ...

მარი-ჟანას ხმა (უკანა ოთახიდან, სადაც ყავას ფქვავს) ეჰ, რას იზამ, უნდა ვიკმაროო, როგორც ბებიაჩემმა თქვა, როცა ძალიან მოკლე კუბო მოუტანეს...

ავტორი. (ამ სცენის დროს სამზარეულოში დაბრუნდა და შეუმჩნევლად კუთხეში მიდგა. პოლიციის კომისარს, ჩურჩულით) რაებს როშავენ?

კომისარი. (მოწყალებით) თავი დაანებეთ! ეს ხომ იმის სიტყვებია!

ავტორი. რასაკვირველია, მაგრამ მაყურებელს ჩემი ეგონება.

კომისარი. (ლეონის მოქმედებას ყურადღებით აკვირდება) შეხედეთ, შეფ. როგორ მოგწონთ ეს პირუტყვი?

მარტო დარჩენილი ადელი, თითქოს მახეში გაებაო, შიშით შესცქერის მეეტლეს. ლეონი იხედება უკანა ოთახისაკენ, სადაც მარი-ჟანა ყავას ფქვავს. იქიდან მზარეული ვერაფერს დაინახავს. ლეონი მძიმედ ადგება, ადელს მისწვდება და ხარბად ჰკოცნის ტუჩებში.

ადელი. (ხელს ჰკრავს, ყრუდ) არა, არა! არ მინდა! მეტი აღარ შემიძლია! (გაუსხლტება და ქუჩაში გამავალ კიბეზე არბის)

ავტორი. (შეშფოთებულია) მართლაც საზიზღრობაა! ეს რომ მცოდნოდა, ამ სცენას როგორმე შევამსუბუქებდი, ყოველ შემთხვევაში, კოცნას ამოვიღებდი. მაგრამ მას შემდეგ, რაც თვითონ ალაპარაკდნენ, რასაც მოისურვებენ, იმას აკეთებენ. აზრზე არა ვარ, ყველაფერი როგორ დამთავრდება!

კომისარი. მეტი გამბედაობაა საჭირო. ჩაერიეთ, უჩვენეთ თქვენი პიესის ქარგა.

ავტორი. (საწყალობლად) არავითარი ქარგა არ მქონია...

მარსელი. (სამზარეულოში შემოდის მარსელი, მივა ლეონთან, რომელიც ისევ მიუჯდა მაგიდას და იქვე ჩამოჯდება) აბა?

ლეონი. რა, აბა?

მარსელი. როგორ არის საქმე?

ლეონი. კარგად, გმადლობთ.

ავტორი. (თავის კუთხეში სასოწარკვეთით ამოიძახებს) აი დიალოგი!

პაუზა.

ლეონი. (ღრმა და დაძაბული ფიქრის შემდეგ) შენი საქმეები როგორღაა?

მარსელი. კარგად. გმადლობთ. (უცებ მოიფიქრა, რაც უნდა თქვას) დაშაქრულმა წუხელ ორჯერ გამომიძახა. ასე თუ გაგრძელდა, ფეხებსაც გავჭიმავ.

იუგელინა. (შემოდის) ალბათ ბატონი ბარონი ამ დილაადრიან საწოლიდან ჩამოვარდა. ჯერ არ ამდგარა, მაგრამ საუზმეს თხოულობს.

მარი-ჟანა. (უკანა ოთახიდან ყვირის) ამ გარიჟრაჟზე? საუზმე მზად არ არის!

იუგელინა. ასე ამბობს, მეზონში დოლიაო.

ავტორი. (თავისი კუთხიდან) როგორ აჭიანურებენ, სწელავენ... სულ აღარ არის საინტერესო!

მარსელი. (წამოხტება) აი, ეს საინტერესოა! (ამ სიტყვების გაგონებაზე ავტორი დარწმუნდება, რომ პერსონაჟებს ველარ მოუვლის და უმწეოა. ხელებს ზეცისაკენ აიშვერს და კომისართან ერთად გავა) ხელი გაანძრიე, მარი-ჟანა! ჩქარა მოუდუღე ყავა ბარონს! დოლს უნდა დაესწროს! ხუთ ლუიდორს გაძლევთ!

მარი-ჟანა. (უკანა ოთახიდან ყვირის) სად მოიპარე ხუთი ლუიდორი, შე დამპალო!

მარსელი. (იპრანჭება) ღამის შრომით მოვიპოვე.

სემინარიელი. (შიგა კიბის ზემო საფეხურზე გამოჩნდება. სამზარეულოში ამდენი ხალხის თავყრილობა გააოცებს და შეჩერდება. ადელიც შემოდის და კიბეებიდან შესცქერის ჭაბუკს).

სემინარიელი. უკაცრავად...

იუგელინა (უყვირის) შემოდით! შემოდით, ბატონო აბატო! ნუ გეშინიათ, არ შეგჭამთ (უკანა ოთახისკენ შებრუნდება და ყვირის) მარი-ჟანა, შენი აბატი მოვიდა!

სემინარიელი. უკაცრავად.... მინდოდა...

მარი-ჟანა. (უკანა ოთახის დირეზე გამოჩნდება, შვილს მოკლედ მოუჭრის) ადი ზევით!

სემინარიელი. მაგრამ მე...

მარი-ჟანა. ადი ზევით! აქ შენი ადგილი არ არის. თუ რაიმე გნებავს, დარეკე. ეს ზარი ტყუილად ხომ არ მოიგონეს! (ისევ უხეშად ყვირის) ადი, ადი ზევით, რომ გეუბნები! (თავჩაღუნული სემინარიელი გადის. მარი-ჟანას კი უშველებელი ყავის სახარში მოაქვს და მაგიდის შუაში დადგამს. იუგელინას ჭიქები უკვე ჩამოურიგებია) აჰა, დალიეთ, ჩემო შვილებო!

იუგელინა. მუსიე ჟიულის რომ ეჩქარება!

მარი-ჟანა. (რაღაც ხელმწიფურად) ეჩქარებოდეს! ჯერ ყავა დალიეთ. ჩვენ ხომ სისხამ დილიდან ვშრომობთ. იმას კი წყალში გაზავებულ ნალექს გავუგზავნი!

(ჩაბნელდება. სინათლე ისევ ინთება. თითქოს ეპიზოდი თავიდან უნდა დაიწყოსო. ისევ მარი-ჟანა და ადელი არიან სცენაზე, მხოლოდ ახლა მარი-ჟანა ადელს აიძულებს წამალი დალიოს!)

ადელი. (კვნესით) რა მწარეა! შიგნეული დამეფუფქა!

მარი-ჟანა. დალიე, შვილო, დალიე, ჩემო გვრიტო. ჩვილს ალბათ, ღონე აღარა აქვს. ჭინთვები მოგეშვება. ისე ველარ გატკენს

ადელი. გავწამდი, ბოლო აღარ უჩანს...

მარი-ჟანა. (თავზე ხელს უსვამს. ალერსიანად) ყველაფერი წამებითაა და ყველაფერი ჭიანურდება. გინდა ცხრა თვე გიტარებია და გინდა თავიდან მოგიშორებია.

ადელი. (ჩუმად) ეს არც მეცოდება. მაგრამ ძალიან მინდა იმისგან გავაჩინო, ვინც მიყვარს.

მარი-ჟანა. (ქანცგამოცლილივით უცებ სკამზე ჩაიკეცება) ოხ! ღმერთო ჩემო, რა ბრიყვები ხართ! რა ვქნა, აღარ ვიცი, ღირს კი ასეთების გულისთვის ნახევარი წლით ციხე გემუქრებოდეს? უფასოდ შრომობ, მეგობრულად ხელს უმართავ, ესენი კი უკვე იმაზე ფიქრობენ, შემდეგი ვინც იქნება... (ალერსიანად ხელს მოუსვამს თავზე) მაშ, ახლაც არ მეტყვი, ვინ გაგბერა?

ადელი. (გულჩახვეული) არა, არ შემიძლია!

მარი-ჟანა. (შეპარვით) რატომ, ჩემო გვრიტო? ესე იგი, ბებერს არ მენდობი? კარგად მოგეხსენება, ამ ქვეყნად ბევრი მიცხოვრია და ყველაფრის მოგვარება შემიძლია. (კიბის ზემო საფეხურზე უეცრად გამოჩნდება სემინარიელი, ადგილზე გაშეშდება, ფერმკრთალი და გარინდული). (უყვირის) ისევ მოხვედი? ფეხსაცმლის ვაქსი ხომ არ გჭირდება? თუ ყავა გინდა? ეგებ ლოცვა უნდა წაგვიკითხო? რამდენჯერ უნდა გითხრა, ზემო სართულზე მცხოვრებთათვის ზარია მოსამსახურეთა სახმობად დაწესებული.

სემინარიელი. (გაფითრებული, ხმას ძლივს ამოიღებს) რა დაალევინეთ ამას ახლა?

მარი-ჟანა. (მკვახედ) შენი საქმე არ არის!

სემინარიელი. ჩემი საქმეა! (უცებ გაბედულად ჩამოდის ძირს და ადელს ხელიდან ჭიქას გამოსტაცებს). რა დაალევინეთ ამას ახლა?

მარი-ჟანა. (დაცინვით; თვალები ბოროტად უელავს) გასინჯე და მიხვდები. ეს ნაყენი ქვალისაგან ათავისუფლებს. გოგონას მუცელი სტკივა.

სემინარიელი. (ჭიქას ადგილზე დადებს, ბრაზისა და სირცხვილისაგან კანკალებს). ეს საზიზღრობაა!

მარი-ჟანა. (დაცინვით) რაო, მუცლის ტკივილიც აღარ შეიძლება, კიურე? შენი აზრით, ეს ცოდვაა?

სემინარიელი. (ხმაში ქვითინი ეპარება, თითქმის სასაცილოდ). ნუ იცინით. გიკრძალავთ ამას დასცინოთ!

მარი-ჟანა. (უხეშად) მე დედა ვარ შენი და რასაც მინდა და როცა მომესურვება, დავცინებ, გესმის, კიურე?

სემინარიელი. (ყრუდ) დიახ, თქვენ დედაჩემი ხართ (მკვეთრად). სემინარიას მივატოვებ. ამ გოგოს შევირთავ. შვილის გაზრდაში მივეხმარები. თუნდაც ერთი უმწეო არსების გადარჩენა ისევე ამამაღლებელია, როგორც უფლის სამსახური.

მარი-ჟანა. (მძიმედ მიიწევს შვილისკენ) იცი, რას გეტყვი, კიურე, ჩემთვის სულ ერთია, რასაც ამბობ. შენ, უბრალოდ, ლაწირაკი ხარ, ცინგლიანი და ისევ გჯერა, რომ ლიტონ სიტყვას რაიმე ძალა და მნიშვნელობა აქვს. არა უშავს, გაგივლის.

სემინარიელი. (მთელი ხმით ყვირის) არა!

მარი-ჟანა. დედა ვარ-მეთქი! (მთელი ძალით სილას ურტყამს ლოყაში) აი ჩემი საბუთი (ყრუდ) ჩემთვის უფრო იოლია ეს კახპა ტომარაში ჩავსვა და თავის ნაბიჭვარს მივაყოლო სენაში, ვიდრე უფლება მოგცე, ასეთი ტვირთი აიკიდო. შემომხედე; მე მარი-ჟანა ვარ; მიმიფურთხებია ყველა კანონისათვის, ჟანდარმისათვის და შენი ღმერთისათვისაც. ჩემთვის სულ ერთია ამ სარდაფში ვხეხავ ღამის ქოთანს სიკვდილამდე თუ ციხეში ვიჯდები. შეხედე ჩემს ხელებს, შეხედე დედაშენის ხელებს... (ხელებს გაუშვერს, ყრუდ). ვფიცავ, მიჯობს ამ ხელებით მოგახრჩო, თუ დამჭირდება, მაგრამ მოახლის ცოლად შერთვას მაინც არ დაგანებებ.

სემინარიელი. (თვითონაც გლეხი ვარ და მოახლის შვილი!

მარი-ჟანა. (ყრუდ) მართალია. და ესეც გეყოფა. ორმაგი სასჯელი ცხოვრებაში აღარ შეგხვდება. სწორედ ამიტომ მიგაბარე სემინარიაში (პაუზის შემდეგ) ახლა კი... ადი ზევით!

სემინარიელი. არა!

მარი-ჟანა. ჯერ ახალგაზრდა ხარ იმისათვის, რომ დედას წინ აღუდგე (ისევ გაარტყამს მთელი ძალით სახეში. ის კი, გაფითრებული, ადგილიდანაც არ იძვრის.

პაუზა. სემინარიელი ერთ ადგილზე გაშეშებულა და შესცქერის. მარი-ჟანა ძლივს იკავებს ამ მზერას. სამზარეულოში ზარის ხმა გაისმის. გამანაწილებელ დაფაზე ნომერი ინთება.

სემინარიელი. (ჩუმად) თქვენ გეძახიან.

მარი-ჟანა. ვიცი, დანახარჯის ანგარიში მოუნდათ; მიმიფურთხებია! ადი ზევით. ასე უთხარი, სემინარიიდან წერილი მივიღე, ამ საღამოსვე უკან უნდა გავემგზავრო-თქო.

სემინარიელი. მეც ისეთივე გლეხი ვარ, როგორც ეს. ცოლად შევირთავ და ის ჩვილიც იცოცხლებს.

მარი-ჟანა. ის ჩვილი მოკვდება: შესაძლოა, დედასთან ერთადაც.

სემინარიელი. (ყვირის, აღელვებული და ოდნავ სასაცილო) სიყვარულის დაძლევა არავის ძალუძს.

მარი-ჟანა. (შემობრუნდება, თვალები უბრწყინავს, მაგრამ საოცრად მშვიდია) სტყუი, შე ლაწირაკო! მე შემიძლია. სიყვარულთან ძველი ანგარიში მაქვს. გინდა გიჩვენო ჩემს ანგარიშებს როგორ ვასწორებ? აჰა, მიცქირე (კალათიდან ცოცხალ კურდღელს ამოიყვანს) უბრალო საქმეა, ახლავე ნახავ. ბაჭიასაც უნდა სიცოცხლე,

ისიც ღვთის შექმნილია, ჩვილი ბავშვივით უცოდველი, მაგრამ ბატონებმა კურდღლის პაშტეტი მოისურვეს — იციან გემრიელად რომ ვამზადებ... ჰო და ბაჭია უნდა დაიკლას. მზარეული ქალის ხელებმა კი მეტი რა იციან! წამიც არ დამჭირდება, ერთს დაიჭყივლებს მხოლოდ. უკანასკნელად გაიბრძოლებს და გაშეშდება გაკვირვებული თვალებითა და სისხლიანი ქაფით ტუჩებთან (კურდღელს შვილის თვალწინ დაკლავს) მორჩა! აი შენი სიყვარული, ლაწირაკო! მკვდარ კურდღელს სახეზე მიაგდებს. გაფითრებული სემინარიელი ოფლს ხელსახოცით მოიწმენდს, ერთ წამს ისევ დგას, მაგრამ უცებ უგრძნობლად დაეცემა. უცქერის ფეხებთან გაშხლართულ შვილს. შემდეგ მშვიდად მიუბრუნდება სამუშაოს, თან კბილებშუა გამოსცრის) ძუძუმწოვარა!

ადელი. (ადგილიდან წამოხტება, ღრიალებს) მოჰკალით?!

მარი-ჟანა. (ხელს იწმენდს) რას არ მოიფიქრებ, სულელო! ბაჭია დავკალი. ამას კი გული წაუვიდა, თითქოს ქალიშვილი მყავდეს. თხელი სისხლი აქვს. მთებს შევძრავო, იკვეხნის და ერთი წამითაც არ შეუძლია სინამდვილეს თვალი გაუსწოროს.

ადელი. (სემინარიელთან ჩაიმუხლავს და ანჯღრევს) მთლად გაფითრდა. რა ვქნათ?

მარი-ჟანა. (წყნარად) ერთი სილაქი უთავაზე. ან შენი ნაყენი შეასვი. ეგებ შიგანში გამჯდარი ქრისტე ამოარწყიოს.

ადელი. (ფორიაქობს) საყელო უნდა გავუხსნათ... (უცებ რაღაც უცნაურად დაიჩურჩულებს) რა თეთრი კანი აქვს!

მარი-ჟანა. (მიუახლოვდება, შვილს სიყვარულით დასცქერის) ჰო, ლამაზი ბატონია. მაგრამ ჩემი ხელები აქვს. მართალია, ჯერ მათი მოხმარება არ იცის... (ადელს ალერსიანად თმაზე ხელს გადაუსვამს, ადელი კი სემინარიელს ეფერება) შენ ჭკვიანი გოგონა ხარ, ადელ. შენც უნდა დამეხმარო, ჩემო გვრიტო. ამას უნდა უთხრა, არ მიყვარხარ-თქო. ორი თვის შემდეგ არც გაგახსენდება. შენთვისაც ასე აჯობებს. თორემ მერე საყვედურებით აგავსებს, მოსამსახურე ქალი შეგირთეო. (სემინარიელზე დამხობილი ადელი ქვითინებს. გვერდით ჩაიცუცქებს და ისევ ისე თითქმის ნაზად თმებზე ხელს უსვამს) ვიცი, ლამის არის გული გაგისკდეს. მეც ასე ვიყავი. ვფიქრობდი, ყველაფერი დამთავრდა-მეთქი. მაგრამ ამისგან არავინ მომკვდარა. არაფრისგან არ კვდებიან, თუ მე ისევ ცოცხალი ვარ. ბოლმისაგან კი მით უმეტეს (მაგიდიდან ნაყენიან ჭიქას აიღებს) აჰა, ბარემ დაამთავრე. მუცელი მაინც დაგიცხრება. (შეცვლილი ინტონაციით) მერე კი ბაჭიას გაატყავებ. ამ აურზაურში ადრე დავკალი. ახლა დილითვე უნდა დავამზადო. მოულოდნელად ყველაფერი სიბნელეში იძირება.

ავტორი (სიბნელეში, ყვირის) ეშმაკმა დალახვროს, რა მოხდა? სინათლის ჩაქრობა ჯერ არ არის საჭირო. ვერ ვიტან ამ ოინებს! წამდაუწუმ სინათლეს აქრობენ — ეს ყველაზე იაფფასიანი ილეთია! (პოლიციის კომისარი ასანთს აანთებს. ავტორი სანთურას აჩხაკუნებს. სიბნელეში, ორი პატარა ალის შუქზე, მათი სახეები ძლივს მოჩანს. უფრო ცუდ ხასიათზე დადგება) მეზიზღება ასეთი სტილი თეატრში. ყველაფერი სხვანაირად უნდა მიგვეწოდებინა მაყურებლისთვის. ყველაფერი საზიზღრად გამოვიდა.

კომისარი. (ცხვირში ოდნავ სრუტუნებს) რაც გინდათ, თქვით, მაგრამ ეს სცენა კარგი გამოვიდა, თითქმის კინოსავით კარგი...

ავტორი. საშინელი გემოვნება გაქვთ, მეგობარო. პირადად მე მხოლოდ კომედია მომწონს.

კომისარი. (სავსებით მართებულად) თქვენც კომედია დაგეწერათ... ბოლოსდაბოლოს, არავის უთხოვია, მაინცდამაინც ეს ადამიანები გამოგეგონებინათ...

ავტორი. ესენი ხომ თვითონ მოვიდნენ, ძალით (კოლოსნიკებისაკენ მობრუნდება, ყვირის) თუ შეიძლება, სცენა გაანათეთ და რამპაც ჩართეთ. და გთხოვთ, ჩემი ნიშნის გარეშე, თავი შეიკავოთ განათების ყოველნაირი ეფექტისაგან.

(უეცრად ისევ ნათდება სცენა. სამზარეულოში არავინ არის) ვიჩქაროთ! უკვე თერთმეტზე მეტია, ჩვენ კი რამდენი სცენა დაგვრჩა გაუთამაშებელი (კულისებისკენ შებრუნდება, ყვირის). ყველა სცენაზე, აბა ცოცხლად, სცენაზე!

(არავინ გამოდის).

ნეტავ სად დაიკარგნენ? (გაბრაზებული კულისებში გავარდება)

კომისარი. (რამპასთან მივა, მაყურებელს, დაბეჯითებით) ხომ ვამბობდი, ყველაფერი ცუდად დამთავრდება-მეთქი? ... გაღიზიანებთ, რომ მზარეული ქალის მკვლელი კვლავ უცნობია, არა? შემოდის ავტორი, სავსებით განადგურებული.

(დაცინვით შეესიტყვება) რა ჰქენით?

ავტორი. კულისებში არ არიან. ვერ გამიგია, სად წავიდნენ?

სემინარიელი. ჩემო ბატონო, თქვენთან ამხანაგებმა გამომგზავნეს. სპექტაკლის გაგრძელებაზე უარს ამბობენ, მაგრამ ცუდად ნუ ჩამოართმევთ. თქვენი საწინააღმდეგო არაფერი აქვთ, პირიქით, ზოგი ბევრი რამით არის თქვენგან დავალებული და ეს საკმაოდ კარგად ესმით... მაგრამ ყველას რაღაც უხერხული გრძნობა გაუჩნდა... დიახ, სწორედ უხერხული... თქვენი წინდახედულება, უეჭველად, ქების ღირსია და, ალბათ, იმით არის გამოწვეული, რომ მაყურებელს უფრთხილდებით. მაგრამ ეს ჩვენ გვიშლის ხელს ვიყოთ მართალი საკუთარი თავის წინაშე. ეს მკაცრი არაადამიანური ამბავია, ბატონო, მაგრამ ჩვენ უკვე დავიწყეთ მისი მოყოლა, და თუ ახლა პატიოსნურად და გულახდილად აღარ შეგვეძლება ვითამაშოთ ბოლომდე, სჯობს ყველანი, მე და ჩემი ამხანაგებიც, ისევ არარსობაში დავბრუნდეთ. (პაუზა. შემდეგ წყნარად) თუ თქვენ მოქმედების თავისუფლების ნებას დაგვრთავთ, ახლავე ავალთ ზევით და ბავშვებთან ერთად გავითამაშებ სცენას. დაე, შემდეგ ყველაფერი თავისი გზით წავიდეს. არა და, თქვენის თანხმობით, გავქრები..

ავტორი. (თავზე ხელშემოჭერილი უსმენდა. უბრალოდ, ყოველგვარი მიხრა-მოხრის გარეშე. ის უკვე აღარ არის კომიკური). კარგი, დაიწყეთ. მაგრამ, იცით, რა მინდოდა თქვენთვის მეთქვა? ალბათ, მართლაც არ უნდა მომეგონებინეთ.

სემინარიელი. (თბილად) რაც არის, არის. ვინ იცის, ეგებ სჯობს ასე იცხოვრო, ვიდრე საერთოდ არ არსებობდე. (გადის) სარდაფში ბნელდება. ზედა სართული მკრთალად არის განათებული. სახელმძღვანელოებითა და რვეულებით სავსე მაგიდის წინ მუხლებზე დაჩოქილა ორი ბიჭუნა. ღამის ლოცვას კითხულობენ. სემინარიელი მათ გვერდით დაიჩოქებს. შემოდის გრაფინია და ყურს უგდებს ლოცვას. სადღაც ქვევით, განზე, პოლიციის კომისარი დგას, სიბნელეში განმარტოებული ავტორიც ილანდება — სკამზე დამჯდარა, შეშფოთებული უცქერის და უსმენს მსახიობებს.

უფროსი. დედიკო, შეიძლება ძილის წინ ცოტა ვითამაშოთ? დღეს ხომ კარგად ვიქცეოდით?

უმცროსი. დღეს კარგად ვიქცეოდით.

გრაფინია. წადით თქვენს ოთახში, ცოტა ხანს ითამაშეთ, მერე ძიძას სთხოვეთ, ტანსაცმელი გაგხადოთ.

უფროსი. (გარბის) მადლობთ, დედიკო!... დედიკო, უთხარი ძიძას, რომ უკვე ვილოცეთ, თორემ არ გვიჯერებს და გვამეორებინებს. ისე ჩაგვაცივდება ხოლმე...

უმცროსი. ისე ჩაგვაცივდება ხოლმე!

გრაფინია. (ღიმილით) კარგი, ვეტყვი.

(ბავშვები გავლენ)

სემინარიელი. (წიგნები ამოუღლიავებია, უცებ შედგება, ცარცივით თეთრი) ქალბატონო, თუ შეგიძლიათ ორიოდ წუთი მომისმინეთ.

გასასვლელად მომზადებული გრაფინია შემობრუნდება, ოდნავ გაკვირვებულია სემინარიელის ინტონაციით. (უცებ) ქალბატონო, აღარ შემიძლია ბავშვებს შთავაგონო ილოცონ. თავად აღარ შემიძლია ლოცვა.

გრაფინია. (გაოგნებული ჩურჩულებს) ბატონო აბატო...

სემინარიელი. ქალბატონო, თქვენ ძალიან კეთილი ბრძანდებით. ვიცი, ალბათ, ჯერ საკმაოდ ახალგაზრდა ვარ, ყველაფერი გულთან მიმაქვს და, რასაკვირველია, მოუხერხებელიცა ვარ... შესაძლოა, არცა ვარ ღირსი თქვენი სიკეთისა. აღარ შემიძლია ამ ორი ნორჩი სულის სათანადოდ აღზრდა... გავბედავ და გთხოვთ, რომ... (ხმა ჩაუწყდება, თითქოს გონი დაებნაო)

გრაფინია (თბილად) დაწყნარდით, ბატონო აბატო. ასე ძალიან რატომ ღელავთ?

სემინარიელი. (განაგრძობს) ქალბატონო, შესაძლოა, საქმე ჩემს ახალგაზრდობასა და უბრალო წარმოშობაშია... როცა ვაკვირდები აქაურ სიმშვიდეს, სისუფთავეს, ბედნიერებას, ლამაზ მშვე-

ეროვნული

ნიერ პატარებს, ასე საიმედოდ რომ არიან დაცული ჯოჯოხეთური სინამდვილისაგან, რომელიც სულ ახლოს, ორიოდ ნაბიჯზეა, მაშინ თვით ამ ბედნიერების, ამ საზარელ სამყაროსთან როგორღაც დაკავშირებული, მაგრამ გულქვა ბედნიერების ხილვაში ვხედავ რაღაც (შეშინებული სიტყვებს ეძებს) საშინელს! დიახ, საშინელს და, ამასთანავე, სასაცილოს და ეს მაიძულებს ჩემს მოწოდებაში დავეჭვდე.

გ რ ა ფ ი ნ ი ა. არ მესმის თქვენი.

ს ე მ ი ნ ა რ ი ე ლ ი. (თითქოს თავისთვის საუბრობდეს, აღელვებულია) მიუხედავად ამისა, თუ მღვდლად კურთხევა მაინც მომიწევს. ვთხოვ ყველაზე ღარიბი, ბოგანო მრევლი გამომიყონ და ვემსახურები. დაე, დღეში ერთხელ მოუსხდნენ საჭმელად მაგიდას. საჭმელს მივუტან და შემდეგ დასვრილ ჭურჭელს გავურეცხავ. ირგვლივ კი საშინელი სიმყრალე იდგება და ქონიანი ჭუჭყიც ხელებზე ამეგლისება. (უცებ ნერვიულად წამოიყვირებს) მაგრამ ეს ყველაფერი მძულს! მძულს ლატაკები! მძულს სიღარიბე, სიღარიბე გულს მირევს! (გაოცებულ გრაფინიას მუხლებზე დაეცემა და ქვითინებს).

გ რ ა ფ ი ნ ი ა. (თავზე უნდა ხელი გადაუსვას, მაგრამ თავს შეიკავებს. ჩუმად) შევეცდები დაგეხმაროთ, თუკი გავიგე...

ს ე მ ი ნ ა რ ი ე ლ ი. (თავს ასწევს, უცქერის, მკაცრად) ვერ გაიგებთ. კეთილი ხართ, მაგრამ მაინც ვერ გაიგებთ. ვერავინ გაიგებს. (უეცრად) ქალბატონო, იქ, ქვემოთ, სარდაფში ცხოვრობს ერთი უბედური გოგონა... ალბათ, ვერც წარმოიდგენთ იმ საშინელებასა და სიმახინჯეს, რომელიც შეიძლება თავს დაატეხოს ადამიანთა სიმკაცრემ და თვითონ ცხოვრებამ მარტოხელა არსებას, ამ სისაძაგლეში სიწმინდესა და უცოდველობას რომ ინარჩუნებს. ოჰ, ქალბატონო! თუ შეძლებთ, მოიფიქროთ, როგორ შეუმსუბუქოთ, თუნდაც ერთხელ ცხოვრებაში, ღვთისგან მისჯილი მძიმე ხვედრი... (ქვითინით ისევ დაეცა იატაკზე და თავი ისევ გრაფინიას მუხლებში ჩარგო).

გ რ ა ფ ი ნ ი ა. (ცრემლს ძლივს იკავებს, ხელს ისევ გაუბედავად ასწევს. სემინარიელს თავზე რომ გადაუსვას, მაგრამ ისევ უკან წაიღებს. ალერსიანად) ფრიად ამაღელვეთ, კიურე, თუმცა ჯერ კიდევ არ მესმის თქვენი. დაწვრილებით ამიხსენით ყველაფერი. ვინ არის ის გოგონა?

სინათლე ნელ-ნელა ქრება ისე, რომ ბოლოს მსახიობების ლანდებიღა მოჩანს. გრაფინია და სემინარიელი გავლენ. სინათლის წრეში ავტორი და პოლიციის კომისარი.

კ ო მ ი ს ა რ ი. (აღელვებული. ისევ სრუტუნებს ცხვირში, როგორც ყოველთვის, ასეთი სცენების შემდეგ) თუ ყველაფერი სწორედ მესმის, გრაფინიამ გადაწყვიტა ქვევით ჩავიდეს და ჭურჭლისმრეცხავს შვილის მონათვლა შესთავაზოს, არა?

ა ვ ტ ო რ ი. (ჩუმად, თითქოს დარცხვენით) დიახ. საშინელებაა!

კ ო მ ი ს ა რ ი. რატომ? გრაფინიას ეს მხოლოდ კარგად ახასიათებს.

ა ვ ტ ო რ ი. (რბილად) არა, ძველო მეგობარო. თქვენ ასეთი რამეების მართლაც არაფერი გაგეგებათ. ეს საზარელია. (სამზარეულოში ბინდბუნდია. მოახლენი შემოვლენ. ისინი გამწკრივდებიან, რაღაცის მოლოდინში. ადგება და გაჰყავს პოლიციის კომისარი). წავიდეთ. დავტოვოთ ისინი მარტო. ამის დანახვაც არ მინდა. ძალიან მიმძიმს.

კ ო მ ი ს ა რ ი. კი მაგრამ, ვინ გამოიგონა ეს ამბავი — მე თუ თქვენ? (დაბნეული ავტორი ხელს შლის. ისინი გავლენ. ზედა სართულზე თვალისმომჭრელად ნათდება. სასტუმრო ოთახში სწრაფად შემოდის გრაფინია, მას გრაფი შემოჰყვება. გრაფს ფრაკი აცვია. ხელში ცილინდრი და ხელჯოხი უკავია. ის სადღაც უნდა წავიდეს).

გ რ ა ფ ი. თქვენ არ ჩაიდენთ ამას.

გ რ ა ფ ი ნ ი ა. მომიტევეთ, ჩემო მეგობარო, მაგრამ უნდა გავაკეთო.

გ რ ა ფ ი. (ცდილობს მშვიდად ილაპარაკოს) ევანჟელინა, დღევანდლამდე თქვენთვის რაიმე არასოდეს მიბრძანებია. წინასწარ გიხდით ბოდიშს ოჯახის უფროსის ასეთნაირი კილოსათვის. მაგრამ საქმე ჩემს შვილს ეხება. ესე იგი, ეს ამბავი მეც ისევე მაღელვებს, როგორც თქვენ. მაშ, მისმინეთ: გიკრძალავთ იქ ჩასვლას.

გ რ ა ფ ი ნ ი ა. (ჩუმად, მაგრამ მტკიცედ) ჩავალ. ამას გავაკეთებ. მომიტევეთ მაღალფარდოვანი გამოთქმისათვის, მაგრამ ეს ღმერთმა ჩამაგონა.

გ რ ა ფ ი. ღვთის ჩაგონება სულელური არასოდეს ყოფილა! თქვენ თავგზა აგიბნიათ იმ ზომაზე მეტად რომანტიკულმა ჭაბუკმა, რომელსაც ჭკუა სულ სხვანაირად აქვს მომართული... პირველად მიცრუებთ იმედს. ევანჟელინა, თქვენ საკმაოდ ახალგაზრდა ხართ. შესაძლოა, თავს ისე მხიარულად ვერ გრძნობთ, როგორც მეჩვენება; შესაძლოა, მოწყენილიც ბრძანდებით... ეს გასაგებია... იმასაც კი შევეგუებოდი, გართობა რომ მოგესურვებინათ, თუნდაც უჩემოდ. განსაზღვრული წესრიგის ფარგლებში ყველაფერი დასაშვებია: მაგრამ იმას ვერ ავიტან, პირმოთნეობა დაიწყოთ მხოლოდ იმის გამო, რომ მოწყენილი ბრძანდებით! ეშმაკმა დალახვროს, გაიჩინეთ საყვარელი, რასაკვირველია, წესიერ მამაკაცთაგან, თუ აუცილებელია ვინმემ გაგართოთ! ამისაც კი ნაკლებად შემრცხვებოდა.

გ რ ა ფ ი ნ ი ა. (მორჩილად იღიმება) სამაგიეროდ, მე შემრცხვებოდა, ჩემო კარგო, თქვენგან განსხვავებით, მე უფრო შეზღუდული შეხედულებები მაქვს. მიუხედავად ამისა, ამჯერად და სწორედ ამ შემთხვევაში, თქვენზე გაბედულად მოვიქცევი. შესაძლოა, ეს სიამოვნებითაც ჩავიდინო, რადგან ახალგაზრდა აბატმა ამიხილა თვალი ბევრ ისეთ რამეზე, რასაც ვერც წარმოვიდგენდი. ვიცი, თქვენი სიამაყე და პატივმოყვარეობა, მომიტევეთ ამ სიტყვებისათვის, შეურაცხყოფილი იქნება. მაგრამ ეცადეთ, არც თქვენ გამიცრუოთ იმედი ცხოვრებაში პირველად. ნება მომეცით ქვევით ჩავიდე და გავაკეთო, რაც ჩავიფიქრე.

გ რ ა ფ ი. (ისევ ისეთი ტონით) ევანჟელინა, თქვენ ახლა მხოლოდ გულუბრყვილო კი არა, სასაცილო ხართ. ეს გამოუსწორებელი ცოდვაა. თქვენი შვილი დეიდათქვენმა ჰერცოგინია დე გერმანტმა უნდა მონათლოს.

გ რ ა ფ ი ნ ი ა. ჩემი დეიდა უმაღლესი წრის ქალბატონია. ის მიხვდება, რომ ამ ქვეყნად არიან ადამიანები, რომლებსაც ღმერთი მეტად სწყალობს. ჩემს ტიბოს უფრო მეტი პატივი ექნება, თუ ჩვენი ყველაზე ღარიბი ჭურჭლისმრეცხავი მონათლავს. დარწმუნებული ვართ, დეიდაჩემი ამას გაიგებს. (უცებ საკმაოდ სერიოზული ტონით) ხომ იცი, ჩემო კარგო, მორწმუნე რომ ვარ. ამ ახალგაზრდა აბატის დახმარებით. პირველად ჩავიდენ ისეთ საქციელს, როგორსაც ქრისტე შთაგვაგონებს. ეს ხომ უბრალო ამბავი არ არის!

გ რ ა ფ ი. (გაღიზიანებული უყვირის) სწორედ უბრალო ამბავი გახლავთ. უფრო მეტიც. თეატრალური! ამით მხოლოდ თქვენს ქედმაღლობას იკმაყოფილებთ!

გ რ ა ფ ი ნ ი ა. (გულწრფელად, გაკვირვებული) ქედმაღლობას? ჰერცოგინიას მაგივრად ჭურჭლისმრეცხავს ვთხოვ შვილი მომინათლოს და ეს, თქვენი აზრით, ქედმაღლობაა?

გ რ ა ფ ი. დიახ, და ამასთანავე უხეირო! ეს სწორედ ახლახანს დაამტკიცეთ, ისე წარმოთქვით „ჰერცოგინია“ და „ჭურჭლისმრეცხავი“. ლატაკებს არც სიტყვები სჭირდებათ და არც კეთილი სურვილები. მათ არც თქვენი ნაზი სული უნდა გადაუშალოთ. სიქველის არ იყოს, არც ეს სჭირდებათ. მათ სურთ და სწყურიათ მხოლოდ ერთი რამ — პატივი სცეთ. ლატაკები საკმაოდ მიზეზიანი არიან ყველაფერში, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ზრდილობასა და ურთიერთობას ეხება. თქვენი ქცევის ვერცერთ წვრილმანს ვერ გამოაპარებთ. ამ მასკარადით აამებთ მხოლოდ რომენს, რომელიც ლაქიად არის გაჩენილი. იმ გოგონას კი, თუ კიდევ შერჩენია ცოტაოდენი ღირსება, უბრალოდ შეურაცხყოფთ.

გ რ ა ფ ი ნ ი ა. ნეტავ რა გესმით თქვენ, ასეთ გულცივ ადამიანს. თქვენ ხომ ქვის გული გაქვთ.

გ რ ა ფ ი. (მშრალად) გული ისეთი მაქვს, როგორიც უნდა მქონდეს. მაგრამ ყველაფერი, რაც გითხარით, მწარე გამოცდილების შედეგია. სწორედ ამიტომაც უნდა გამიგონოთ. ერთხელ უკვე გითხარით, რომ მსურდა დაახლოებით ასეთი რამ ჩამედინა და ყველაფერი უშედეგოდ დამთავრდა.

გ რ ა ფ ი ნ ი ა. (უეცრად, რაღაც ბოროტი ირონიით) ჩემო კარგო, თუ ყველაფერზე ასე ვიმსჯელეთ, ვშიშობ, საშინელ უხამსობამდე დავალთ. ვიცი, ოცი წლის წინ რაღაც ამბავი გქონდათ თქვენი მეუღლის მოახლესთან. მაგრამ თქვენ არა ხართ პირველი, ან უკანასკნელი მათთგან, ვინც ასე მოიქცა და ეს ამბავიც, ბოლოსდა-

ბოლოს, გამონაკლისი არ არის. ამიტომ გთხოვთ, ნუ იფიქრებთ, თითქოს მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ საბრალო ადამიანებს გაუგოთ. გარწმუნებთ, ისინი თქვენზე უკეთესი და გულწრფელნი არიან.

გრაფი. ისინი არც ჩემზე უკეთესი და არც ჩემზე გულწრფელნი არ არიან. სრულიად სხვანაირი ხალხია. ეს არის და ეს. და ეს საკმაოდ კარგად იციან. ამიტომაც გვთხოვენ, ზრდილობიანად მოვექცეთ. (პაუზის შემდეგ) მე მიყვარდა მარი-ჟანა...

გრაფინია (თავს მიაბრუნებს) გთხოვთ, ამაზე ნუ ვილაპარაკებთ. ეს საზარელია.

გრაფი. (მკვეთრად) მართალია, მაგრამ ამაზე უნდა ვილაპარაკოთ სწორედ ახლა ან არასოდეს. მე მიყვარდა მარი-ჟანა. გრაფინია მხოლოდ მამაჩემისაგან მოძალებული მეუღლე გახლდათ. ჩემი ნამდვილი ცოლი, მთელი ხუთი წელი, მარი-ჟანა იყო. წვრილმანებს აღარ გიამბობთ.

გრაფინია. (მშრალად) ძალიან კარგსაც იზამთ.

გრაფი. მინდოდა გავქცეულიყავი სადმე, მასთან ერთად მეცხოვრა, თუმცა ამ ნაბიჯის უაზრობა, დღევანდელისა არ იყოს, არანაკლებ მესმოდა. მთელი ჩემი ქონება, ისევე როგორც დღეს, მეუღლის ხელში იყო. წოდებისა და ყელსახვევების გარდა, საკუთარი არასოდეს არაფერი მქონია. მაგრამ მაშინ ვხატავდი... და ჩემი ნათესავი ლოტრეკი მარწმუნებდა, ტალანტი გაქვსო. მე ვუთხარი იმ... ახლა სიტყვებსაც კი ვეძებ... ვუთხარი იმ... გოგონას... რომ შემიძლია ფული ხატვით ვიშოვო-მეთქი. ვიმედოვნებდი, სადმე საზღვარგარეთ ხატვის გაკვეთილები მიმეცა. ჰოდა, იმ... გოგონამ უარი მითხრა. დიახ, სწორედ მან მითხრა, რომ ასე არ უნდა მოვქცეულიყავი და ამიხსნა კიდევაც რატომ. სწორედ მან მითხრა და გარკვეული სიამაყითაც, რომ სხვადასხვა წრეს ვეკუთვნით და ჩვენი სიყვარული მხოლოდ უბედური შემთხვევაა და მეტი არაფერიო. მაშინვე მიმატოვა და საქმე აღარასოდეს რომ არ შემობრუნებულიყო, იმ დღესვე დანებდა მეჯინიბეს, რომელსაც მოსწონდა. ალბათ, ისინი ახლაც ერთად არიან, რადგან მარი-ჟანა ერთგული იყო. ის მეჯინიბე ახლა თქვენი მეეტლეა. მარი-ჟანა საბოლოოდ დარჩა სარდაფში და მას შემდეგ თვალიც არ მომიკრავს.

გრაფინია. (ყრუდ, მცირე პაუზის შემდეგ) როგორ შეგეძლოთ ასე წყნარად გეცხოვრათ ბატონთა სავანეში, როცა ის სარდაფში დასტოვეთ? (წუთით გაჩუმდება, უეცრად) მეშინია თქვენი.

გრაფი. (მშრალად) დიახ, ასე წყნარად ვცხოვრობდი, როგორც ინებეთ გეთქვათ. უცებ მივხვდი: ერთადერთი, რაც შემიძლია გავუკეთო, თუ ჩემს ღირსად ვთვლი, მისი გადაწყვეტილებისადმი მორჩილება, ესე იგი ზემოთ დარჩენაა. მას უნდოდა ყოველთვის აქ — ზემოთ ვენახე.

გრაფინია. (ისევ ჩუმად) რა საშინელებაა.

გრაფი. (ცივად) დიახ, საშინელებაა, მაგრამ ცხოვრებაა ასეთი. სწორედ იმ გოგონამ მიმახვედრა, მომიტევეთ მაღალფარდოვნებისთვის, ვიცი, რომ ახლა ოდნავ სასაცილო ვარ.... დიახ, სწორედ მან მიმახვედრა, რომ არსებობენ (ოდნავ დარცხვენილი ეძებს საჭირო სიტყვებს) სულით ძლიერი ადამიანები. ისინი ცოტანი არიან, მაგრამ მაინც არსებობენ და შეუძლიათ ცხოვრებას თვალი გაუსწორონ. (უეცრად დადუმდება. სიგარას მოუკიდებს. სავარძელში ჩაესვენება და ისევე იქცევა უდარდელ, დამცინავ ბატონად) აი, რაც შემეძლო, გავაკეთე, გაგაფრთხილეთ. ახლა ვერც ხელებს შეგიკრავთ და ვერც ოთახში ჩაგკეტავთ.

(სემინარიელი ფრთხილად აკაკუნებს. შემოდის, დარცხვენილია, მაგრამ თვალები უბრწყინავს)

სემინარიელი. ქალბატონო გრაფინია, ისინი გველოდებიან.

გრაფინია. (აჩქარებით) წავიდეთ!

ორივენი გავლენ. სინათლე სარდაფში გადაცოცდება. მოსამსახურენი გრაფინიას მოლოდინში გამწკრივდებიან.

კიბეზე ჩამოდიან და სამზარეულოსაკენ მიემართებიან. გრაფინია, ძიძა, ჩვილი ბავშვით, სემინარიელი და ბავშვები.

ადელი. (მთელი ძალით ცდილობდა გონება არ დაეკარგა, მაგრამ უცებ გული წაუვა და გვერდით მდგომს ხელში ჩაუვარდება) მუხლები მეკეცება, მეტი აღარ შემიძლია.

რომენი. (ღრიალით მივარდება) ეს რა ოინებია! და სწორედ იმ წუთს, როცა ქალბატონი გრაფინია ჩამოდის. ახლავე ადექით! ახლავე ადექით! გასწორდით, როგორც საჭიროა! (გაშმაგებული სილას გააწნავს, გრძნობაზე რომ მოიყვანოს. სარდაფში არეულობაა. ყველა შემოხვევია ადელს, რომელიც უგრძნობლად [illegible] აღელვებული აქეთ-იქით დარბის და ყვირის, წესრიგს ითხოვს) მწკრივში ჩადექით! ჩადექით-მეთქი! ახლავე მწკრივში ჩადექით, რომ გეუბნებით!

სწორედ ამ წამს შემოდის პროცესია. გრაფინია, ორი ყმაწვილით, შემდეგ ბაბთებით შემკული ძიძა, ხელში მაქმანებში ჩაძირული ჩვილი უჭირავს, ბოლოს ცრემლებამდე გულაჩუყებული სემინარიელი).

გრაფინია. (გაკვირვებული გაჩერდება) რა მოუვიდა ამ გოგონას?

რომენი. აღელვებისაგან დაემართა, ქალბატონო გრაფინია, სალაპარაკოდაც არ ღირს. ხედავთ, უკვე გონს მოეგო. ადექით, ვის ვეუბნები! ადექით, ცოცხლად, ცოცხლად!

ყველა ცნობისმოყვარეობით შესცქერის გრაფინიას. გრაფინია მიდის გაოგნებულ ადელთან, რომელიც როგორც იქნა, ფეხზე წამოაყენეს და მწკრივში ჩააყენეს.

გრაფინია. (მიუახლოვდება, ალერსიანად) მადმუაზელ, აქ პირადად თქვენ სანახავად ჩამოვედი და მოვინდომე ყველა თქვენი მეგობარიც აქ შეკრებილიყო. შეხედეთ ამ ჩვილს, მადმუაზელ, ეს ჩემი უმცროსი ბიჭია, მამამისივით ტიბო ჰქვია. ეს სახელი დაბადებისას დავარქვით მე და ბატონმა გრაფმა. მას კიდევ უნდა ერქვას სახელი, რომელიც ნათლობით დამოწმდება. გთხოვთ, ეს მეორე სახელი თქვენ ამოარჩიოთ...

(ადელი უაზროდ შესცქერის გრაფინიას).

მადმუაზელ, სარდაფში იმიტომ ჩამოვედი, რომ მეკითხა: თანახმა ხართ თუ არა შვილი მომინათლოთ?

(ბავშვს ძიძას გამოართმევს და ადელს ჩაუგორებს ხელში, ადელი კი ისევ ჩუმადაა და ისევ უაზროდ შესცქერის) უეცრად ადელს პირუტყვული ღრიალი აღმოხდება, ბავშვს გრაფინიას დაუბრუნებს და უკანა ოთახში გავარდება. გრაფინია საბოლოოდ დაიბნევა...

რომენი. (ღრიალებს) ეს ხომ სიგიჟეა! სიგიჟე! ასეთი პატივის ღირსი გახადეს! დააბრუნეთ! ახლავე დააბრუნეთ! (მოსამსახურენი ადელს დაედევნებიან. ის კი უკანა ოთახში მაგიდაზე დამხობილა და ქვითინებს.

ხმები. არ უნდა წამოსვლა! ამბობს, არ წამოვალო!

რომენი. (ულმობელ მოსამართლესავით თითქმის ისტერიკული ღრიალით) შეჰკარით! მოათრიეთ! თოკი გამოაბით ყელზე! გრაფინია, გთხოვთ, გვაპატიეთ, ჩვენ გვაპატიეთ! ეს შემთხვევა ყველასათვის სამარცხვინოა! წარმოუდგენელი სკანდალია, წარმოუდგენელი!

მარი-ჟანა. (წინ წამოვა, დანარჩენებს მისწი-მოსწევს, გრაფინიას პირდაპირ თვალებში უცქერის). დაანებეთ ამ გოგოს თავი, ეშმაკმა დალახვროს!

რომენი. (ურჩხულივით დაიწივლებს) ქალბატონო მარი-ჟანა! როგორ ბედავთ ასე ელაპარაკოთ ქალბატონ გრაფინიას (გრაფინიასკენ შებრუნდება სიკვდილივით გაფითრებული. სული ეხუთება) ქალბატონო გრაფინია. ქალბატონო გრაფინია... ქალბატონ გრაფინიას ვთხოვ თანამდებობიდან გადამაყენოს! მე შერცხვენილი ვარ... (შეშლილივით გარბის, ეგებ თავის ჩამოხჩობასაც კი გადასწყვიტა, დანარჩენები გულმოდგინე ჯარისკაცებივით, ხელს სტაცებენ ადელს და გრაფინიასთან მოათრევენ).

ადელი. (ყვირის, უიმედოდ ცდილობს თავის დაღწევას) არა, არ მინდა ბიჭის ნახვა, მაგის შვილის ნახვა არ მინდა.

ხელს არ უშვებენ, გრაფინიასთან მიჰყავთ.

(უცებ პირში შეჰყვირებს, როგორც შეშლილი) თვითონ მყავს მუცელში ბავშვი, მე კი ვწამლავ! იმიტომაც დავსუსტდი ასე.

გრაფინია. (არაფერი ესმის, ბურტყუნებს) ბავშვი, რომელი ბავშვი?

ადელი. (გაწეწილია. მოულოდნელად ვულგარული გამომეტყველებით უყვირის გრაფინიას) მუცელში ბავშვი მყავს! ზუსტად თქვენნაირი, მხოლოდ მეეტლის შვილია. დიახ, მეეტლისა, რომელმაც საჯინიბოში გამაუპატიურა, როცა სალამოთი სათლი მივუტანე! ნეხვის გროვაზე გამაუპატიურა. იქიდან რომ გამოვედი, მოსამსახურეებმა დამცინეს: ეგონათ, ფეხი დამიცდა, ნეხვზე დავვარდი და იმიტომ ვტირი (უყვირის ლეონს, რომელიც მოსამსახურეთა ზურგ-

სუკან იმალება) სად იპარები! მარტო როცა მომიხელთებ, დიდ გულზე ხარ ხოლმე! ხან კარს უკან, ხან ბნელ კუთხეში, სადაც დამიჭერს იქ ძალადობს. მე კი ვერც დამიყვირია: მეშინია სხვებმა არ გაიგონ. ამისი ცოლისაც მრცხვენია. რომ იცოდეთ, როგორ ჰყარს! მეზიზღება! მხოლოდ ტანჯვას მაყენებს მისი სიახლოვე! მეზიზღება, მეზიზღება! (ყვირის და განრისხებული დედოფალივით ბრწყინვალე, ყველას თვალით ზომავს) არავინ არ მიყვარს, ისიც, თუმცა ვეცოდები, წამალსაც მალევინებს, ბავშვი რომ მოვიცილო და სამაგიეროდ სილებს მაჭმევს. ცემისთვის ვერავის შევიყვარებ, ვერც იმას, თავისი ღმერთით... მიყვარხარო, მეუბნება, მაგრამ საკუთარი დედისგანაც კი ვერ დამიცვა. მხოლოდ ისღა მოიფიქრა, ზემოთ ამოსულიყო და ეთხოვა, თქვენი ლეკვი აქ ჩამოგეთრიათ (ყველას ათვალიერებს, მხეცივით აბურძგნილი) მეზიზღებით, ყველა მეზიზღება. თორმეტი წლისა დედამ მოსამსახურედ დამაყენა ამას არაფრით არ გაპატიებთ! ჩემი პირველივე ბატონი ცდილობდა მოვეტყუებინე და მეარშიყებოდა... ქალბატონი კი ამისთვის მცემდა, თუმცა არ დამითხოვა, რადგან მხოლოდ საჭმლის ფასად არავინ დაუდგებოდა (ზიზღით სახეანთებული ჰყვირის) არც ამას გაპატიებთ არასდროს! (ყველას მიმოხედავს. ისინი დამუნჯებულნი და თავზარდაცემულნი არიან. შემდეგ სემინარიელს შეხედავს. ადელის ლამაზი სახე სიძულვილისაგან დამახინჯებულა და გაბოროტებულა) ადრე კი მოლოზნებთან ვცხოვრობდი, გესმის, ანაფორიანო? არც იქ მადგებოდა კარგი დღე, რადგან ყველაზე უმცროსი ვიყავი. ზამთარში თუ ვინმე მუშაობის დროს შეიგინებდა, დასასჯელად უმცროსები და გამოუცდელები გაჰყავდათ გარეთ და ყინულიან წყალში ჩასვამდნენ. ნაღდი დამნაშავენი დაგვცინოდნენ და ისე ჩაგვივლიდნენ, ზედაც არ გვიყურებდნენ; ჩვენ კი ვიჯექით შიშველი საჯდომით ყინულიან წყალში! (ამ სიტყვებს თითქოს ჯადოს სიტყვაა გაფითრებულ გრაფინიას პირში შესძახებს) საჯდომით გაყინულ წყალში, ქალბატონო გრაფინია, დიახ, საჯდომით! საჯდომით! საჯდომით? გასაგებია? და მერე ღმერთისთვის პატიებაც ჩვენვე უნდა გვეთხოვა. (ზიზღით გამწარებული ყვირის) მე კი არ მიყვარს ღმერთი!

მარი-ჟანა. (მიუახლოვდება, ჩუმად უბრძანებს) გეყოფა, მორჩი!!

ადელი. (შეციებულივით ცახცახებს, ჩუმად) მერე მეაფთიაქესთან ვმუშაობდი. მეაფთიაქე ყურადღებას არ მაქცევდა, მაგრამ მისმა ცოლმა, ძალიან ლამაზი ხარო, გადაწყვიტა და იცი რა მოიფიქრა? მე კი მხოლოდ თხუთმეტი წლისა ვიყავი. (შეტორტმანდება და ქვითინით უღონოდ ეცემა იატაკზე. ყველა შეძრწუნებულია).

(წამიერი დაბნეულობაა, ადგილიდან დაძვრას ვერავინ ბედავს).

ავტორი. (უცებ კულისებიდან ყვირილით გამოხტება) კმარა! გეყოფათ! კმარა! ეს აუტანელია! (გრაფინიასთან მივა) ზემოთ აბრძანდით, ქალბატონო! აბრძანდით თქვენთან, ზემოთ, თორემ ვატყობ გული წაგივათ. (გრაფინიას ჩვილს გამოართმევს და ძიძას გადასცემს) გამომართვით და ქალბატონს მიჰყევით. აბრძანდით ზემოთ, ქალბატონო! (ბავშვებს შეამჩნევს და აღმოხდება) და ყველაფერი ეს ბავშვების თანდასწრებით მოხდა! ფრიად სამწუხაროა! დამნაშავე კი მხოლოდ მე ვარ. უაზრო სიმკაცრეა; (საწყალი და სასაცილოა. ყვირის) დიახ, უაზრო; ასეთი ამბავი არც უნდა მოიგონოს კაცმა. ვერ დავიჯერებ, რომ ცხოვრება ასე საზიზღარია! ხომ არსებობენ კეთილი ადამიანები! ჩვენი ვალია მათზე ვისაუბროთ და პიესებიც კეთილ ადამიანებსა და კეთილ გრძნობებზე ვწეროთ. (შეშლილივით ღრიალებს) კეთილ გრძნობებზე უნდა ვწეროთ, მხოლოდ კეთილ გრძნობებზე და ღმერთმა დასწყევლოს ლიტერატურა! მხოლოდ მწერლებს ჰგონიათ, თითქოს ლიტერატურას რაიმე ფასი ჰქონდეს.

(ყველა გადის).

სარდაფში დარჩნენ სამნი. უჩუმრად შესცქერიან ერთმანეთს ახალგაზრდა სემინარიელი, მარი-ჟანა და ლეონი. კულისებიდან მათ თვალყურს ფხიზლად ადევნებს პოლიციის კომისარი.

მარი-ჟანა. (ჩუმად). უნამუსო!

ლეონი. (ბოროტად) ვიყო უნამუსო, შენ რაღაებს აკეთებდი, დაგავიწყდა?

მარი-ჟანა. შენ შემდეგ არაფერიც არ ჩამიდენია. მანამ რაც მოხდა, ყველაფერი პატიოსნად მოგახსენე.

ლეონი. (დაცინვით) გასაგებია! საჭმლის ნარჩენებივით შემოჩეჩე! ნარჩენებივით, ფარეშებისთვის რომ სტოვებენ, როგორც ყოველთვის. ეს ლუკმა ყელში რომ გამეჩხირა, ის კი არ გიფიქრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარი-ჟანა. შენთვის ესეც ზედმეტი იყო! იმას რატომ არ ედრები, ვის შემდეგაც მოხვედი?

ლეონი. იმას არც შევედრები არასოდეს, ეტლში ჩემს საჯდომს უკან ზის, საჯინიბოში კი არ შემოდის.

მარი-ჟანა. ასე უნდა მომქცეოდი? ვის აეკიდე, იმ კახპას?! ჩემ თვალწინ! (მედიდურად წამოიძახებს) ჩემს სახლში!

ლეონი. (ნაბიჯს გადადგამს მისკენ, ზიზღით) შენ აქ ჩვენსავით მოსამსახურე ხარ! ეს შენი სახლი არ არის. მინდოდა საბოლოოდ გავსწორებულიყავით (უხმოდ შესცქერიან ერთურთს. ჩუმად) თუ გსურს იცოდე, ეს პირველი არ არის. შენი ქურქლის მრეცხავები ყველა დავსინჯე — ჟიულიც, ირმაც, ის ბოლო გოგონაც, მუცელი რომ მოაწყვეტინე, ის ლეკვიც ჩემი იყო. ასე გამოდის, ჩემს გამო იხდიდი საქმეს საკატორღოდ.

მარი-ჟანა. (კბილებშუა გამოსცრის) არამზადა! ხომ იცი, ჩემთან ეგ ხუმრობა არ გაგივა! (მაგიდიდან დანას აიტაცებს)

ლეონი. (თავის დანას დააძრობს) ნელა! ნუ თამაშობ! დანა მეცა მაქვს. თუ გამიმეტებ, გამოგფაშვავ, გაფრთხილებ. ქალი ხარ, მაგრამ არ შეგიცოდებ.

მარი-ჟანა. (შემობრუნდება, თითქოს ახლა შეამჩნიაო) შენ აქა ხარ? ადი ზევით! რაც აქ მოხდება, საშენო საქმე არ არის. აქ შენ უცხო ხარ. შენ იმისი შვილი ხარ, ზემოთ რომ ცხოვრობს. მისკენ ჩაისახე ბნელ კუთხეში. მასთან წადი. შენ ნაბიჭვარი ხარ. არც ზემოთებს ეკუთვნი და არც იმათ, ქვემოთ ვინც ცხოვრობს. ზემოთ რომ იცხოვრო, გვარიშვილობა არ გყოფნის. ჩემი სახელი რიმაქნისია? ქვემოთ რომ დარჩე, არც ამისთვის ხარ მზად. ადი ზემოთ. ხომ გითხარი, რაც აქ მოხდება, საშენო საქმე არ არის. (მარი-ჟანა და ლეონი ერთმანეთის უტრიალებენ, როგორც ორი მტაცებელი ცხოველი).

სემინარიელი. (ყვირის) თქვენ ამის უფლება არა გაქვთ, დედა ხართ ჩემი! მომეცით დანა! (მარი-ჟანას მივარდება, რომ დანა წაართვას. ყვირის) თქვენ დედა ხართ ჩემი! დედა ხართ ჩემი! დედა! (ჩაბნელდება. პოლიციის კომისარი, რომელიც უკიდურესად აღელვებული და დაძაბული უცქერდა ამ სცენას, ყვირის).

კომისარი. სინათლე! მოგვეცით სინათლე! რა დროს სინათლის ჩაქრობა იყო, როცა ყველაფერი უნდა გამჟღავნდეს.

(თითქმის მაშინვე ინთება სინათლე. ყველა მსახური, გარდა ლეონისა და რომენისა, გარშემოხვევია მარი-ჟანას, რომელიც სამზარეულოს მაგიდაზე წევს. სემინარიელი და პოლიციის კომისარი არ ჩანან).

მარი-ჟანა. არა. თვითონ მივხედავ თავს. ჩემი ჩვრები მომეცით... იქ არის ქვემოთ, კარადაში. თავქვეშ ამომიდეთ, ბალიშს აჯობებს. ბალიში სარდაფში არასოდეს გვქონია. რაღაც მაციებს. წითელი აბრეშუმის ნაჭერი დამაფარეთ. (ალექსისი კარადასთან მირბენს და სხვადასხვა ფერის ნაჭრები მოაქვს. მოსამსახურენი მარი-ჟანას წითელ ნაჭერს გადააფარებენ. ალექსისს ხელში გვირგვინი უჭირავს, ძლივს იღიმება. ჩუმად). ოცი წლისა დედოფალი ვიყავი. ბიჭუნა. გვირგვინი გვერდით დამიდგი. „ყველაზე მომხიბვლელი თეძოები მთელს ნიცაში!“ — ასე მითხრეს მაშინ. იუგელინა, შენ აპათზე მარჯვე ხარ, კარადაში მარჯვნივ ბეჭდები და თმისსახვევები უნდა იყოს... იქ პატარა ყუთიც დევს. ვაზელინის დაჟანგული პატარა კოლოფი. იპოვნე?

იუგელინა. დიახ.

მარი-ჟანა. აქ მოიტანე. ახლა მალამო ამოიღე და ჭრილობაზე წამისვი. სისხლისა ნუ გეშინია. კარგია, სისხლი რომ მოდის. სისხლი უნდა მოდიოდეს, განიწმინდება. (კვნესის)

იუგელინა (ჭრილობას უხვევს) გტკივათ?

მარი-ჟანა. (კბილს კბილზე აჭერს). მერე რა. მიმიფურთხებია ტკივილისათვის. (იუგელინას) იმას უთხარი, რომ ჩამოსულიყო?

იუგელინა. დიახ.

მარი-ჟანა. მაშ, გადით ყველანი, დავუცდი.

(მოსამსახურენი გავლენ)

ადელი. (ძველი მოკლე პალტო აცვია, განზე იდგა. ახლა კი კუთხისაკენ მიდის, რომ წინასწარ მომზადებული მუყაოს ჩემოდანი

აილოს. მარსელს ანიშნებს, აქ მოდიო) წამიყვანე იმ იაფფასიან სასტუმროში, რომ მეუბნებოდი. ხუთი ან ექვსი დღის შემდეგ მოვმჯობინდები და შეგიძლია შენს მეგობარს მისწერო, ორანში გამოემგზავრა თქო. (ჩემოდანს დასწვდება).

მ ა რ ს ე ლ ი. (ჩემოდანს აიღებს). როგორ გეკადრება... რა დიდი საქმეა... გამიგონე, პატარავ, თუ ჭკუით მოიქცევი, ბევრ ფულს იშოვნი და ხალხშიც გამოხვალ. ეს კი არც ისე იოლი საქმეა! შენ ავად ხარ... დამეყრდენი, ჩიტუნია, კიბეზე ასვლაში დაგეხმარები (ქუჩაში გავლენ. მარი-ჟანა არ განძრეულა. ყველა გავიდა. სამზარეულო ახლა უფრო ჩაბნელებულია, ვიდრე ყოველთვის.... საოცარი ჩრდილები ფანტასტიურ მოხაზულობას აძლევენ იქაურობას. ოდნავ განათებულია მხოლოდ ბებრუხანას პორტრეტი და მარი-ჟანა, სამზარეულოს მაგიდაზე რომ გაჭიმულა. წითელი ჩვარი დაუფარებიათ, გვერდით გვირგვინი უდგას. ბებერ დედოფალსა ჰგავს. თითქოს ბოდავსო, საკუთარ თავს ესაუბრება. შემოდის ალექსისი, კარტოფილს ფცქვნის. მარი-ჟანას მონოლოგის დროს ჩუმად შემოდის ავტორი და ტაბურეტზე ჩამოჯდება მზარეულის გვერდით. მარი-ჟანა ჯერ ვერ ხედავს მას).

მ ა რ ი-ჟ ა ნ ა. (ჩუმად) „ყველაზე მომხიბვლელი თეძოები მთელ ნიცაში!“ ასე მითხრეს, პრიზს რომ მაძლევდნენ! იმ ერთ კვირა დღეს მე უფრო მეტი ყვავილი მაჩუქეს, ვიდრე სადილზე მოწვეულ სტუმრებს ბებრუხანასათვის მთელი სიცოცხლის მანძილზე მოუტანიათ. (იღიმება, საიდუმლოდ) რა სკანდალი იყო! ქალბატონ გრაფინიას მოახლემ სილამაზის კონკურსში მონაწილეობა გაბედაო! ბებრუხანას უნდოდა გავეგდე, მაგრამ შენ გაბრაზდი. მაშინ პირველად გნახე გაბრაზებული — შენ ხომ სულ იღიმებოდი. გაბრაზება გიხდება. მაშინ ბებრუხანა თავის ოთახში გავიდა და თქვენ ხუთი წელი არ გაგიციათ ხმა (ნებიერად იღიმება) ჩემი გულისთვის, (ალერსით ჩურჩულებს). გმადლობთ, ჩემო კარგო, რომ დამრთე ნება მთელი კვირადღე დედოფლად დავმჯდარიყავი. ( უცებ იგრძნო, რომ გვერდით ვიღაცაა) შენა ხარ, ბატონო გრაფ?

ა ვ ტ ო რ ი. არა, ის ოდნავ შეუყოვნდა ზემოთ. აქედან რომ წავიდა, ქალბატონ გრაფინიას ნერვული შეტევა დაემართა. ექიმს უცდიან.

მ ა რ ი-ჟ ა ნ ა. ვიცი არ მოვა, (ღიმილით) ისევე დავიხოცებით, როგორც ვცხოვრობდით — ყველა თავის სართულზე.

ა ვ ტ ო რ ი. (მცირე ხანს ჩუმად არის, უხერხულად) გტკივათ?

მ ა რ ი-ჟ ა ნ ა. (იდუმალი ხმით) ასეა საჭირო. ყველაფერს თავისი წესი აქვს. ბუნება თავის საქმეს აკეთებს. ხელი არ უნდა შევუშალოთ. ბუნებამ იცის, რასაც აკეთებს; ყველაფერი იცის. ბუნებაც გამოცდილი მზარეულია. (წუთით სიჩუმე ჩამოვარდება. მერე თითქოს გამომწყვდეული მხეციაო, მარი-ჟანა მძიმედ, ქლოშინით სუნთქავს, უცებ დაიძახებს) ბატონო გრაფ!

ა ვ ტ ო რ ი. (ჩუმად, უნდა იცრუოს და რცხვენია) დიახ, აქა ვარ...

მ ა რ ი-ჟ ა ნ ა. (იღიმება, თუმცა ვერ ხედავს) ა, შენ აქა ხარ?.. სამეჯლისო კოსტუმი ჩაიცვი? ფრაკი თეთრი ჰალსტუხით? გინდა, რომ წასვლის წინ გამოგემშვიდობო? (საიდუმლოდ) არ ვეჭვიანობ. რა ლამაზი ხარ. როცა აქ მეჯლისს მართავდით, ჩვენ ზემოთ ამოვიპარებოდით ხოლმე, რომ გასაღების ჭრილიდან ხალხი გვენახა. თქვენ ყველა მამაკაცებში გამოირჩეოდით.

ა ვ ტ ო რ ი. (აღელვებული და დარცხვენილი) რას ამბობთ...

მ ა რ ი-ჟ ა ნ ა. (რისხვით) გეუბნები ასე იყო-მეთქი! როგორ გგონია, სიყვარულსა და ყველაფერს შემოგწირავდი, ყველაზე ლამაზი რომ არ ყოფილიყავ? არა გესმის რა ქალისა! ხუთი წელი გიერთგულე. ხუთი წელი კვირადღესაც კი საცეკვაოდ არ ვყოფილვარ. ხუთი წელი! ცოტა როდია სისხლსავსე გოგონასათვის! (უცებ ჩურჩულებს. თითქოს თავს ირთობსო) საოცარი რამეა სიყვარული! არ იცი, სად ჩაგისაფრდება.

ა ვ ტ ო რ ი. (ჩუმად) მართლაც საოცარია.

მ ა რ ი-ჟ ა ნ ა. (გამოხედვა უეცრად შეეცვლება, იჭვის თვალით იმზირება, სულ სხვა კილოთი) მომისმინეთ, რაღა მაინცდამაინც ჩემი ცხოვრების აღწერა მოინდომეთ?

ა ვ ტ ო რ ი. (დაბნეული ბუტბუტებს) მარი-ჟანა, ძვირფასო...

მ ა რ ი-ჟ ა ნ ა. სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ. ჯერ ერთი ის არასოდეს მეძახდა მარი-ჟანას. ეს თქვენ გამოიგონეთ. ის „სულიკოს“ მეძახდა, საწოლში კი სულ სხვა სახელს მიწოდებდა, მაგრამ ამას არ გეტყვით. რაღა მაინცდამაინც მე ამირჩიეთ. თქვენ ხომ არც მიცნობთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ვ ტ ო რ ი. (ჩუმად) გიცნობთ და ძალიან კარგადაც.

მ ა რ ი-ჟ ა ნ ა. (უცოდველი სახით) სადმე შევხვედრივართ? (დაცინვით) მაღალ საზოგადოებაში ხომ არა?

ა ვ ტ ო რ ი. არა, მაღალ საზოგადოებაში არა.

მ ა რ ი-ჟ ა ნ ა. (დაცინვით) მე კი მეგონა...

სიჩუმე

(უეცრად ფხიზლად) იმას? ბატონ გრაფსაც იცნობთ?

ა ვ ტ ო რ ი. დიახ, დაახლოებით.

მ ა რ ი-ჟანა. იცით, რა ლამაზი იყო!

(სამზარეულოს მაღვიძარა ტიკტიკებს).

(თითქოს დამშვიდდაო. გრძნობს რომ გვერდით ვიღაცა არის) ვინ არის აქ?

ა ლ ე ქ ს ი ს ი. მე ვარ, ალექსისი.

მ ა რ ი-ჟ ა ნ ა. აქ რას აკეთებ?

ა ლ ე ქ ს ი ს ი. კარტოფილს ვფცქვნი. ამ აურზაურში ვერ მოვასწარი.

მ ა რ ი-ჟ ა ნ ა. (ალერსიანად) მიდი, შვილიკო, გაფცქვენი. შენც კარგად იცი, სადილის გარდა, ამ ცხოვრებაში მნიშვნელობა არაფერსა აქვს. (კიბეზე, ზემოთ, საზეიმოდ გამოპრანჭული გრაფი გამოჩნდება. ის ჯერ კიდევ პალტოშია, კლუბიდან ახლახან დაბრუნებულა)

მ ა რ ი-ჟ ა ნ ა (ჩურჩულით) ბატონო გრაფ...

ა ვ ტ ო რ ი. ჰო, სულიკო, მე ვარ...

მ ა რ ი-ჟ ა ნ ა. ხომ ლამაზი ვარ, ბატონო გრაფ?

ა ვ ტ ო რ ი. (უცქერის ბებერ დედაკაცს, საკარნავალო ჩვრებში რომ კვდება. ალერსიანად ჩურჩულებს) დიახ, ლამაზი ხართ.

(მივა, ხელზე აკოცებს)

მ ა რ ი-ჟ ა ნ ა. (აღელვებული) ხელზე... მე? თითქოს ქალბატონი ვიყო. (ზარი რეკს. წამოხტება, თითქოს ახალგაზრდააო, მაშინ სხვენზე ეძინა, ჩურჩულებს) გამომიძახეს...

ა ვ ტ ო რ ი. (მიუახლოვდება, ფრთხილად დააწვენს) წყნარად, წყნარად... დაწექით, მე ავალ. (განზე გადგება. ბიჭი ისევ ფცქვნის კარტოფილს. მაღვიძარა ისევ ტიკტიკებს. უცებ ტიკტიკი შეწყდება. ავტორი ბიჭთან მივა და გარეთ გაიყვანს. მერე მარი-ჟანასთან დაბრუნდება და თვალებს დაუხუჭავს. იქვე ჩამოჯდება და სიგარეტს მოუკიდებს.

მოულოდნელად პოლიციის კომისარი შემოვა.

კ ო მ ი ს ა რ ი. როგორ არის საქმე?

ა ვ ტ ო რ ი. (კომისრის დანახვა მაინცდამაინც არ გახარებია) რა საქმე?

კ ო მ ი ს ა რ ი. (აღტაცებული) გავიგეთ ვინც მოკლა მზარეული.

ა ვ ტ ო რ ი. (დაბნეული) მართლა? ვინ მოკლა?

კ ო მ ი ს ა რ ი. მეეტლემ. მე და ჩემმა ორმა კოლეგამ ოცდათხუთმეტწუთიანი ჯვარედინი დაკითხვა მოვუწყეთ ამერიკული მეთოდით: ძლიერი სინათლის წყარო პირდაპირ თვალებში! გამოტყდა. ციხეშიც წაიყვანეს. ყველაფერი მოწესრიგდა. საერთოდ, თქვენი ამბავი მარტივი აღმოჩნდა. თქვენ თვითონ გიყვართ საქმის გართულება.

ა ვ ტ ო რ ი. ასე გგონიათ? მაშ თვალით აღარ დამენახოთ! დაბრუნდით თქვენს არ არსობაში! ამბავი დამთავრდა.

(განაწყენებული კომისარი გადის. მაყურებელს) ნუ განგვსჯით, ქალბატონებო და ბატონებო. ეს პიესა ავტორმა ვერაფრით ვერ დაწერა.

ვიმედოვნებთ, ავტორს მაყურებელი მაინც დაუკრავს ტაშს და ისიც გადის.

ფარდა.

თარგმნა თამაზ გოდერძიშვილმა